ლიტერატურული გაზეთი

№22 (278) 27 ნოემბერი - 10 დეკემბერი 2020 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევობით ფასი 80 თეთრი

ოთარ ჩხეიძის გამოუქვეყნებელი ჩანაწერები

ავტობიოგრაფიული რომანიდან „დროდადრო“

1995 წელი

შაბათსა, 30 დეკემბერსა

„ეს მამაჩემს!..“ ნატო ამბობს.

„რა არის?..“ მარიამი კითხულობს.

„აზრები ჩაწეროს“. ნატო ხუმრობს.

ეს კალენდარია, თურქული კალენდარი. ქაღალდი ისეთია, მელანი რო ჟონავს. „პასტა“ თუ გამოდგება. აზრებისა რა გითხრა, მაგრამ შემთხვევები შეიძლება რო ჩაიწეროს. ერთხელაც ჰო ვწერდი!.. მივატოვე. ეგებ კარგი იყო, რო ვწერდი, ეგებ რო არცა ჰღირდა!.. რაც იყო, იყო, ყოველშემთხვევაში — ახლა მაინც არაფერს ვაკეთებ. ცივა. ბნელა. სამზარეულოში შემოვმწყვდეულვართ. „თეთრი დათვი და თეთრი მელაც“ მივატოვე. სამზარეულოში არ დაიწერება. უნდა ველოდო გაზაფხულსა. უნდა ველოდოთ. — აცე ვირო, ნუ მოკვდებიო, გაზაფხული მოვა, იონჯა ამოიყრის და ფერდს ამოიღებო, — ხუმრობდნენ ხოლმე ჩემს ბავშვობაშია. გრძელდება, გრძელდება, იგივე გრძელდება.

კვირასა, 31 დეკემბერსა

27 დეკემბერი, შარშანდელი, არ არის ამ კალენდარში. არ გამოიტოვება. იმ დღის „საქართველოს რესპუბლიკაში“ დიალოგია გოგი გაჩეჩილაძესა და ვილენ მარდალეიშვილს შორისა. — მე-20 საუკუნის სამი საუკეთესო ქართული რომანიო. — ეკითხება ვილენი. „ჯაყოს ხიზნებიო“, „მთვარის მოტაცებაო“, „ბორიაყიო“ — გოგი მიუგებს. აღშფოთებულან ეს ჩვენი თავგამოდებული ყმაწვილები: ჩვენ სადღა ვართო. — უსაყვედურებიათ მთქმელისათვისა. რედაქციისათვისა. ბუზღუნებენ. საოცარი ხალხია!.. რა აგულისებთ: იყვნენ იქა, სადაც რო ეგულებათ თავიანთი თავი. იყვნენ!.. ან ეს გოგი რომელი უზენაესი კანონმდებელია, ანთუ არის და: რას გააწყობენ!.. ინაღვლონ. იბუზღუნონ. და თუ დაივიწყებენ: ჩემგნით თუ როგორ დავალებულან. გაიხსენონ, ნუ დაივიწყებენ.

II-IV

ოთარ ჩხეიძის გამოუქვეყნებელი ჩანაწერები

ავტობიოგრაფიული რომანიდან „დროდადრო“

1996 წელი

ორშაბათსა, 1 იანვარსა

გალაყდა ზამთარი, გაბერწდა ზამთარი. თბილად ჩათავდა დეკემბერი რო, თბილადა და მშრალადა. ახალი წელიც ასევე გათენდა, — თბილადა, მშრალადა. მშრალი დეკემბერი მახსოვს, — ახალ წელს უცებ ჩამოჰყრიდა თოვლსა. ახლა არაო!.. იანვარი მაინც წინ არის, თებერვალიცა, მარტიცა, — მარტი რო წინ გედოს, ზამთარს ნურც აქებ და ნურც აძაგებო.

არც ვაქებ.

არც ვაძაგებ.

ზამთარი ზამთარს უნდა ჰგავდეს, გაზაფხული გაზაფხულსა. აირია დრონი. გაზაფხული ალბათ ზამთარს ემგვანება. ისე იგრძნობა სოფლადა, თითქოს აი და იფეთქებს ყვავილობაო. მიწა ფუის. ხეხილი იზმორება. აირივნენ დრონი. ხალხიც აირია. ყველაფერი აირია. ალბათ დალაგდება ბოლოსდაბოლოსა. დალაგდება. ღმერთმა ინებოს!..



სამშაბათსა, 2 იანვარსა

ვწევარ. ცალკე თითქოს არაფერი არ მაწუხებს, მაინც: დგომა მიჭირს, ჯდომა მიჭირს, წოლა მირჩევნიან. ვწევარ. დერეფნიდან ხმაური მესმის. დავითი გვწვევია, — დავით ჯოხაძეი. გორიდან მეტს მაინც აღარავის ვახსოვარ. ესღა მიგონებს ბედობა დღესა.

შემოვუსხდებით სუფრასა ცხადია. საღვინეს მოვიდგამთ და ვიგონებთ გორის დღეებს. კეთილად ვიგონებთ რაღათქმაუნდა და კეთილსა თუ კარგ ადამიანებს ვიგონებთ. ცუდნი აღარც გვაგონდებიან, ანთუ არ გვინდა, რო ვახსენოთ. კარგია. კარგი. კარგ ხასიათზე ავეწყობით. ვიგონებთ. ვილოცებით.

ხალისობს დავითი. ცოტა განაწყენებული გვყავდა: სამივე პარლამენტში ცდილობდა გასვლასა, სამივეჯერ მოუცდა. რას იზამ, ბედი თუ არა გწყალობსო. შეგუებულა. ანთუ ემზადება შემდეგისათვისა. ემზადება და იმედოვნებს. ყოველშემთხვევაში ახლა ხალისობს. მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდიმეთქი, — ვაქეზებ მეცა. ჩემთვის მაინც მიკვირს, — ამას რაღამ მოანდომა პარლამენტიმეთქი: თავისი დარგის კარგი მცოდნეა, კარგი მკვლევარია, — მეტი რაღა მოუნდომებიამეთქი. ერთხელ იმასაც გამომიტყდა: თურმე თბილისის მერადაც წამოუყენებიათ ჩემი კანდიდატურაო. ახლაც მიტყდება: როინ მეტრეველსა ხსნიან, მეც დავუსახელებივართ რექტორობის კანდიდატადაო. აბა შენ იციმეთქი.

ვხალისობთ. ვილოცებით.

ბედობის დღეა.

სამშაბათსა, 9 იანვარსა

რახან რო დაგვიანდა შარშანდელი მეორე ნომერი „კლდეკარისა“. შეიძლება დავურთო ერთი წერილიცა: „ტრადიციონალისტებისა“ და „მონარქისტების“ დამარცხებასთან დაკავშირებით ნოემბრის არჩევნებში.

ეს გარდაუვალი იყო და ასეც მოხდა.

ჩემი წერილის მიზანი სხვა იქნება: ჩვენთვის რო აუცილებელია საიმედო ხელისუფლება, — ეს იქნება მიზანი. ამისათვის დიდი და გულმოდგინე სამზადისია საჭიროი, — დიდი და გულმოდგინეი. გარდამავალ ხანაში მხოლოდ ორი პარტია უნდა მოქმედებდეს: ეროვნული და სოციალური, — რაც უნდა დაირქვან. მიზანი ეს უნდა იყოს. სოციალურიც ეროვნული იქნება და ეროვნულიც მოიცავს სოციალურსა, ოღონდ უპირველესად თუ რას მიიჩნევენ, მხოლოდ იმითი თუ განსხვავდებიან. საარჩევნო თუ სხვა რამ დაპირისპირებანი ამ ორ პარტიას შორის უნდა მიმდინარეობდეს, სამეფო ხელისუფლების პარტია არც უნდა ერეოდეს პარტიულ ბრძოლებში ამჯერადა, მხოლოდ იდეურად უნდა ამზადებდეს საზოგადოებას უკეთესი ხელისუფლებისათვისა, — სამეფო ხელისუფლებისათვისა. ეს ის ხელისუფლებაა ეკლესიასთან ერთად ერთ მთლიანობად რო ქმნის მთელს ქვეყანასა და ამ მრწამსით შემზადებული ხალხი თვითონვე მოითხოვს სათანადო მმართველობასა.

ჯერ მომზადება უნდა. ეს პარტიები (დამარცხებულნი ამ არჩევნებში) ჯერ თვითონაც არ არიან მზად საამისოდა. წვრილმალი პარტიული კინკლაობა არ გამოადგება გადამწყვეტ ღონისძიებებსა. სამეფო ხელისუფლების აღიარება არც ისე ადვილია ჩვენში. ორასი წელიწადია ბაგრატიონებს რო უტეხავენ სახელსა. ახლა ბაგრატიონებიც რო აიქენჩრნენ!!! თითქოს უკვე ტახტზე იწვევენო. პრეტენდენტები!..

ოთხშაბათსა, 10 იანვარსა

მითხრეს: მეთორმეტე სტამბას ნაკლებად უწყდება დენიო, იქ შეიძლება უფრო ადვილადაც გამოვიდეს „კლდეკარის“ მომდევნო ნომერიო. ლიფტი რო მოძრაობდეს, წავიდოდი. მანძილი იმდენი არაფერი, ეს კიბეები მძალავს. მაინც უნდა წავიდეთ — ხვალვე თუ არა, ორშაბათს მაინცა. თუმცა და რაო: ჯერ ისევ გასაყიდია ნაწილი ორი ბოლო ნომრისა. ჯერ ისევ ვალად გვაწევს გამოცემის ხარჯები. რა ვუყოთ!.. სჯობს, რო გამოვცეთ ახალი ნომერიცა, დროს რო ავყვეთ როგორმე. ჟურნალი ჟურნალია, დროს თუ ჩამორჩა, მიმზიდველობასა ჰკარგავს. სჯობს, რო გამოვცეთ — სჯობს, რო დავეწიოთ. თუმცაო და რას უნდა დავეწიოთო; რაც არის, რაც რო დათქმულა, იმას — აი 1996 წელი ჩვენ შარშანდელი მეორე ნომერი ჩამოგვირჩა, — იმასა, იმასა, იმას უნდა დავეწიოთ.

ხუთშაბათსა, 11 იანვარსა

თითქოს კარგიც უნდა იყოს, რო დავყოვნდი. თითქოსა. თითქოსა. მაფიქრდება ისეთი სახეები, ისეთი ეპიზოდები, კარგად რო მოერგება „თეთრ დათვსა და თეთრ მელასა“. აქამდის რო დამემთავრებინა, ვერ გამოვიყენებდი რაღათქმაუნდა.

თითქოსამეთქი.

ჰო...

სამაგიეროდ მავიწყდება უკვე მოფიქრებული. ეს ვეღარ არის კარგი. ჩავინიშნავდი. მაგრამ და რაო: წერის დროს სად ვეძებო, სად რა მიწერია?!.

რაც არის არის:

ზოგი ძველი დამავიწყდება, ზოგი ახალი შეავსებს. ბარიბარ გამოვა. მთავარი ესაა, ეს სიცივეებია, — ჩამოთბეს მალე, გავიდე ამ სამზარეულოდანა. მივჯდომივარ ნავთქურასა და ესაა, ცოტა იქით რო გადავინაცვლო, თუნდაც რო მივუჩოჩდე სამზარეულოს მაგიდასა, უკვე ფეხებსა მძრავს, — გაუსაძლისია. ჩანიშვნითაც ვერ ჩაინიშნავ ვერაფერსა. მუხლებზე წერა რო მომიხერხდებოდეს!.. წაკითხვა ხერხდება რაღათქმაუნდა. წიგნებიც მოაქვს როსტომსა, მოაქვს და მოაქვს. ტელევიზია აქ გამოადგა, — ისე როგორ შეიძენდა ამდენ წიგნსა?!. რა სათქმელია!.. გამოდის კარგი წიგნებიცა. გაჭირვებაო და მაინც გამოდის წიგნები, სწორედაც რო კარგი წიგნები გამოდის.

შაბათსა, 13 იანვარსა

ვახტანგს მოსწონს როსტომის „ალექსანდრე ორბელიანი“. დაიბეჭდა დასაწყისი ბოლო ორ ნომერში „ლიტერატურული საქართველოსი“. თვითონაც უნდოდა დაეწერა ამ პუპლიას შესახება. „ივანე მაჩაბელის“ წარმატების მერე მონოგრაფიათა სერიის დაწერა გადასწყვიტა. ეგონა „ქრონიკებს“ მალე მოვრჩებიო. აქამდის გაუგრძელდა. შეყილაძეებიღა აკლია. ჯერ სერგეი მესხსა ფიქრობდა, მერე ეგნატესა, როგორც მახსოვს, მერე ალექსანდრეო... გამოეთხოვა, სხვა რა ჯანია!..

ალიო ადამია იცინოდა ეგნატეზე — აბა შენ იციო, ეგ ჰო თქვენი — გურულების — კლასიკოსიაო.

ვახტანგი არა თმობდა: ფილიპემ გაუტეხა სახელი, თორემ სასაცილო არაფერი არა სჭირსო, მე სწორედ ამას დავამტკიცებო.

ვეღარ დაამტკიცა.

ხუთშაბათსა, 18 იანვარსა

როსტომს ყური მოუკრავს: კაპანაძე გარდაცვლილა გორშიო. ვინ კაპანაძე, რომელი კაპანაძემეთქი. არ იცის. არ უკითხია. ანზორი თუა?! ძალიან საწყენია. ცოცხალი, ხალისიანი, ენერგიული, მოხერხებული კაცი. შეიძლება, რო არც დაიჯეროს კაცმა. ეგებ რო სიკვდილსაც დაუძვრეს ხელიდანა, ისეთი მოხერხებული კაცი. დაგენანება. ძალიან, ძალიან დასანანია. ჩემზე უფროსები რო იხოცებოდნენ, ბუნებრივი მეგონა, ჩემზე უმცროსების სიკვდილი არაბუნებრივიცა მგონია და უსამართლოცა.

დავით ჯოხაძეს ვურეკავ. არც იმან იცის. უნდა იცოდეს, — ამ ბოლო დრომდე იმის ინსტიტუტში კითხულობდა. დეკემბრამდისა. ავადმყოფობდაო. ამბობს. მეტი არაფერი არ იცის. დავადგენო. ტელეფონი დუმდება. დუმდება. და. დუმდება. რას დაადგენს, ანთუ რა დაადგინა, ღმერთმა უწყის!.. ტელეფონი რო მაინც წესიერადა მოქმედებდეს!.. მოვინდომე!.. ჰმ!..

ერთხელ — კარგახანია იმის მერე: ალბათ 30-ზე მეტი წელიწადი, — გორს ვუახლოვდებოდით. ქუთაისს მივდიოდით თუ სულაც — ზუგდიდსა. ვახტანგი იყო, ალიო ადამია და მე. ადრიან გავედით თბილისიდანა. არც გვისაუზმია. ალიო ხუმრობდა: მე რო გორელების ამბავი ვიცი, გამოცვივიან და აღარ გაგვიშვებენ, ხაშზე მიგვიწვევენო. ვახტანგიცა ხუმრობდა. ერთობოდნენ. მე მაინც გუნებაში მქონდა: სადმე სახაშესთან გავაჩერებმეთქი. მანამდე, თბილისის ქუჩას დავუხვიეთ თუ არა, ანზორი გამოვიდა თავის სახლიდანა. მე ხელი დავუქნიე. გამოგვეკიდა. აღარ გაგვიშვა. შევედით. სუფრა გაეშალა. ხაში ჰქონდა. სხვაცა. რა გინდა სულო და გულოო. მარტო ვერ დავჯექი. გარეთ გამოვედი, ვინმე ჩამოივლიდა. მეზობლებს დავუძახებდიო. თურმე თქვენს შესაგებებლად გამოვსულვარო. მე ნიშნს ვუგებდი ჩემს თანამგზავრთა: აი გორელებიმეთქი. ისინი პირველად შეხვდნენ ანზორსა. მოიხიბლნენ. არც უკვირდათ. ესენიც ჰო ქართველები იყვნენ...

დავითის ხმა აღარ ისმის. ტელეფონმაც ხმა ჩაიწყვიტა.

კვირასა, 21 იანვარსა

ჯუმბერ პატიაშვილის გვერდით მოვხვდი არჩილ ჩაჩიბაიას ორმოცზედა. თამადა ისეთია, ლხინის სუფრა გეგონება. ასდევენ მესუფრენიცა. ესენიც მომეტებულად. მედიკოსები ბრძანდებიან, თამადაც რო ერთხანს სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი ბრძანდებოდა. ერთხანსა. ახლა ყველანი ერთად იღვწიან ჯანმრთელობის დაცვის რეფორმების დარგებშია. ალბათა. სუფრის რეფორმა უკვე მოუსწრიათ: ორმოცია და: ლხინობენ. ჭერი მხოლოდ წლისთავზე აიხდებოდა, ისიც სუფრის დასასრულსა. რეფორმა რეფორმაა!..

ჰო:

მე ჯუმბერ პატიაშვილის გვერდით მოვხვდიმეთქი. ძალიან მომეწონა „არტისტული გადატრიალებაო“; რომანი ჰო ბრწყინვალეა და აზრობრივი თვალსაზრისითაც ასეთი პოლიტიკური ანალიზი ჯერ გორბაჩოვსა და შევარდნაძესაც არ მოუხდენია-თო. არ ესმითო. ვისა სძრახავს, არ ვეკითხები. ხალხს ესმის, ხალხი კითხულობს გაგებითა. ესეც ამბობს: სულმოუთქმელად წავიკითხეო. ალბათ მთავრობასა გულისხმობს, — თვითონაც ჰო ყოფილი მთავრობაა!.. მაშინ ეს ჩემს რომანებს არა კითხულობდა და არც მე მაწუხებდა ეს გარემოება. მერჩივნა, რო არა კითხულობდა. არც არავინ ურჩევდა. და. მერჩივნა, რო არ ურჩევდნენ. თუმცა: ჰო უკვე შეეტყო, რო უნდა არეულიყო წუთისოფელი. შეეტყო. ის დრო იყო.

ახლა რუსეთსაც სხვაგვარად უყურებს. გვეხმარებაო. კრედიტს გვაძლევსო. ჩვენგან ლიტრი ღვინო: საფერავი 1 200 მანეთად, ხოლო რქაწითელი 800 მანეთად მიაქვს, თვითონ 20 000 მანეთადა ჰყიდისო. აი დახმარებაც ამასა ჰქვიანო. ახლა ერკვევა. გამოერკვევა კიდევ უფრო. ახლა რაო?! ახლა ამას რაღა შეუძლიან?! ან მაშინ რა შეეძლო?!. ანთუ იმათ იმდენი რა ძალუძთ, ახლა ვინც რო თავში მოქცეულან?!. არც რო ძალაო, ჭკუაც აღარაო, აღარაო, ჭკუაც აღარაო!.. რა გვეშველება?!.

უნდა გვეშველოს, ოღონდ თუ რაი, — საკითხავი აი ეს არის!..

მაგრამაო...

და

მწუხარება თუ ლხინად ვაქციეთ, არა მგონია რაიმე გვეშველოს. არა მგონია!..

ზოგს ასე ჰგონია: ესაა ნიშანი გაუტეხლობისაო. არა მგონია. ეს უფრო ქერქეტობის ნიშანი უნდა იყოს.

ღმერთო დაგვიფარე!..

სამშაბათსა, 23 იანვარსა

ყოფილა ასეთი პიროვნება: ნუგზარ საჯაია: პრეზიდენტის თანაშემწე ე.წ. ძალისმიერი სტრუქტურების დარგში. ძალისმიერი. გიორგი გაჩეჩილაძე დაუბარებია: ეს რა ჩაიდინეო. ეს რა დაწერეო, აქ ისეთი ამბავია, ჰოა ჩამოყალიბებული დღევანდელი მწერლობის რიგიო, შენ ეს ვინ ჩაუყენე თავშიო. აქ ამბობენო (პრეზიდენტის კარზე) რთული ენა აქვსო, შენ ეს არ უნდა გექნაო, სხვა რო ყოფილიყო იმდენი არაფერიო, შენს აზრს ყურს უგდებენო და სხვა, და სხვა. ძალისმიერი სტრუქტურების ხელმძღვანელი!.. სადამდის შეჭრილან მწერალთა კავშირის ბატონები?!. ეგება თვით შევარდნაძეც შესძრეს?!. არაფერია გასაკვირი ამათგანა. ცეკას იკლებდნენ. მაბეზღებდნენ. ესეც ჰო ცეკაა?.. ძალისმიერი სტრუქტურების ხელმძღვანელი!..

მე ავუხსენიო:

გიორგიმა:

„ბორიაყი“ დიდი მოვლენაა, „არტისტული გადატრიალებაც“ დიდი მოვლენაა, საერთოდ ოთარ ჩხეიძე დიდი მოვლენაა და თქვენ თუ არ აღიარებთ, ჩვენი კრიტიკა თუ არ აღიარებს, ეს ჩვენი დროის სირცხვილია და მე ამ სირცხვილს გადავარჩინე ჩვენი თაობაო. ვურჩიეო: წაიკითხე შენვე, სხვებს რას უსმენ, — წაიკითხე, 20 გვერდი ჩემი ხათრით წაიკითხე, მერე შენ თვითონ ვეღარ მოეშვებიო. და სხვა მრავალი. სამი საათი ველაპარაკეო.

გიორგი ეჭვობს: შევარდნაძის დავალებით მელაპარაკაო, შევარდნაძესთან დამასმინესო. ახლა ამერიკაში მივდივარ, ემანდ არ ჩამიშალონო...

ოთხშაბათსა, 24 იანვარსა

ცენზურა ჰო ცენზურაო, ცეკა ჰო ცეკაო, — აბა ამათ რა დაეფიცებათ. ოღონდ ჩემთვის ამათზე მეტი ზიანი ცეკას კარს დაახლოებულებს მოუტანიათ, ანთუ დაახლოების მდომებლებსა, — ერთი სიტყვით კარიერას მოწყურებულ მწერლებსა. ისინი მაბეზღებდნენ: აქაოდა უიდეოაო და ბუნდოვნადა წერსო, მერე: დისიდენტია და ბუნდოვნადა წერსო, ახლა: ბუნდოვნადა წერსო. ამას გარდაც გამომიძებნიდნენ სხვა რაღაც ბრალდებასაცა, თორემ უშიშროების დარგის ხელმძღვანელთან არ მიჩივლებდნენ. გამომიძებნიდნენ. ამ საქმეში ისინი ჭეშმარიტად ნიჭიერები ბრძანდებიან, ესაა რო არ გააჩნიათ ნიჭი შემოქმედებისა, — ესაა, ესაა, მხოლოდ ესაა. მაინც ნეტა თუ რას მაბრალებენ?..

პარასკევსა, 26 იანვარსა

როსტომმა „მურმანის ტრაგედიას“ ზურაბ კიკნაძის წერილი დაურთო. არ ეთანხმება. უარჰყოფს სულის გამყიდველსა თუნდაც რო სიყვარულისათვისა. ორთოდოქსი ქრისტიანია, — ეშმაკს უარჰყოფს, ჰგ-

მობს, ყველაფერი ეშმაური ჰგონია, რასაც რო ეშმაკი მიეკარება.

მე წინასწარ ვუთხარი როსტომსა: თუ დაურთავ ზურაბის წერილსა, ჩემი გამოხმაურებაც დაურთემეთქი.

თავიდან დამთანხმდა.

წიგნი გამოვიდა. სწრაფად გამოვიდაო. შენ დაწერილი არა გქონდა. წიგნს დააგვიანდებოდაო. არ ვედავები. ზურაბი დაინდო. მოერიდა. მაინც გამოვეხმაურებიმეთქი. შენ იციო: კიდევაც მოსწონს. თავის წიგნში მაინც ეუხერხულებოდა. შეიძლება მართლაც გამოვეხმაურო, თუ ეს მოდუნება დავძლიე.

აი ვწერ ორიოდე სტრიქონსა და აღარ მეხალისება. მეხალისებოდა. ხელის აღება აღარ მინდოდა, ახლა თვითონვე ვარდება ხელი... აი აჰა — ეშვება, ვარდება...

კვირასა, 28 იანვარსა

სოსო მეგრელიძის დაკრძალვაა. გურამ გვერდწითელსა ვხვდები. მადლობას მოვახსენებ: „კლდეკარის“ ამ ბოლო ნომრის სასტამბო ხარჯები გადაუხდია. სტამბამ დააწერა შეცდომითა. აღარ ახირდა. მადლობელი ვარ რაღათქმაუნდა. ვიწინასწარმეტყველემეთქი, ვეხუმრები, — ყდაზე მივაწერე ნომერსა: „მერანის“ იმედიღა გვრჩებამეთქი. მართლაო. არ მინახიაო, სიამოვნებს. კარგია. ჰონორარს გადავიხდით. ახალ ნომერზე ვიზრუნებთ. ცოტა დახმარებაც კარგია. ერთბაშად იგრძნობ შეღავათსა.

ორშაბათსა, 29 იანვარსა

ისევ ხმაურობს, გუგუნებს, ზანზარებს 19 იანვრის მოსკოვის შეხვედრა. ჩვენ მივიღეთ მაქსიმუმი, რასაც ველოდითო, — ტრაბახობს ბატონი ედუარდი. სხვა ხელშეკრულებანი თუ დადგენილებანიც ნაკლები არ იყო, მაგრამ არ შესრულდა არცერთიო, — მიუგებენ იმედგაცრუებულნი. ახლა შესრულდებაო. თუ არაო და ძალით დაკარგულს ძალით დავიბრუნებთო. რომელი ძალითა?!. რუსეთმა წაგვართვა, — რუსეთის ძალამა. — ვითომ ჩვენ რაღა სხვა ძალას დავუპირისპირებთ ჩვენი სუსტი ძალის გარდა?!. ჩეჩნეთი სხვაა, — ჩეჩნეთს ვერ გაართვა თავი. ამ ვეშაპმა, ვერა, ვერ გაართვა, და კიდევ კარგახანს გასტანს ეს ბრძოლები, იმიტომ, რო ჩეჩნეთი სხვა არის, ჩეჩნები იცავენ თავიანთ მიწაწყალსა. ჩვენ მიგვატოვებინეს, სხვისი მიწაწყალი დაარქვეს, თვითონ ჩაიგდეს ხელში სხვისი სახელითა. ვითომ დაჩაგრული ერის სახელითა და მისი დაცვა ჩვენ აღარ შეგვიძლიან. სხვა არის, როცა დგეხარ და იცავ, სხვა არის, როცა უნდა შეიჭრე. რუსეთი არა სთმობს, დასავლეთი არ გვეხმარება, — თქვენ მორიგდითო, — გვაშოშმინებს: დეკლარაციებითა და რუსეთიც იმეორებს იმავესა, ჩვენ მოვრიგდებითო, იმეორებს მეტი და მეტი მხურვალებითა და გვათამაშებს, გვათამაშებს, გვათამაშებს ეს უსაშინელესი ვერაგი, გვათამაშებს და გვაპამპულებს. ახლა ჩვენზეა დამოკიდებულიო (19 იანვრის შემდეგა). რაც რო აქამდის იყო ჩვენზე დამოკიდებული, ახლაც იგივეა, იგივე იქნება ამის შემდგომაცა. ძალა ჩვენ არა გვაქვს, ჭკუა არა აქვს ჩვენს ხელისუფლებასა, ღმერთსაც არა სცალია ჩვენთვისა, სხვა რაღა დაგვრჩენია: იმედი?.. ჭიან კაკლადაც რო არა ღირებულა?!.

მაინც იმედზეღა ვკიდივართ.

მაინც რას გვიქადის ბედი?..

ოთხშაბათსა, 31 იანვარსა

ესეც ახალი წელიწადი და ესეც ერთი თვე ახალი წლისა, ჩაილია, ჩადნა, ჩაქრა. მალე მიდის, მალე ილევა წლები, რაც ხანში მიდიხარ. უფრო მეტად და მალე. დაფიქრების დროა ჩემი ხნის კაცისათვისა. კვლავაც ბევრი შემხვედრია და კიდევაც ბევრსა ვხვდები დაფიქრებულთა, შეწუხებულთა, სიკვდილზე ფიქრით შეწუხებულთა. საცოდაობაა. საცოდაობაა. თავი შეაკლეს ვისა, რასა, ორდენებსა, იუბილეებსა, ანთუ რაღას არა, ამაოებათა წუთისოფლისათა, და უცებ იგრძნეს სრული სიცარიელე. საოცარი სიმუხთლე წუთისოფლისა. იგრძნეს. განიცადეს. შეწუხდნენ. დაფიქრდნენ. შეწუხდნენ. სიკვდილმა დააფიქრა. სიკვდილმა შეაწუხა. გარდაუვალობა გარდაუვალობაა. სიკვდილი კარიერა არ არის. რას იზამ, რას იზამ: სიკვდილი კარიერა არ არის. ოი რა საოცარი სახეებია!.. სახეები სიკვდილზე მოფიქრალთა!.. მე არ მაფიქრდება სიკვდილი. არა!.. არათუ იმიტომა, თიქოს რო სალი კლდის გული მქონდეს, არა, — მე უკვე ვიფიქრე სიკვდილზე, ბევრი ვიფიქრე, 21 წლისა რო ვიყავი, მაშინ ვიფიქრე, მაშინა და მერე კიდევ რამდენიმე წელიწადსა და მოვრჩი, მოვინელე: ვიცი თუ რა არის, ვიცი, რო უაზრობაა სიკვდილის ფიქრი, უაზრობა: ამაოებაა ფიქრი ამაოებაზე. ამაოება ამაოებაა. სხვა განსაზღვრება არ მოეპოება. მაშინ დავასკვენი ასე და დღემდისაც სხვა ვერაფერი ვპოვე, რამდენიც არ ვიკითხე ფილოსოფოსნი ძველ ბერძნებიდან დღევანდლამდისა. ვერაფერი. მეტი ვერაფერი. ეს თვეც გასრულდა. მოიხედავ და გასრულდება ეს წელიწადიცა. ეს მოფიქრალნი წავლენ, სხვა მოფიქრალნი მოჰყვებიან. მოჰყვებიან და წაჰყვებიან. წუთისოფელი წუთისოფელი იქნება, მხოლოდ წუთისოფელი, იფიქრე რამდენიც გენებოს. იფიქრე. იფიქრე.

კვირასა, 4 თებერვალსა

ქარი ჩადგა. ჰყინავს. ნავთი გამოგველია. მენავთე მირწყავს, თან თვითონვე ბურდღუნებს: გააძვირესო. გუშინ 1 ლიტრა 40 თეთრი ღირდა, ახლა 70-აო. რას იზამ!.. საბაზრო ეკონომიკააო, — ამასაც მენავთე ამბობს. მე ხელებს ვიორთქლავ. ვიორთქლავ, ვიფშვნეტ. კოტე ჩოლოყაშვილიცა, ალბათ ნავთისათვის რო მოსულა: ჩვენ თქვენგანა ვღებულობთ სითბოსა, — მეუბნება, — თქვენც ხელებს იფშვნეტთო. რას იზამ, — სითბოს თუ გასცემ, შენ აღარა გრჩებამეთქი. დაიტოვეთ, დაიტოვეთ, თორემ არავინ შეგიბრალებთო, — ცოტა დაიტოვეთო.

პარასკევსა, 16 თებერვალსა

ოიდიპოსის კომპლექსი, როგორც რო დამკვიდრდა, ვერ უნდა იყოს მთლად გამართლებული. ვერა. არ უნდა გამოჰხატავდეს, ანთუ არ გამოჰხატავს, — ითქვას ასე პირდაპირა, — იმასა, რის გამოხატვაც მოუნდომებიათ. არა. ოიდიპოსი ბედისწერის მსხვერპლია. სხვა რამ გაგება ოიდიპოსის უბედურებისა არღვევს ბედისწერის გაგებასა, ბედისწერის კულტს არღვევს, და გვაშორებს მითოსის სამყაროსა. ეს ბედისწერაა, ადამიანი რო ვერსად წაუვა, რაც უნდა ეცადოს, ანთუ როგორც არ უნდა დაიხლართოს ცხოვრებაი მისი, ვერსად წაუვა, მსხვერპლია მისი. ბედისწერა და ლიბიდო სულ სხვადასხვა ცნებებია, სხვადასხვა საწყისებისა თუ გარემოებათაგან მომდინარეობს. ბედისწერა უკვე ცივილიზებული ადამიანის შიშია ოდესღაც არსებულის გამო, უზნეობად რო ქცეულა, შიშია პოლიგამიისა, ხსოვნას რო შემორჩენია. შიშია, შიში, — თუნდაც ნასახადაც რო განმეორდეს, თავზარდამცემია. ნასახადაც. ნასახადაცა. ის გარდავლილია, მობრუნება მისი უბედურებაა. ბედისწერა შიშია. ბედისწერა წარსულის მოგონებაა, თუნდაც რო მოგონებაი ბნელი, შეუმეცნებელი. ქვეცნობიერი ჰო ჯერ გაუღივებელი მიდრეკილებანია. არსებული თუმცა რო ბნელი, ოღონდ არა რო გარდასული არა, გაუღივებელი. მკრთალად რო ფეთქავს, მეტისმეტად მკრთალადა, მეცნიერებისთვისაც რო ძლივს ასახსნელია, ხალხისათვის სრულიად გაუგებარი?.. ირწმუნებიან, რო ადამიანში არსებობს მილიარდობით უჯრედები, ჯერაც რო არ ამოქმედებულანო, ქვეცნობიერი იმათი ყრუ გამოვლენა არისო. ცოტა სხვა ახსნაცაა, ოღონდ თუნდაც აქაც რო შევჩერდეთ, ანთუ სწორედ აქ რო შევჩერდეთ, ოიდიპოსი მაინც არაფერ შუაშია. ოიდიპოსს ეყოფა უბედურებაი თავისი, ნუღარ დავუმძიმებთ უარესადა. ქალიშვილის მაგალითი, ავადმყოფ მამას რო უვლიდაო, და რო შეირყაო, არა კმარა მტკიცებად იმისა, ოიდიპოსის თქმულებას რო დავუკავშიროთ. ეს არ არის ბედისწერა, ქალიშვილის მაგალითი, ის ბედისწერაა. ეს არ მოჰხდებოდა, ქალიშვილი რო ავადმყოფი არა ყოფილიყო, ის მოხდებოდა. და მოხდა, თუმცა რო ვაჟკაცი ვაჟკაცი იყო, გმირი იყო. იქ ავადმყოფობაა შუაში, აქ ავადმყოფობა არაფერ შუაშია. ეგებ, რო სულის ავადობა მაინცდამაინც შორს არ არის სხეულის დაავადებისაგანა, ეგებ, რო სულის ავადობას მიჩეჩებულ სხეულებრივს უკავშირდება და ზნეობრივ სფეროში ძიება ამა მიზეზებისა ეგება რო უფრო ართულებს საქმესა?.. რაც უნდა იყოს: ოიდიპოსი აქ არაფერ შუაში არ არის. არა.

კვირასა, 18 თებერვალსა

რამდენი დღე გამომრჩენია?! არც რო წერა აღარ მეხალისება, აღარც ფიქრი მეხალისება. თუ ვფიქრობ — რომანზე, — ჩაჯდომის დროა. გარეთ გაზაფხულივითაა. შინ ისევა ცივა. ცოტაც და დათბება. მეც თუ მიშველის დათბობაი, — საკითხავი აი ეს არის!.. ახლა სოფელში მირჩევნიან. მზეწვიები ახმაურდებოდნენ. თუ ჯერ ადრეა?..

სამშაბათსა, 20 თებერვალსა

ლაღიძის წყლებზე ალაპარაკდნენ. დავკარგეთო. ნანობენ. იმასაც ამავე წლებს აბრალებენ. არადა დიდიხანია დაიკარგა. წესრიგი ჰო მყარდება. რაღა გვიშლის, აღვადგინოთო. ლაღიძეები ჰო არიანო. ჭავჭავაძეებიც არიან, ოღონდ ილია აღარ არის. უკანასკნელი ოსტატი მიტროფანე იყო. იმასაც უშლიდნენ ხელსა. კერძო წარმოების უფლება ჰო აღარა ჰქონდა, ქარხანას თავისი გეგმები ჰქონდა. ხელს უშლიდნენ. მაინც იყო რუსთაველზე ერთი დარბაზი. თავს იყრიდა ხალხი. სიამოვნებდა. ლხინობდა. საკრებულოსავით იყო: ესეც რო არ მოსწონდა ხელისუფლებასა!.. მაინც როგორღაც იყო. მართლაც რო აღდგებოდეს!.. მართლაც დიდი საიდუმლოებაც არ უნდა იყოს. ერთხელ მიტროფანესათვის უკითხავთ: ეს რა საიდუმლოება გაქვთ ლაღიძეებსაო; დიდი არაფერიო: კარგად შემოსული ხილის წვენს ვაყენებთ, კარგად შემოსულისა და ჯანსაღისაო, შაქარს ვაძლევთ ზომიერადაო. ეს არის და ესაო. ეს იმ დროსა, როცა ყველა ყველაფერს იპარავდა, ყველგან სიყალბე გაბატონებულიყო. იცინოდნენ. არა და მართალი უნდა იყოს. საღი ხილის წვენი, — დამპალისა არა. საღი. საღი. ყველაფერი საღი და ზომიერი, — კარგიც ეს არის. კარგიც იყო, გემოვანი. სურნელოვანი. ნაირნაირი. ფერადფერადი. ბზინავდა სასხმურები. ბზინავდა. ტრიალებდა. ბზრიალებდა. ელავდა. ფერადფერადადა. კარგი რამ იყო!.. კოკა-კოლა შეედრება?!. ვაი ჩვენს მოსწრებასა!.. კოკა-კოლამ აგვიღო. წაგვიღო. წაგვლეკა. თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასაო. ეტყობა ასე ვართ ჩვენი დღენია. ეს ანდაზა გუშინდელი ჰო არ არის?!. ეტყობა. ეტყობა.

ხუთშაბათსა, 22 თებერვალსა

რამაზანის დღეობა ყოფილა.

ვიღაც ქალიშვილი რეკავს ტელეფონსა. გია ლომაძის გაზეთიდანა ვარო. პარლამენტის გაზეთი გახლდა. ახლა საპრეზიდენტო იქნებაო. ჰო: დაგვიწერეთ წერილიო: როგორ გადავიტანეთ 1992-1995 წლებიო. ბავშვობაშიმეთქი, სექტემბერში, სკოლაში რო ვბრუნდებოდით, გვაძლევდნენ საშინაო დავალებას, ხან საკლასოსამეთქი: როგორ გავატარე ზაფხული. ახლა სიბერეში: როგორ გავატარე ზამთარი, — შესაფერისიამეთქი. მაგრად გავატარე და გახსენება აღარ მინდამეთქი. არ დაწერთო. არამეთქი. გმადლობთო. მეც მადლობელი ვარ ასე ადვილად რო მოვრიგდითმეთქი.

გამოერევა ასეთი დღეები. ისე, ჩვეულებრივ დუნედ მიდის ჩემი დღეები. დუნედა. დუნედა. მოწყვეტილადა. დავმჯდარიყავი და დამეწერა, რა იქნებოდა?!. ვახტანგსაც უარს ვეუბნები: „მარტინ იდენისათვის“ დამიწერე წინასიტყვაობაო. „ნაკადულში“ გამოდისო. უარს ვეუბნები. როსტომი თანხმდება: მე დავწერო. აი ენერგია, აი ახალგაზრდობა!..

კვირასა, 25 თებერვალსა

„აი ქალი კალიგულას თვალებითა და მერლინ მონროს ტუჩებითა!..“ უთქვამს ფრანსუა მიტერანსა. ვგონებ. კარგი ნათქვამია. მიგნებული პორტრეტია მარგარეტ ტეტჩერისა. ესეც ყოჩაღი ქალი ხანს ეს თანსუს ჩილერი, თურქების პრემიერი, ამასაც უნდა ასე მოხდენილი დახასიათება, მიტერანის დონის პორტრეტისტი უნდა. ქალთა პორტრეტები ეხერხებოდა, ქალებითაც იყო გატაცებულიო. ახლა სახელმწიფო მოღვაწეები ქალებს ერიდებიან. ეს არ ერიდებოდაო. უშიშარი კაცი ყოფილა.

ორშაბათსა, 26 თებერვალსა

თოვლმა შემოფერფლა მთები, სახურავები დაფერფლა თბილისისა. ზამთარმა კუდი მოიქნიაო, იტყვიან. მერე ერთი პირობა გაზაფხული გაგვახსენებს ზამთარსა და ამით მოთავდება წლევანდელი სიცივეებიცა და სიბნელენიცა. ისევ დღე გვიშველის, ისევ მზე გვიშველის. გვიხსნის, გვიშეღავათებს. და ეგებ რო გავაგრძელო „თეთრი დათვი...“ მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო: ძალა აღარ შემწევს და სიცივეს ვაბრალი. ახალგაზრდობისას სიცივე ვერ მიშლიდა ხელსა, ვერც რო ვერაფერი მიშლიდა ხელსა. აგერა: ცივა როსტომის ოთახშიცა, ცივა, არ ეპუება. ასე უნდა. მაინც არა უჭირს რაო: თუ სითბოს მეტი არაფერი მიშლის ხელსა, — დათბება — ვნახოთ. თვალთაც მაკლდება. აი კიდევ მიზეზიო. უნდა მოვასწრო. მაკლდება. მაკლდება. ქუჩაში ვეღარ მიცვნია ხალხი, ზედ თუ არ წავადექი. სათვალე აღარა მშველის. კითხვაც მიჭირს. ეეე... მოგცლია!.. მავიწყდება, რო მესამოცდათექვსმეტე წელში ჩავმდგარვარ. მავიწყდება. როდემდე ხარო წიქარაო?!. გეყოფა. დამშვიდდი!.. ბებერი ხარისა რქებიც ეწევიანო. არა, თურმე არა!.. თუ ეწევიან და: ვინ უწყის რა ძალისხმევა სჭირდება!.. ან ეს ძალა სადღაა, თორემ ვინ თავმკვდარი რამეს დაიშურებდა!.. მაინც კარგი ანდაზაა: ბებერი ხარისა რქანიც ეწევიანო. ანდაზაცაა და პოეზიაცა. ანთუ: ანდაზები პოეზიაცაა. აქ რო მეტაფორებია დიდ პოეტებსაც შეშურდებათ. ანდაზებს ივიწყებენ და პოეზიას ივიწყებენ; ანდაზებს ივიწყებენ, იმ ენას ივიწყებენ, — რა ენაღვლებათ!.. უცხოური ტერმინებით იოლად გადიან, — აქაც არგიათ და უცხოეთშიცა. ათიოდე ტერმინი და ამერიკამდის ივლი. ივლი. ივლი. დაბრუნდები და შინაც იგივე ტერმინები დაგხვდება: ანუ: ენა დაგხვდება გაღატაკებული. ქვეყნის სიღატაკე გვერჩივნოს!.. შემოფერფლა თბილისი და ეტყობა მეც დამფერფლა: საიდან სად წავედი?!.

ფერფლავს. ფერფლავს. დილაა. შუადღისათვის გადაიქარება. აშრება.

სამშაბათსა, 27 თებერვალსა

ფერფლავსმეთქი... დასდო. თოვლი დასდო. კუდი მოიქნია ზამთარმამეთქი, — შემობრუნდა, შემობრუნდა ზამთარი. იცის ხოლმე: ზამთარი შემოდგომასა ჰგავს, გაზაფხული — ზამთარსა. იცის თბილისმა ასეთი უცნაურობაცა, იცის, იშვიათადა, მაგრამ იცის. ახლა არ ივარგებს. რას იზამ!.. ბუნება ჩვენ არას გვეკითხება, ღმერთი ჩვენ არას გვეკითხება, ხელისუფლება გვეკითხება, ოღონდ რაც უნდა იმას აკეთებს, თვითონ რაც უნდა რაღათქმაუნდა. ოღონდ ღმერთმა ჰქნას, რო კარგი უნდოდეს და კარგადაც აკეთებდეს. ღმერთმა ჰქნას!.. მაგრამ... ჰო, მაგრამ როგორღაც ასე არ უნდა მოსჩანდეს.

ოთარ ჩხეიძის გამოუქვეყნებელი ჩანაწერები

ავტობიოგრაფიული რომანიდან „დროდადრო“

ორშაბათსა, 4 მარტსა

„კავკასიის მშვიდობის დოქტრინა, — ახალი ნაბიჯი დიდ პოლიტიკაში, შევარდნაძის დოქტრინა!..“ აცხადებენ, ჰღელავენ, მოხიბლულან. ეს აზრი, იდეა, მრწამსი ფარნავაზიდანაა ცნობილი საქართველოში, არც არასოდეს შენელებულა, აგერ აქამდისა — გამსახურდიაც კავკასიის ერთიანობის იდეას მოუწოდებდა. ჯერ აიგდეს, ახლა შევარდნაძის დიდ პოლიტიკად აცხადებენ. გასაკვირი არ არის რაღათქმაუნდა, არც უჩვეულოა, რაღათქმაუნდა, ოღონდ მოხერხდება თუ არა ამჯერად მაინცა კავკასიის ერთიანობა, — მოხერხდება?!. არა რათქმაუნდა; მშვიდობიანი კავკასია არ არის ხელსაყრელი რუსეთისათვისა, არა, არ არის. არ გაეგება და იმიტომა. იმპერიის ვნებისაგან დამთვრალა და იმიტომა, თორემ რა სჯობიან მშვიდობიან კავკასიასა. რა სჯობიან: კავკასიისათვისაცა და თვითონ რუსეთისათვისაცა? რა სჯობიან?!. არაფერი. კონფლიქტები კავკასიაში ბოლოსდაბოლოს დაღუპავს რუსეთსა. აგრემცა ყოფილა!.. ოღონდ რუსეთს უნდა მშვიდობიანი კავკასია რაღათქმაუნდა, ოღონდ თავის ხელქვევითა. კავკასიას არ უნდა არავის ხელქვევითა. კავკასია თავისებური მოვლენაა და ეგებ ითქვას, რო: ცალკე მატერიკია. ისე თავისებურია, არცერთ სხვა მატერიკს რო არ შეედრება. არა, არა, არ შეედრება. ამიტომაცა შლიან, არღვევენ, ანგრევენ და ანიავებენ, — ეშინიანთ მისი ერთიანობისა. ქართველმა მეფეებმა ეს იცოდნენ. ვახტანგ მეფემ იალბუზზედაც შესდგა ფეხი. მაგრამ დაუცდათ მერე, თორემ აქამომდე კავკასია თვითონ იქნებოდა გზის მაჩვენებელი მსოფლიოსათვისა და არა საჯიჯგნი ვიღასი აღარა და ამ ბოლო დროს ამ აყროლებული რუსეთისა.

ღმერთმა ქნას თავისი გაიტანოს კავკასიის მშვიდობის იდეამა. ღმერთმა ქნას! ვისაც უნდა მიეწერებოდეს...

პარასკევსა, 15 მარტსა

ძველებურადაც მოდგა გაზაფხული. მოქურუშდა. ზამთარს უჭირს რო გამოგვეთხოვოს. გაზაფხულს დადგომა უჭირს. იჭირვეულებენ, იჭირვეულებენ და გაიმართება გაზაფხული. ხან ვერც გაიმართება ხოლმე, ზაფხული ისე შემოვა. ვერც რო გავიგებთ გაზაფხულსა ხოლმე. უცნაურია გაზაფხული თბილისისაი. შემოდგომაა დინჯი და მშვიდი. გაზაფხული აფორიაქებულია. ხან რო შემოდგომაც აჭინჭყლდება, გაბერწდება ზამთარიცა და გაზაფხული მაინც თავისას არ იშლის, გეგონება ორი დროღა დარჩენილა თბილისშიო: ზაფხული და შემოდგომაო, ანთუ ზაფხული და გაზაფხულიო, ანთუ რაც უნდა ითქვას ზაფხული მაინც ზაფხულია, ნირს არ იშლის ზაფხული თბილისისა, სხვა დანარჩენი არეულია, აფორიაქებულა და ხალხიც ისევეა: აშლილი და აწეწილი. ძნელად გაირჩევა: რომელი უფრო ამღვრეულია. ძნელადა. ვითომ თუ ცოტა განსხვავებულა, ეგეც არაფერი, — მალე შეერწყმიან ერთიმეორესა, შენივთდებიან: აირევა ბუნება და აირევა ადამიანიცა, აირევა ადამიანი და აირევა ბუნებაცა. აირევა და გადაირევა. დამშვიდება ბუნებას მაინც ეღირსება, ადამიანს არა, არა, არ ეტყობა საამისო არაფერი. ეს ჰო თვითონ, თავისთავადა. ახლა ეს რუსების საიდუმლო სამსახურები, იმათი საოცარი და საშინელი ხვლანჯები, ინტრიგები საშინელი და ეს ჩვენ საოცრად გაბრიყვებული ხალხი!.. რა ეშველება, რა გვეშველება?!. ხალხს რო ურევენ ისინი, ბუნებასაც ისინი ჰო არა?!.. ეგება რო არც გაგვიკვირდეს...

მოქურუშდა. მოიბურა. ჩამობნელდა.

მოდის გაზაფხული. არ მიდის ზამთარი.

ჭიდილია... ჭიდილი...

ორშაბათსა, 18 მარტსა

კაი გვარიანი თოვლი დასდო. ასეთი თოვლი ამ ზამთარსა იანვარშიაც არ მოსულა. გადაბარდნილია თბილისი. მაგრამ და რაო, — კმარა რო ერთი თვალი გადაავლოს მზემა, შიშით გაჰქრება თოვლი. გაჰქრება. გაიპარება. ზამთრობანას თამაშია. ბუნება თამაშობს. ბავშვობს. მარადიული ბავშვია ეს ჩვენი ბუნებაი. ბუნების თამაში ბუნებაში უკეთესია. თბილისში ვერ მოსჩანს ისე კარგადა. ქალაქმა ბუნება გააფუჭა და ბუნებამაც უგანა ქალაქსა. ქალაქში ბუნებას მოწყვეტილი ადამიანია. უადამიანო ბუნება თავისთვის მაინც კარგადა გრძნობს თავსა, უბუნებო ადამიანი ვერც იგებს თუ რა აკლია, — ვერც იგებს რო ყველაფერი აკლია და ეძიებს მხოლოდღა ამაო კმაყოფილებასა. ეძიებს. ჰპოვებს. ჰგონია ცხადია. ჰგონია. ავიწყდება რო ამაოა ყველაფერი. ავიწყდება. ამაოების დავიწყებაც რო არ იყვეს, მაშინღა იგრძნობს ამაოების სიმწვავესა ადამიანი. იგრძნობს. იგრძნობს. გასაცოდავდება. დავიწყებაც კარგი რამა ყოფილა ამქვეყნადა. არ მაგონდება დავიწყების ფენომენი თუ უკვლევიათ ფილოსოფოსებსა. ეგებ რო დამავიწყდა, ეგება რო არც უკვლევიათ. რა იქნება, რო შევუდგე ამის კვლევასა და უცებ გამახსენდეს, ანთუ წავაწყდე ეგება, ყველაფერი ეს რო დიდიხანია მიკვლეულია და გადაწყვეტილი, ანთუ განსაზღვრულია?!. რაც იქნება, იქნება, — მე ამის კვლევას არ შევუდგები, — თუ გამახსენდება და გამახსენდეს. ეს თამაშიც მოთავდება ბუნებისაი, ჩამოთბება. მივუბრუნდები „თეთრ დათვსა და თეთრ მელასა“. დღესა თუ ხვალ შეხვდებიან ერთმანეთსა ოფიციალური ვიზიტის სახითა. რუსეთის სათათბირომ დაადგინა: გაუქმდეს გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირის დაშლის შესახებაო. კარგ დროს შეჰხვდებიან. თამაში გრძელდება. ბუნება თამაშობს. ადამიანები თამაშობენ. თამაშია მარადიული. ახ, ეს დავიწყება რო არ იყოს...

შაბათსა, 23 მარტსა

ტელევიზიამ გაიხსენა ლადო გუდიაშვილი: მარტში დაიბადაო, დევნის მერე თუ ისევ რო დევნიდნენ, გამოფენა მოვუწყე გორში. ზეიმით შევხვდით. გაიხარა. თავისი განთქმული კინტაურიც იცეკვა. გამოფენის დახურვის შემდეგ სურათები აფენდი კობერიძეს გამოვატანე. ჩემთვის სახსოვრად ნიკოლოზ ბარათაშვილის სურათი (ადრინდელი) უკან გამოეტანებინა ლადოსა. მე სურათი შინ არ წამიღია, ინსტიტუტშივე დავტოვე. ლადოს ალბათ სადმე აქვს აღნიშნული, სურათი რო მე მისახსოვრა... ალბათ... ეგების...

ორშაბათსა, 25 მარტსა

ლადო გუდიაშვილს რო გავეცანი, ჯერკიდევ დევნიდნენ. ჯვარს იყო გაკრული. ზამთრის სუსხიანი საღამო დამდგარიყო, — საღამომეთქი, — უფრო შუაღამე იქნებოდა: ჩვენ „ორიანტის“ რესტორნიდან გამოვედით, ახლა მიწასთან რო გასწორებულა 1991-92-ის ზამთრის შედეგადა. გამზირი შეცვლილიყო, კაცისშვილი არა ჭაჭანებდა. შევმთვრალიყავით. სიმონი ხალისობდა. ჰყვებოდა. ჩერდებოდა. თითქოს შინ არც ეჩქარებაო. ჩვენ დაგვრჩენია თითქოს რო გამზირიო. ვიღაცამ ჩაგვიქროლა, უცება, მოსხეპითა, თითქოს ისარმა გაისროლაო.

„ლადო არ არის ესა?!.“ შესძახა სიმონმა. ოპერასთან ვიყავით.

ლადო აღმოჩნდა. შეჩერდა. მობრუნდა. სიმონს გაუწოდა ხელი. მერე — მე, და ხელს რო გვართმევდა: მარცხენა ხელი გადაიტანა მარცხენა ფერდისკენა, უბეში რაღაც მოეფარებინა პალტოს შიგნითა, — იმას მიაშველა. მალე გამოგვემშვიდობა. მოგვებოდიშა. წავიდა.

„სურათი თუ მიაქვს გასაყიდადა... ვიღაცას შეუთანხმდებოდა...“ ამოიოხრა სიმონმა. „არც მყიდველია სადმე... თუ გამოჩნდა, ჩუმად უნდა მიიტანოს. აკრძალულია მაგისი სურათების გავრცელება, — ეს ჰო ასეა, საერთოდ მხატვრებს არცა აქვთ ნება თავიანთი სურათები რო გასცენ თუ გაჰყიდონ, — სახელმწიფო საკუთრებაა?!.“ შეჩერდა. ვერ აეხსნა. იდგა. ვიდექით. მერე გავწიეთ...

ჰყინავდა, ჰყინავდა მშრალი ზამთრის ყინვითა.

გავწიეთ, ოღონდ ნეტავ სადაო, არსად გზა რო არ ილანდებოდა!.. აღარ მოსჩანდა რო აღარც ლადოი... აღარა.

სამშაბათსა, 26 მარტსა

ვფიქრობდი: ბადრი ჭოხონელიძეს შევუვლი, ახალ ნომერს თუ ადგენს „დრამატურგიისა“ „აშოტ კუროპალატს“ გადავცემმეთქი.

„დრამატურგია“ დიდი გაჭირვებით გამოდის. მაინც კარგია, რო გამოდის. ანთუ სხვა რა არის დალხინებული ამ ჩვენს უბედურ საქართველოშია!.. თეატრები რაღას არა დგამენ, თუმცა ისინიც გაჭირვებითა, მაგრამ მაინც რაღა უცხოსა დგამენ და ქართული რატომ აღარ აგონდებათ?!. რაც უნდა იყოს „დრამატურგია“ ჩუმი პროტესტია ამ ჩვენი უთავბოლო თეატრების მიმართა. ჩუმი?!. თავშიც რო ურტყა, ვერაფერს შეასმენ!.. მაინც კარგია, კარგი, „დრამატურგია“ რო გამოდის. შევუვლი. დაიბეჭდოს „აშოტიცა“...

საღამო ხანს როსტომი დაღონებული ბრუნდება შინა: ბადრი გარდაიცვალაო.

საცოდავი!..

ორშაბათსა, 1 აპრილსა

წვიმს. მთის გზებით მივდივართ, ხეობის გზებითა. ფრიალოებია. ოღროჩოღროებია. მანქანა უცხოურია, კეთილმოწყობილი. ოღროჩოღროსათვის შესაფერისი. მძღოლი, — მანქანის პატრონი, — ენაწყლიანი კაცია. ლაპარაკობს. ლაპარაკობს, რაღას არ ამბობს. ვუსმენთ. ვუსმენთ. სამნი ვართ. ჭაბუა ამირეჯიბი, გივი გეგეჭკორი და მე. უცებ ლაპარაკში მძღოლი გამოურევს: სიკვდილმისჯილთა საკანშიო. ჭაბუა დროს იხელთებს: ორჯერ ვიჯექი სიკვდილმისჯილთა საკანშიო. მძღოლი თავისას მიერეკება. გივის ეტყობა მოსწყინდა იმისი ლაპარაკი: როგორია სიკვდილმისჯილთა საკანიო, — ჭაბუას ეკითხება. მძღოლი ისევ მიერეკება. ჭაბუა აყოვნებს. სიგარეტს უკიდებს. მე ვუხსნი გივისა. მერე მეცინება: ჭაბუა აქა ზის და მე აღგიწერ სიკვდილმისჯილთა საკანსამეთქი. გივისაც ეცინება: როგორიაო, ისევ ჭაბუას ეკითხება. „ეგრეთი, ეგრეთი, — ხრიწინებს ჭაბუაი, — ოთარი როგორც გეუბნება“. მძღოლი ვის აცდის: ის უკვე შტეფი გრაფსა თუ იმისი ყალიბის ჩოგბურთელებზეა გადასული. მიერეკება. მიერეკება. მარჯვენა ბორბლები ფრიალოსა სერავენ ნახევრადა. გადავეშვებიო თუ არა, — ჰა და ჰა...

სამშაბათსა, 2 აპრილსა

ძველი ამბავია, — ალბათ 1936 წელი იყო. რა დრო გასულა!.. სიცხე მქონდა. სკოლაში ვერ წავედი. მაგრამ უფრო ის მაწუხებდა: სამწყობრო მომზადებაზე რო ვერ გამოვცხადდებოდი. გაკვეთილების გაცდენას გაპატიებდნენ — ავადმყოფობის ცნობითა, სამწყობრო მომზადების გაცდენას არა. 7 ნოემბრისათვის ვემზადებოდით. არ გვეპატიებოდა. სიცხემ დამინია, ცოტა დამინია. გავიქეცი. მივუსწარი. ეწყობოდნენ. ჩვენი კლასი ვერ ვიპოვნე. სამხედროს მასწავლებელი და ფიზკულტურის მასწავლებელი შფოთავდნენ. მე გადამაყარეს ცეცხლი: სად არის კლასიო, მე არაფერი არ ვიცოდი, მე ჰო გაკვეთილებსაც არ დავსწრებივარ... ჩამაყენეს სხვებთან ერთადა. საყვედურებსაც არ მაკლებდნენ. კლასი გაპარულიყო. „შატალოო“ — „შატალო დაერტყათ“... მე რა ვიცოდი?!.. მეორე დღეს კლასში შემოიჭრა დირექტორი განრისხებული. თან ახლდნენ: სამხედროს მასწავლებელი, სპორტის მასწავლებელი, დამრიგებელი რაღათქმაუნდა. სამაგალითოდ უნდა დაგსაჯოთო, — დირექტორმა. ჟურნალი აიღო, ჩაიკითხა გვარები. გვარები ისეთი, ყურს რო არავის მოსჭრიდა და უცებ დასჭექა დირექტორმა: „ჩხეიძე!..“ ავდექი. „გარიცხული ხარ სკოლიდანა!..“ — დასჭექა დირექტორმა, დასჭექა ისე, თითქოს ბარემ უნდა გადამყლაპოსო. „ეგ იყო...“ მომეშველა ფიზკულტურის მასწავლებელი: „მარტო ეგ იყო!..“ „მარტო?!.. ჰა, ჰა, ჰა...“ მრისხანედ გაიცინა დირექტორმა: „მარტო!.. კლასი განაზრახა, გააპარა და თვითონ დარჩა, ვითომ მამა აბრამის ბატკანი ვარო!.. ჩხეიძე!..“ გაიჭიმა: „გვარი გაუსინჯე!.. ჩხე... ი... ძე!.. წადი. დასტოვე სკოლა!..“ მრისხანე წლები იყო ჩემნაირი გვარებისათვისა...

სამშაბათსა, 9 აპრილსა

აღარ მაგონდება ეს დიალოგი შექსპირის რომელი ნაწარმოებიდანაა და ვინა ლაპარაკობენ: ერთი ეკითხება — რამდენ ხანში იხრწნება კაცი გარდაცვალების მერეო. მეორე მიუგებს, — გააჩნიაო, თუ სიცოცხლეშივე არ არის გახრწნილიო... — შექსპირია რაღათქმაუნდა, ოღონდ რა ადგილასა?.. გადავეყრები. მესაფლავეები ჰო არა?..

ოთხშაბათსა, 10 აპრილსა

ეს არ არის დღიურები. დღიურებიც ჟანრია, მხატვრული ჟანრია, მოფიქრება და გულმოდგინე დამუშავება უნდა. ეს ჩანიშვნაა. ზოგჯერ რაღაც მნიშვნელოვანსაც ჩაინიშნავ. ზოგჯერ მნიშვნელოვანი გაგეპარება. რაღაც უმნიშვნელოს ჩაიწერ, თითქოს ხელები გეცმადუნებაო. ამასაც არა უჭირს რაი, — ხელი არ უნდა მოცდეს, უნდა იმოქმედოს, რახან მწერლობა მოუნდომებია, უნდა წეროს, წეროს და წეროს, არ უნდა დაბლაგვდეს. მწერლობა ისაა, კალამს რო აიღებ ხელში, ხელი რო თავისით ამოქმედდება და აზრს რო გამოიწვევს? სურათებს რო გამოიწვევს, სიუჟეტს რო გამოიწვევს, სახიერებანი წარმოსდგებიან და ფერწერა იწყება. ფერწერა. მწერლობა ფერწერაა, სიტყვათა ფერწერაი. სიტყვები. ფერები. სიტყვები. მუსიკა. რხევა. გრიალი. ჭექა-ქუხილი რო გადადის. სიტყვა სამყაროა, ადამიანური სამყაროი. სამყარო ჰო ადამიანია... და არც რა უჭირს რაი: უმნიშვნელოს თუ ჩავინიშნავ, მნიშვნელოვანი თუ სადღაც მიმრჩება და აღარც მომაგონდება: ორივე იგივეა, ორივე ჰო ადამიანურია: მნიშვნელოვანიცა და უმნიშვნელოცა?!. ორივე იგივეა, ყველაფერიც იგივეა... სხვებმა გაარჩიონ. ისე მაინც ისა სჯობიან: ყველაფრის ჩანიშვნა რო მოხერხდებოდეს. ისა სჯობიან. ბევრ რამეს ვერიდები. ბევრი მინდა, რო უფრო სრულად დავწერო. ვეღარ ვიცლი. მცირედადაც აღარ აღინიშნება. რაც არის არის. ესეც არ იქნებოდა: ნატოს რო არ მოეტანა ეს რვეული. ადრეც ვინიშნავდი. მომბეზრდა. ამ რვეულს მაინც შევავსებ. დღეები თუ გამომრჩა, — გამომრჩება რაღათქმაუნდა, — მივუბრუნდები და მაინც შევავსებ. იყოს ნატოსთვისა სახსოვრადა. მეტს რას დავუტოვებ...

ეროვნული ბიბლიოთეკა



გიორგი ლობჟანიძე

* * *

საით გავიქცე, ჰორიზონტიც თუ თვითონა ვარ...
ლაშქარი, ჩემივ თავთან ომში რომ ვიჟუჟები...
კი არ მიყვარხარ, თითქოს სულელ ყმაწვილს, ონავარს,
ჩაუმტვრევია მთელი სკოლის ფანჯრის შუშები...

* * *

ნუ გეშინია, დედა,
განა მართლა მარტო ვარ...
ყველგან დამყვება ჩემი თავი,
ხედავ, ორნი ვართ...
ეს ერთი მაინც არასოდეს არ მიმატოვებს...

* * *

წარმავლობამ მკითხა:
„საით გაგიწევია?“
მე მეგონა,
შინ ვბრუნდებოდი...

LUCKY STRIKE

ავტობუსი ჩერდება და
ამოდის კაცი.
ჭუჭყიანი პირბადე აქვს
და პირბადე ფარავს ნაოჭებს,
ერთ დიდ ნაოჭად გადაქცეული.
ჟაკეტიც ზუსტად ასეთივე აცვია,
ძველი,
გახუნებული და ლაქებით მოხატული,
თითქოს ისე საგულდაგულოდ,
რომ როცა ჩემკენ ზურგით დგება,
ძლივსღა ვარჩევ
ოდესღაც თეთრ და მოზეიმე წარწერას
წრეში:
Lucky Strike —
ერთ დროს ალბათ სიგარეტის რეკლამა იყო,
რომელიც ახლა ამ კაცის მიმართ
შენგან, ღმერთო, უსასტიკეს დაცინვად ჟღერდა.
ეტყობოდა, რომ არასოდეს გამართლებია:
ჩვენნაირებს კორონა თუ შეგვხვდება მხოლოდ.
Lucky Strike —
წამღერებით ვიმეორებ გუნებაში
და უცებ ვხვდები:
ეს იქნება ჩემი ჰიმნი,
ჩემი წმინდა მარსელიოზა,
როდესაც შენს სასუფეველს ბრძოლით ავიღებ...

ჭრიჭინობელა

ვიქტორას რუდჟიანსკასს

პატარა ერის დიდი შვილები
სულ დანაღმულ ველზე დადიან,
არ იციან,
წინ როდის რა აუფეთქდებათ.
მაინც მღერიან:
ჩემო კარგო ჭრიჭინობელავ,
ჩემი სექტემბრის ღამეების ჟოგიალესო*,
მე აღარ ვიცი,
როგორ უნდა მოგიალერსო,
რომ
ამ ველის მარტოობა შეგიმსუბუქო,
ღვთის ხელი თუ არა,
შენს მხარზე,
როგორ ვიყო
საყვარელი მეგობრის ხელი...
ამ სიმღერას ხომ ისედაც
ბავშვივით ვმღერი
და სიყვარული,
ამ სიშორის მიუხედავად,
მთელ ამ მანძილზე
შენ წინ დამხვედრ
ყველა ჭურვზე
შემიძლია,
როგორც სანდო ამბრაზურა,
ნაღვლიანი ჭრიჭინივით გადავაფარო.

---

*ჟოგიალეს (ლიტვ.) — ჭრიჭინა.

ჩემი ყოჩაღი, ნიჭიერი და სამსახურს ეძებს

ასეც ხდება:
მთელი ცხოვრება ვინც მუშაობდა,
ერთ დღესაც დარჩა
უსახლკაროდ,
უსამსახუროდ.
აქეთ-იქით მიმოაწყდება,
სამსახურს ეძებს.
განცხადებებს კრეფს
ინტერნეტის საიტებიდან,
მერე რეკავს
და არაფერი ეთაკილება,
რაც შრომაა,
რასაც მისთვის შრომა ანუ ღირსება ჰქვია.
აღარ იხსენებს
დიპლომს,
რომელიც სახლში უგდია,
რადგან ცხოვრებამ
სულ სხვა რამის ცოდნა მოსთხოვა
და თავს იკლავს,
რომ არ იყოს ხელში შემყურე
თუნდაც შვილების,
თუნდაც ძმის
და ახლობლებისა...
სწორედ ამიტომ
მთელი ზაფხული სოფლად წავიდა,
იქ ქალების ბრიგადები
ახალ-ახალი მემამულე ქართველების
ყანებს თოხნიან,
დღიურ მუშებად...
ამანაც თოხნა,
იყოჩაღა...
იმ სოფელში, სადაც თვითონაც დაიბადა და გაიზარდა,
სადაც გათხოვდა.
ორი შვილი გაზარდა
და
სადაც ახლა, ამ ზაფხულს
სოფლის რძლები,
ახლები,
„მოსულს“ ეძახდნენ,
სამუშაოში ჩამცილებელს... —
გაავებით,
სიღატაკეს რომ სჩვევია,
უკაპიკობას,
რომელიც მხოლოდ შიმშილს იცნობს
და სხვას არაფერს,
უწარსულოა,
უმომავლო,
კრაზანასავით რამდენიმე კვირით მცხოვრები...
ეს სიყვარულით მოისხლეტდა ამ გაავებას,
არ იკარებდა ახლოს
ჩვეული
ლმობიერებით...
სანამ სეზონურ სამუშაოს
წვიმების სუსხი
ჩამოლევდა
და ქალაქში დაბრუნდებოდა...
ახლა ზის, რეკავს...
ეძებს, მიდის, ნახულობს, არჩევს...
არჩევანი კი არ გააჩნია,
რადგან საღამოს, როცა უმწეოდ
მხრებჩამოყრილი
ბრუნდება სახლში,
გვიყვება,
თუ რა საშინელი ამბებიც დახვდა
იქ, სადაც ვინმეს მომვლელობას,
ძიძობას სთხოვდნენ...
და გვეუბნება:
როცა მოკვდება,
ახლა კი არა, რა თქმა უნდა, 100 წლის მერე,
არ გაგვიწყრეს ხატი და ღმერთი,
არ დავმარხოთ
ზედაუბანში,
სადაც მისი ქმრის, ახლა კი უკვე მისი, სახლია...
„აქ გამიყვანეთ, გუგულიქედზე,
ჩვენი უბნის სასაფლაოზე,
მამაჩემი რომ მომეგებოს,
გულში ჩამიკრას,
და ასე მითხრას:
„რა კარგია!
ჩემი მშრომელი გოგოც მოვიდა!“

სხივიანობა

ერთხელ
მეზობლის შინაბერამ
დედაჩემს უთხრა:

„ისეთი თეთრი კანი მქონდა ჯეელობაში,
ღამით,
პერანგის ჩასაცმელად,
შუქს რომ ვაქრობდი,
იმ ერთ წუთში
იხუვლებდნენ ღამის პეპლები
და ჩემი ტანის სინათლეთი დაბრმავებულნი,
თავდავიწყებით,
ერთიანად ზედ მაწყდებოდნენ!
იმათ მეტი
აღარც არავინ
მომკარებია!“

ხუთი-ექვსი წლის ბავშვი
ქალების გვერდით ვიჯექი,
თამაშში გართულს
თითქოს შორიდან ჩამომესმა
ეს სიტყვები და
არ ვიცი,
რატომ გამეცინა:
ხი-ხი-ხი-ხი-ხი!

ასეთია ბავშვი:
მის სასტიკ უმანკოებას
არაფერი გაეგება
შინაბერა
შავი ქალების
სხივიანობის...

როსტომ ჩხეიძე

გორის ინსტიტუტი: დოკუმენტური თავგადასავალი

ამ ყაიდის მონოგრაფია ისედაც უნდა შექმნილიყო:

„გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიიდან (ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი)“ — ისეთი სისხლსავსე და მღელვარე ცხოვრება გამოევლო ამ ინსტიტუტსაც და უშუალოდ ამ ფაკულტეტსაც, ისეთი თვალსაჩინო და კოლორიტული პიროვნებანი მოღვაწეობდნენ მის კედლებში, იმდენ საგულისხმო და მნიშვნელოვან ამბავსა თუ რეალიას გაეცნობოდა მკითხველი, ერთი სასწავლო დაწესებულების მაგალითზე იმჟამინდელ საგანმანათლებლო-კულტურულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ რეალობას თვალნათლივ რომ წარმოიდგენდა.

დიახ, ისედაც უნდა შექმნილიყო და ისედაც მოჰკიდებდა ხელს საარქივო მასალების შესწავლა-დახარისხებას იოსებ ალიმბარაშვილი, მაგრამ ამ შემთხვევაში საამისოდ შეაგულიანებდა ოთარ ჩხეიძის რომანიც: „ჩემი სავანე (ხასიათები და პორტრეტები)“ — დიდებულ მხატვრულ მატიანედ რომ გადაშლილიყო ამ ინსტიტუტისაც, გორისაც, ქართლისაც და მთელი საქართველოსიც, არცთუ დიდტანიანი წიგნიდან ბევრზე ბევრს რომ ამოიკითხავდა მკითხველი.



მწერალი ეყრდნობოდა თავის იშვიათ მეხსიერებას და ისეთ გალერეას წარმოსახავდა იქ მოღვაწე ადამიანებისა, ზოგი სარომანეც რომ გახლდათ, თორემ სამოთხრობე და სანოველე ხომ ყველა, საამისო სიუჟეტები უხვად რომ მიმოიბნეოდა „ჩემი სავანის“ ფურცლებზე.

რომანის ისტორიულ-დოკუმენტურ ნაკადს ჰქმნიდა მწერლის მეხსიერება.

და ბარემ საარქივო მასალებსაც შეევსო და თავისებურადაც გაემყარებინა ეს ნაკადი ფურცლებზე აღბეჭდილ ცნობებს — ოქმებსა თუ ბრძანებებს, დასაკარგავად რომ არ გაიმეტებოდნენ, თუკი ერთიერთმანეთს აესხმოდნენ და ეპიზოდებად და სურათებად გამთლიანდებოდნენ. ცხადია, პერიოდიკაში მიმოფანტული რეალიებითა და მემუარული მასალებითაც უნდა შევსებულიყვნენ.

და, აჰა, კიდეც მომზადდებოდა ეს საგულისხმო მონოგრაფია.

თხრობას მკვლევარი შემოჰყვებოდა სემინარიიდან, რომლის გასახსნელად იმპერიული ხელისუფლება თავდაპირველად რამდენიმე ქალაქს შეარჩევდა: მანგლისს, ახალქალაქს, გორსა და ქუთაისს — საბოლოო არჩევანს მაინც გორსა და ქუთაისზე რომ შეაჩერებდა.

სასწავლებლის გახსნა 1876 წლის 12 სექტემბერს მოსახლეობის აღტაცებასა და გულწრფელ სიხარულს რომ გამოიწვევდა, სემინარიაში გამეფებულ აუტანელ რეჟიმსა და მასწავლებელთა არაკვალიფიციურობას სიხარული მალევე უნდა შეეცვალა უიმედობით, სერგეი მესხი მწვავე პუბლიცისტური სტატიით რომ გამოეხმაურებოდა და ანკი ვის ან რას მოერიდებოდა:

სკოლების მომეტებულ ნაწილში ახლა ისეთი მასწავლებლებია, რომ ამაზე მეტს არაფერს არ უნდა მოველოდეთ გადამდგარი სალდათებისა, უნტერ-აფიცრებისა და გადამწერლებისაგანო.

მოსახლეობის ყველაზე დიდ უკმაყოფილებას ის რომ იწვევდა, სემინარიაში ქართული ენა არ ისწავლებაო, ილია ჭავჭავაძე ამ გარემოებას უყურადღებოდ როგორ დატოვებდა და მკაცრადაც შეაფასებდა და არც სარკაზმს დაიშურებდა:

შესაძლებელია, რომ გორის სემინარიის გამგეობას ქართული ენისათვის დრო არა ჰქონდეს, რადგან გვარტომობის გამოკვლევას ეგრე წარჩინებულად შესდგომია თვისდა სასახელოდ და იმ გამოკვლევებშია გართულიო.

გვარტომობის წარჩინებულად გამოკვლევაში გულისხმობდა სემინარიის დირექტორის ანგარიშს, რომლის მიხედვითაც, აქ სწავლობდნენ: რუსები ექვსნი, ქართველები ცამეტნი, იმერლები თორმეტნი, გურულნი ორნი, ფშავნი ორნი, აფხაზნი ორნი.

და როგორ არ აეგდო აბუჩად დირექტორიც და მისი ეს შეხედულებაც:

მაშ მოსკოველი, ტამბოველი თუ ვორონეჟელი რუსები სულ სხვადასხვა ტომისანი ყოფილან და არა ერთი წარმომავლობისანიო!..

ამავე წერილში — „ვიცინოთ თუ ვიტიროთ?“ — ილია უნდა გამოხმაურებოდა ქართული ენის სწავლების იმ უცნაურ მეთოდს, შემოღებულს სემინარიის მასწავლებლის ფარნაოზ ნათიშვილის მიერ დაწყებით კლასებში, ბავშვს, ერთსადაიმავე დროს, პარალელურად რომ უნდა შეესწავლა ქართული და რუსული ასოები და შეძლებოდა მათგან მარცვლების, სიტყვებისა და ფრაზების შედგენა; ამასთან — დაემახსოვრებინა რუსული სიტყვები და ამით აეხსნა რუსული ფრაზები.

ამისთანა ანბანით, უცნაურად შეჯვარებულით, კაცობრიობის ისტორიის განმავლობაში არაფერი რომ არ დაწერილიყო და მხოლოდ ნათიშვილს მოზმანებოდა მის მოწაფეთა უბედურებისათვის, როგორ არ შებრალებოდა ყმაწვილები „ნათიაური“ ანბანის გამოჩენისათვის.

გათამამებულიყო ნათიშვილი, რაკიღა მის მიერ შედგენილი მეთოდი განიხილებოდა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველთა საბჭოში და მალე წიგნადაც გამოიცემოდა, და ილია ჭავჭავაძეს ამასაც შეჰკადრებდა: არ გესმის ახლანდელი დროის ყმაწვილების სწავლა და არც არაფერი გაგეგება, გარდა ქუჩის ბიჭივით ლანძღვისაო.

კამათში იაკობ გოგებაშვილი რომ ჩაერეოდა, „ნათიურ“ ანბანს მახინჯ ჩანასახს უწოდებდა, დედის მუცელშივე გაწყალებულს, დღის სინათლე რომ არ უნდა ღირსებოდა, და ეროვნული ღალატის ტოლფასადაც მოიხსენიებდა.

საგულისხმოა, რომ გარდა სომხებისა და აზერბაიჯანელებისა, სემინარიაში მრავლად მოიყრიდნენ თავს მოსწავლეები ჩრდილო კავკასიიდანაც: ოსები, ლეკები, ყაბარდოელები, ჩერქეზები, ჩეჩნები თუ სხვანი.

რაო, სემინარიის დირექტორების მთავარ მიზანს მეფის, ტახტისა და ეკლესიის ერთგული კადრების აღზრდა წარმოადგენდა?

ამ მიზანს როგორ მიაღწევდნენ, როდესაც — მონოგრაფიაში აღნიშნული ჩამონათვალისა არ იყოს — ამ სასწავლებელში მოღვაწეობდნენ: ნიკო ლომოური, სოფრომ მგალობლიშვილი, არისტო ქუთათელაძე, მიხეილ ყიფიანი, სიმონ გოგლიჩიძე, მიხეილ ზაალიშვილი, გიორგი საძაგლიშვილი — შემდგომ: სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კირიონ მეორე, თუ კირილე არველაძე.

და აღიზრდებოდნენ: ნიკო და თედო რაზიკაშვილები, ნიკო ჯანაშია, ლადო აღნიაშვილი, თეოფილე ხუსკივაძე, ნიკო ლეონიძე — გიორგი და ლევან ლეონიძეების მამა, შიო მღვიმელი.

რა გასაკვირია, სოსო ალიმბარაშვილი ცალკე რომ გამოარჩევდეს ვაჟა-ფშაველას, როგორც სასწავლებლის მშვენებას, გორის პედაგოგიური ტექნიკუმის ბაზაზე გახსნილიყო ორწლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტი, თავიდანვე სოლიდური აკადემიური პერსონალი რომ მოიყრიდა თავს: ეს ალექსანდრე ბარამიძეო (ძველი ქართული ლიტერატურა), ეს არნოლდ ჩიქობავაო (ენათმეცნიერება), ეს ვარლამ თოფურიაო (ენათმეცნიერება), ეს ვლადიმერ გუგუშვილიო (ქართული ენის მეთოდიკა), ეს ალექსანდრე ღლონტიო (ქართული ენა, ლექსიკოგრაფია, დიალექტოლოგია), ეს სარგის კაკაბაძეო (ისტორია), ეს სერგი მაკალათიაო (საქართველოს ისტორია), ეს გივი ჟორდანიაო (შუა საუკუნეების ისტორია), ეს ალექსანდრე მოსიავაო (ფსიქოლოგია), ეს იპოლიტე ვართაგავაო (რუსული), ეს ოთარ ჯინორიაო (ევროპის ისტორია), ეს მაქსიმე ბერძნიშვილიო, ეს ალექსანდრე ფირცხალაიშვილიო და სხვანი.

პოლიტიკური რეპრესიები ინსტიტუტის ცხოვრებაზეც აისახებოდა:

მათემატიკის სპეციალობის სტუდენტი გაირიცხებოდა როგორც შავრაზმელი, რადგან მას შეცდომაში შეეყვანა მიმღები კომისია, თითქოს იმყოფებოდა ბიძის კმაყოფაზე, არადა ჰყოლოდა მშობლები — მამა გადასახლებული — ხმაჩამორთმეულები და უფლებააყრილნი.

ისტორიული განყოფილების სტუდენტი გაირიცხებოდა საერთო საცხოვრებლიდან და გამოეცხადებოდა სასტიკი საყვედური საერთო საცხოვრებლის ოთახებში სტუდენტთა გადაჯგუფებასთან დაკავშირებული ბრძანების დაუმორჩილებლობისა და უპასუხისმგებლო ლაყბობისათვის.

გაირიცხებოდა ოთხი სტუდენტი კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული ლაყბობისათვის ხელის შეწყობის, მათთან მეგობრობისა და მოლაყბეთა დაფარვისათვის.

ყველაზე დიდი რეზონანსი მაინც ინსტიტუტის პირველი დირექტორის, გაბრიელ თათარაშვილის დაპატიმრებას უნდა მოჰყოლოდა პოლიტიკური ნიშნით. მიზეზად დასახელდებოდა ინსტიტუტის შენობის პროექტირებისას დაშვებული შეცდომები და მშენებლობის ტემპები, არადა სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიაში ყოფნას გამოუაშკარავებდნენ ამდენი წლის შემდგომ და ეს არ ეპატიებოდა.

პირველი დირექტორის დაპატიმრებისა და რამდენიმე მოკლევადიანი საკადრო ცვლილების შემდეგ, 1938 წლის 10 ივლისიდან, გიორგი ხარაული რომ ჩაუდგებოდა ინსტიტუტს სათავეში და 1973 წლამდე უხელმძღვანელებდა, ოთარ ჩხეიძე ინსტიტუტის ყოფას ორად გაჰყოფდა: ხარაულიანად და უხარაულოდ — მისი წამოსვლის შემდგომ ეს ყოფა თავქვე რომ დაეშვებოდა.

— გიორგი ხარაული წავიდა და დამთავრდა ისტორია გორის პედაგოგიური ინსტიტუტისა. დამთავრდა. მოვიდა და დაიწყო, წავიდა და დამთავრდა ისტორია გორის პედაგოგიური ინსტიტუტისა. დაიხურა. ერთი რექტორის ინსტიტუტი გახლდათ — ერთი რექტორისა.

არაერთი სახელოვანი მეცნიერი, მწერალი, მხატვარი თუ საზოგადო მოღვაწე რომ სტუმრებოდა ამ სასწავლებელს, 1955 წლის 21 თებერვალს სწვეოდა გალაკტიონ ტაბიძეც, მარტოდმარტო, მხლებლებისა და თანამოკალმეთა გარეშე რომ ჩავიდოდა გორში.

მისასალმებელ სიტყვას წარმოთქვამდა ოთარ ჩხეიძე. სიტყვით გამოვიდოდნენ: იოსებ მეგრელიძე, სიმონ გაჩეჩილაძე, პოლიხრონ ცინცაძე, იპოლიტე ვართაგავა... დასასრულ თავის ლექსებს წაიკითხავდა გალაკტიონი.

მონოგრაფიის ავტორი ეყრდნობა „სტალინელის“ 1955 წლის 24 თებერვლის ნომერში დაბეჭდილ ინფორმაციას, თუმც შეიძლებოდა, მოეშველიებინა ოთარ ჩხეიძის



ესეი „გალაკტიონი, ვერლიბრი“, რომლის ფინალურ მონაკვეთშიც გახსენებულია ეს სტუმრობა, ეს ორნი მარტო რომ მიუსხდებოდნენ სუფრას, ოღონდ გალაკტიონი ღვინოს არ ინებებდა, ცივცხელად გადადგამდა ლალისფერ თავკვერს და მასპინძელს სთხოვდა, ეზრუნა გამოფენის გამართვისათვის: გორი და გალაკტიონი. მხოლოდ დარბაზი გაემზადებინათ, დიდი და ნათელი, მასალების ჩამოტანას თვითონ ჰპირდებოდა, თავისივე ხელით რომ გამოჰფენდა. „ჩემ სავანეშიც“ ჩაერთვოდა ეპიზოდად ამ სტუმრობის ამბავი.

„სტალინელის“ 1955 წლის 13 მაისის ნომერს დაეყრდნობოდა მკვლევარი, როდესაც აღნიშნავდა ინსტიტუტში ლადო გუდიაშვილის სტუმრობას, რასაც მისი ნახატების გამოფენაც მოჰყოლოდა. შეხვედრას დასწრებოდა და სიტყვითაც გამოსულიყო სიმონ ჩიქოვანი, რომელსაც ოფიციალური ნაწილის დასრულების შემდეგ სტუდენტები შეეგულიანებინა, მხატვრისათვის ეთხოვათ, ეცეკვა ყარაჩოხული, რომელსაც საუცხოოდ ასრულებდა. ლადო გუდიაშვილი სტუდენტებს ხათრს ვერ გაუტეხავდა და შეუსრულებდა სურვილს. შეხვედრის დამთავრების მერე კი ინსტიტუტს ორ ნახატს აჩუქებდა, დღემდე რომ შემორჩებოდა მის კედლებს დამამშვენებლად.

სიმონ ჩიქოვანი ლადო გუდიაშვილის თხოვნით კი არ დასწრებია შეხვედრას, არამედ იგი გახლდათ შუამავალი, როდესაც ოთარ ჩხეიძე მხატვრის მოპატიჟებას განიზრახავდა. ეს გარემოება აღნიშნულია „ჩემ სავანეშიც“ და ოთარ ჩხეიძის ესეიშიც „ხელოვანი“. ხოლო ის ორი ნახატი ლადო გუდიაშვილმა ინსტიტუტს კი არ უსაჩუქრა, არამედ ოთარ ჩხეიძეს, მაგრამ მან შინ რომ არ წამოიღო და ინსტიტუტს დაუტოვა, ეს რეალია უკვე მე მაქვს შემონახული მხატვრულ-დოკუმენტურ წიგნში „ორი მდინარის შესაყარზე“, „ჩემი სავანის“ თემების თავისებურ ვარიაციებად რომ დაიწერებოდა.

როდესაც მკვლევარი კონსტანტინე გამსახურდიას სტუმრობას იხსენიებს ინსტიტუტში, ამჯერად „ჩემ სავანეს“ იმოწმებს, თუმც მოსაწვევი ბარათი მწერლის სოციალისტური ყაიდის ნაწარმოების — „ვაზის

ყვავილობა“ — განხილვას იუწყებოდა, სინამდვილეში მისი მთავარი რომანები — „მთვარის მოტაცება“, „დიდოსტატის მარჯვენა“, „დიონისოს ღიმილი“ და „დავით აღმაშენებელი“ — გახდებოდა სამსჯელო. შეხვედრის დამთავრების შემდგომ კი სტუმარს ატენისა და რუის-ურბნისის სიძველეებს დაათვალიერებინებდნენ.

შესაძლოა ზედმეტი არ ყოფილიყო იმის გახსენებაც, ოთარ ჩხეიძისა და კონსტანტინე გამსახურდიას კეთილად დაწყებული ურთიერთობა როგორღაც რომ გაბზარულიყო და უმცროს თანამოკალმეს რომანში „ბურუსი“ ირონიულ-გროტესკული პორტრეტი ჩაეხატა კონსტანტინესი, სოკრატ აბაზაისძეს რომ შეარქმევდა. ის იცნობდა თავს ამ პერსონაჟში და განაწყენდებოდა, მაგრამ მწერალთა სასახლის კარიბჭესთან რომ შეეფეთებოდნენ ერთიმეორეს, ის ხელს ასე გამოუწვდიდა:

— სალამი ბატონ აბაზაიძისაგან!..

— გამარჯობა, ბატონო კონსტანტინე, — არ შეიცხადებდა ოთარ ჩხეიძე.

და იქვე შეუთანხმდებოდა, საფარად „ვაზის ყვავილობა“ რომ შეერჩია განსახილველად, სინამდვილეში კი რაც შეიძლება სრულყოფილად წარმოჩენილიყო კონსტანტინე გამსახურდიას რომანისტიკა.

ჩამონათვალშია მოხსენიებული, რომ ახალგაზრდა მწერალთა წრის თავყრილობაზე განიხილავდნენ შალვა დადიანის „უბედურ რუსს“, ლევან გოთუას „გმირთა ვარამსა“ თუ გრიგოლ აბაშიძის „ლაშარელას“, ეს ყოველივე ვრცლად რომ არის ნაამბობი „ჩემი სავანის“ ფურცლებზე.

სამაგიეროდ: „ჩემ სავანეში“ არც გაიელვებს, ოთარ ჩხეიძის თაოსნობით სოფელ მეჯვრისხევში რომ დაიგეგმებოდა ცქვიტის ფსევდონიმით ცნობილი ანა ხახუტაიშვილის ლიტერატურული საღამოს გამართვა, იოსებ ალიმბარაშვილი რომ აღნიშნავს თავის მონოგრაფიაში.

საგულისხმოა, რომ ეს ცნობა აღბეჭდილია გალაკტიონ ტაბიძის დღიურებშიც.

მონოგრაფიაში საგანგებოდაა გახსენებული ინსტიტუტის ლიტერატურული წრის საქმიანობა და ოთარ ჩხეიძის განსაკუთრებული ღვაწლი ახალთაობის მწერალთა გამოზრდაში, უძნელეს პირობებში რომ მოახერხებდა ახალგაზრდა მწერალთა კრებულის — „ცისკარი“ — გამოცემას 1956 წელს, „მერანი“ რომ შეცვლიდა 1958 წელს, გარეკანს ლადო გუდიაშვილი რომ გააფორმებდა, 1960 წლის კრებულში კი, გარდა ორიგინალური და თარგმნილი პოეტური და ბელეტრისტული თხზულებებისა, გაჩნდებოდა ნარკვევებიც გორის ისტორიულ წარსულზე, იქნებოდა ეს იოსებ ხუციშვილის „ძველი გორი“ და „გორის უბნები“, ილია ბერძენიშვილის „როტონდა“, იოსებ სრესელის „გორიჯვარი“ თუ სხვა.

ალმანახი იბეჭდებოდა გორის სტამბაში, ტირაჟიც გაიზრდებოდა და 1500 ეგზემპლარამდე ავიდოდა.

1963 წლიდან ასპარეზი უკვე „ლიახვს“ დაეთმობოდა, ამ ალმანახის გამოცემის წლებიც რომ არის აღნუსხული, თუმც კარგი იქნებოდა, აქ არ შეწყვეტილიყო თხრობა და აღნიშნულიყო, რომ: „ლიახვიდან“ ამოიზრდებოდა გორის სალიტერატურო ჟურნალი „კლდეკარი“, რომელსაც კვლავინდებურად ოთარ ჩხეიძე უპატრონებდა, მის დაარსებას ომარ ჩუბინიძე რომ დასდებდა ღვანლს და შენარჩუნებას — ზაზა ოქუაშვილი; და ეს გამოცემა მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა საქართველოს 90-იანი წლების დადამბლავებული ლიტერატურული ცხოვრების გამოცოცხლებაში „ლომისის“ თაოსნობით გამოცემულ სერიასთან — „ფიქრები. რჩეულთა ბიბლიოთეკა“ — და ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების მოღვაწეობასთან ერთად.

ცხადია, იოსებ ალიმბარაშვილი ნაბიჯნაბიჯ ვერ გაჰყვებოდა ამ კრებულის თავგადასავალს, საკმაოდ მღელვარესა და ათასგვარი წინააღმდეგობის მოგერიებით აღბეჭდილს, „ცისკარი“ — „მერანი“ — „ლიახვის“ ბიოგრაფია შთამბეჭდავად რომ არის მოთხრობილი „ჩემი სავანის“ ფურცლებზე, ხოლო „კლდეკარის“ ამბები ჩემი წიგნიდან უნდა მიმატებოდა: „ორი მდინარის შესაყარზე“.

ცალკე თავი დაეთმობოდა სერგი მაკალათიასა და ისტორიის კათედრას, უხვად რომ შემოიზიდებოდა საარქივო მასალები და ხელშესახებად გამოიკვეთებოდა ამ დიდებული ისტორიკოსისა და ეთნოგრაფის, უამრავი სასიკეთო საქმის აღმსრულებლის პორტრეტული შტრიხები, მათ შორის წარმოჩნდებოდა ის ეპიზოდიც, ოთარ ჩხეიძეც რომ მოჰყვებოდა იუმორნარევი კილოთი:

1954 წლის ოქტომბერში სერგი მაკალათიას გორის საქალაქო კომიტეტი მიავლენდა გორის სამხედრო ნაწილში, რათა ოფიცრებისათვის წაეკითხა ლექცია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე. ისტორიკოსი არ გაითვალისწინებდა აუდიტორიის შემადგენლობას და რუსებს წამდაუწუმ დამპყრობლებად მოიხსენიებდა.

ამ და ამგვარი შეხედულებებისა და შეფასებების გამოთქმა იოლად რომ არ ჩაუვლიდა სერგი მაკალათიას, იოლი მისახვედრია და ინსტიტუტს მალევე მოსთხოვდა შინსახკომი ამ მეცნიერის დახასიათებას.

ინსტიტუტში სასწრაფოდ გაიმართებოდა სამეცნიერო საბჭოს სხდომა, რომლის მსვლელობისას რექტორიც და სხვა წევრებიც აღშფოთებას გამოთქვამდნენ იდეურად და პოლიტიკურად სრულიად გაუმართავი ლექციის გამო, ოღონდ სერგი მაკალათიას საქციელს შეარბილებდნენ და „დაუდევრობის“ იარლიყს აკმარებდნენ.



ოქმში აღნიშნულია, რომ:

პროფესორს მორჩილად მიეღო კოლეგების კრიტიკა და განეცხადებინა:

— ჩემი ლექციის გარშემო გამართული კრიტიკა სამართლიანად მიმაჩნია, ამხანაგების კრიტიკაში გამოვლინდა ჩემი ლექციის ტექნიკური და შინაარსობრივი შეცდომები და მე მას მთლიანად ვიღებ. პირობას ვიძლევი, რომ ასეთ შეცდომებს ჩემს ლექციებში ადგილი აღარ ექნება.

ოფიციალურად სხვაგვარად ვერ მოიქცეოდნენ, არადა სინამდვილეში სულ სხვანაირად მოხდებოდა, „ჩემ სავანეში“ როგორც არის აღწერილი:

სერგი მაკალათია სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე თავის ლექციას გაიმეორებდა თავით ბოლომდე დამპყრობლისა და ოკუპანტის ძახილით, საათნახევარზე მეტს მაინც ილაპარაკებდა და ბოლოს დაასკვნიდა:

— ეს ყველაფერი ასე იყო და ასეც იქნება, კათედრა ცდება და ტყუის ჩემთან.

მადლობას გადაიხდიდა ყურადღებით მოსმენისათვის, გამოემშვიდობებოდათ, აიღებდა პორთფელს და გავიდოდა კმაყოფილი და ნასიამოვნები, როგორც გავიდოდა ჩვეულებრივი ლექციიდან, კარგი მსმენელები თუ შეხვდებოდა, გულითადად რომ მიიღებდნენ და გულითადადვე გააცილებდნენ.

კათედრა ისტორიკოსის ამ გამოსვლას მიიჩნევდა შეცდომების აღიარებად და აკი ასეც ჩაიწერებოდა ოქმში.

რექტორს აქებდა ყოველთვის სერგი მაკალათია და „ჩემ სავანეში“ მისი ის სიტყვებიც არის გახსენებული:

კაციც ეგ არის და ინსტიტუტიც ეგ არის. ვიდრე ეგ არის, ღვთის უბეში ვართ, მერე ეშმაკის წილი ვიქნებით, ეს ცუდი ხალხია, საქმეს რომ აფუჭებს, რომ მოიშორებდეს, კარგი იქნება. ნეტა როგორმე მოიშორებდეს, ეშმაკის მახესაც ავცილდებოდითო.

და მაშინ თუ იცინოდნენ ამის გაგონებისას, მერე აღმოჩნდებოდა, წინასწარმეტყველება რომ ყოფილიყო.

მონოგრაფაში ცალკე თავი დაეთმობოდა „მარისტების“ საქმესაც, ამჯერადაც რომ დახვავებულა საარქივო მასალები ალექსანდრე ღლონტისა და იოსებ მეგრელიძის თავგამოდების წარმოსაჩენად, ნიკო მარს რომ უერთგულებდნენ მის ასპირანტებად ყოფილნი, შერისხული მასწავლებლისთვისაც გამოიდებდნენ თავს და არად ჩააგდებდნენ, თუ თვითონ ძალიანაც დაზარალდებოდნენ.

„ჩემ სავანეშიც“ გახსენებულია ამ ორი მეცნიერის ეს მწარე ხვედრი, თავიდან არავითარ საფრთხეს რომ არ ელოდნენ, როდესაც მარის კაბინეტს მოაწყობდნენ გორის ინსტიტუტში, და სულ უფრო შეავსებდნენ და გააფართოვებდნენ კიდეც. სემინარებსაც გამართავდნენ ნიკო მარის ჰიპოთეზებისა თუ პრობლემების გარშემო, კონფერენციებსაც მოაყოლებდნენ. და გულში რომ ჩაედოთ, იქადნიდნენ კიდეც:

მარის მოძღვრების ბასტიონი იქნება გორის ინსტიტუტიო.

რექტორს ბლოკნოტი რომ ჰქონდა, რომელშიც ცალკე თავი ეთმობოდა კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობას, კიდევ ცალკე გაიტანდა მარის კაბინეტს და ყველანაირ კრებაზე იმეორებდა:

პირველია მთელს კავშირშიო.

ამასობაში უნდა ამტყდარიყო დისკუსია ენათმეცნიერების საკითხებზე, არნოლდ ჩიქობავა რომ გაილაშქრებდა ნიკო მარის წინააღმდეგ სტალინის თანადგომით გულმოცემული...

და გაგულისდებოდა და განრისხდებოდა გიორგი ხარაული, რაკიღა ყველას მოეხსენებოდა, თუ ვისი ფარული ხელი წარმართავდა დისკუსიის მსვლელობას, და ჯავრს იყრიდა ალექსანდრე ღლონტსა და იოსებ მეგრელიძეზე: თქვენ შემაცდინეთო.

ჰოი, რას გაიხარებდნენ და იქირქილებდნენ მარისა და მარისტების მოწინააღმდეგენი, ალექსანდრეც და იოსებიც იძულებულნი რომ შეიქნებოდნენ, აქედან გაესწროთ და ცხინვალის ინსტიტუტისათვის შეეფარებინათ თავი. მერე კი უკვე თბილისშიც მოახერხებდნენ გადმოსვლას და ვერა შეაფერხებდა მათ ღვაწლს საენათმეცნიერო და სალიტერატურო ასპარეზზე.

ამ მონათხრობს დეტალებითა და დოკუმენტებით შეავსებდა იოსებ ალიმბარაშვილის მიერ მოძიებული მასალები, ძალიან რომ გამოადგებათ ამ დისკუსიის სრული სურათის აღდგენისას მიხეილ ჭაბაშვილის მემუარებთან ერთად, ვრცლად რომ არის ნაამბობი იმ მწვავე დაპირისპირების ამბები; და კიდევ ტარიელ ფუტკარაძის მიერ გამოვლენილ დოკუმენტებთან ერთად, „ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევებში“ რომ არის თავმოყრილი... ისე, არამცთუ აუცილებელი, საშურიც კი არის იმ დისკუსიის ქარგაზე აგებული იმ მხატვრულ-დოკუმენტური წიგნის შექმნა, გარდასული ამბების გაცოცხლებასთან ერთად სამომავლოდაც რომ იქნება გასათვალისწინებელი.

იოსებ ალიმბარაშვილის მონოგრაფიის კითხვისას არაერთი რეალია, დეტალი თუ წვრილმანი რომ მოტივტივებს, ვაითუ ისე გაგვიყოლიოს, ვეღარც მოთავდეს ეს გამოხმაურება და მსჯელობაში შემოვიდეს და შემოვიდეს ოთარ ჩხეიძის ავტობიოგრაფიული რომანიც „დროდადრო“ და ნოველა „ის“, მანანა ჩიტიშვილის ესეიც „მოძღვარი“, ზაურ წაქაძისა და ჯემალ ინჯიას მხატვრულ-დოკუმენტური წიგნებიც („შორია ოთარწმინდამდე, ოთარ!“ და „ოთარ ჩხეიძის აბრისი“)... მოითხოვოს ჩაღრმავება და კიდევ უფრო ჩაღრმავება.

დაე, ცალკე იყოს.

ჩემი ხელიდანვეც, როდესაც მოვამზადებ მეორე გამოცემას რომანისა „ორი მდინარის შესაყარზე“; და კიდევ ვინმე როგორ არ მოეჭიდება ამ ყოველივეს და აქცევს ვრცელ ნარკვევად, ან სულაც წიგნად.

საამისოდ იოსებ ალიმბარაშვილის ეს ძიებანი ერთი საიმედო საყრდენი იქნება, „გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიიდან (ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი)“ ისევე რომ მთავრდება, როგორც ოთარ ჩხეიძის „ჩემი სავანე“, გაჩერებული ქუჩის საათის მეტაფორით, ყოფითი დეტალი ერთბაშად რომ გასიმბოლოვდება და განზოგადდება არამარტო ინსტიტუტისა და გორის სინამდვილედ, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნისა, სულს რომ გიფორიაქებს ეს ხატი გაყინული დროის ძალუმი შეგრძნებით და მოგანდომებს, ააწიკწიკო ეს საათიც, ეს ქუჩაც, ეს გარემოც... აამოძრავო გაშეშებული დრო და იმედიანად გახედო იმ მერმისს, საითაც მიგვიძღვის ყოველი მართალი სიტყვა, ყოველი წრფელი აზრი, ყოველი გონივრული რჩევა... და საითაც გვაგულიანებს მიუკერძოებლად აღდგენილი და წარმოსახული წარსულის სურათები — მხატვრული თუ დოკუმენტური მატიანენი.

და იოსებ ალიმბარაშვილის ნაშრომს — გარდა თავისთავადი მეცნიერული ღირებულებისა — ის დანიშნულებაც მოეპოვება, რომ აქედან ამოკრებილი ცნობები, პასაჟები და ეპიზოდები შენიშვნებად და ექსკურსებად დაერთვის ოთარ ჩხეიძის რომანს „ჩემი სავანე“, უამისოდ, ამ ფონის გარეშე ამ რომანის ახალი გამოცემა — მითუფრო: აკადემიური — ნაკლულიც რომ გამოჩნდება.

...გიორგი ხარაული რომ აღარ იქნება, ინსტიტუტიც აღარ იქნებაო — წუხდა და განიცდიდა სერგი მაკალათია.

მერე აღმოჩნდებოდა, წინასწარმეტყველება რომ ყოფილაო — იტყოდა ოთარ ჩხეიძე. და არ უკვირდა, არავინ რომ არ უჯერებდა სერგის, ანკი ვის ეცნო წინასწარმეტყველნი თავის დროზევე.

ციკლიდან „დალაგებისას ნაპოვნები“

მატარებელში

სარკმელიდან ვატკბე მზერა —
სადგურ-სადგურ, ბაქან-ბაქან.
მატარებლის მიყვარს მღერა:
დაგან-დაგან, დაგან-დაგან.

ელმავალი მიქრის, მისტვენს
და მე გვერდით გოგო მიზის,
გოგო მორიდებით: „მისტერ!“
და მეც მორიდებით: „მისის!“

უკვე კრთიან ვარსკვლავები,
მე კი მაინც წავალ სხვაგან...
მესმის მღერა მატარებლის:
დაგან-დაგან... დაგან-დაგან...

გარითმული გამოცანები

1
იდეავ, ძან ნუ იდეობ —
არ დამიჩრდილო იტეოპ!

2
ლექსს ნუ წაიყვან ტლაპოსკენ,
ლექსს ეტყობოდეს აბოსქელ!

3
ლამაზი აზრის კიბემდი
უნდა მიგყავდეს იბემთირ!

4
ერთი ღიმილით ძალუძს სლაქზამალ
გადამიქციოს წამლად სამსალა...

5
როდესაც რაკრაკით სიამეს წყარობადებს,
ლექსში მას უთუოდ ჭირდება აროფატემ!..

6
დამტოვე, გელი და შენ აღარ რახიდომაჩ
და მინდა ლოდინმაც დამტოვოს მაგიტომაც...

7
ცეცხლი კი გრძნობისა ნაპერწკალს სულარყრის,
თუ გულში ადგილი არ დარჩა სლურავყის...

8
დღემდე უჩანს გულს მარცხი მტრების ნათითარად
და კლავს მათი ამაყად წასვლა ნადიდბარამ...

9
რაღაცის თქმად დარჩა ნახტომი სნოიტკალაგ,
ვან გოგმაც რაღაც თქვა, ყური რომ მოითალა.

10
ყოველგვარ ბნელეთს და ლაბირინთს
გაივლის ნამდვილი აკირილ!..

ლერის სხვა პორტრეტი

განცდაში ნახავთ სულ, ტერენტივით
წამებულსა და მოიდუმალეს...
ის დადიოდა ცისქვეშ დენდივით
და მას გრანელი ვერ დაუმალეს.

ფარხმლიანს ებრძვის უხმლო-უფარო,
არასდროს უნდა დარდის მოკვლამას...
ჰგავს მისი თრთოლვა და საუბარი
მისივე გულის კარდიოგრამას.

ციკლიდან „თავისუფალი სონეტები“

სონეტი ამათ

„ერთი ეს ღილი შემიხსენით!..“ — ბოლო სიტყვები
მეფე ლირისა — მახსენდება, როცა მგუდავენ
დარჩენილები, წარმატების ხმლისგან, უთავოდ...
და მე ამდენი გუდვით ფეხზე როგორ ვიდგები! —

მოვცილდი მიწას და ვერ მწევენ დაბლა დიდქვებით,
თუმცა დამარხვა ზედმიწევნით ძალუძთ უდავოდ...
მე რომ შემეძლოს — ჩემი გული გავაუთავო,
იყიდიან და გაიყოფენ ძმურად მდიდრები...

მაგრამ თუ შევძელ ჩემი გული მკერდის ხაროდან,
როგორც ძვირფასი განძეული, ამოვთხაროდა
ქალაქის ძაღლებს გადავუგდო, მუდამ მშიერებს,

მაშინვე ჩემი უგულობა გამაძლიერებს...
მერე, გვიანი რომ იქნება ამათი თხოვნა,
შევუერთდები მერანივით მამაც ციერებს...

ციკლიდან „ზმნარითმიანები“

1. დროთა საერთო

ცომი, აწმყოში რასაცელიან,
შორ მომავალშიც ასაზელია
და მომავალმაც ხამსააყვაოს
ის, რაც აწმყოშიც დასაცველია,
მოკლე საწუთროც გასაწელია,
თან უნდა ვაქოთ ამსააქაოს,
საიქიოშიც წასასვლელია!..

2. თოვლის ლოდინში

გულში ბავშვობის ბაობოლთაობს:
მთაში თოვს, ბარსაც გაუთოვდაო,
და ვიდრე თქმულში ჩავიძირები:
შენს ლოდინს ვადა გაუთავდაო —
ეზო სამოთხეს გაუტოლდაო!
და მე სარკმელში გავიცქირები,
იქ თითქოს დროს რძე დაუგროვდაო...

აფეთქებულ კულტურულ ძეგლთან

შორი წარსული აფეთქებულა,
ახლო მერმისი დაფეთებულა,
აწმყოს კაცებს კი, სადავიანებს,
ჰგონიათ — კარგი გაკეთებულა...
არადა სვავი გაგედებულა,
დრო უთავოებს ათავიანებს,
ნეხვის გორაკიც გაქედებულა!..

დიდი ნატვრა

გული დარდებით დამასერინა!
ნემსის ყუნწშიაც გამაძვრენინა,
ოღონდ, ძალიან მობერებამდე,
დიდი ლექსები დამაწერინა!
დიდ სიყვარულშიც ჩამაცქერინა
და, ძვირფას ქალის მოფერებამდე,
ყმაწვილკაცივით დამარცხვენინა!

გენიოსები

აპოლონ ადონიას ხსოვნას

საიავარდო ამათ მხარმკლავებს,
ნიჭით — დუნიის გადამქარგავებს,
რად ამცირებენ არდაკვირვებით
და, ვით ედემის სადარნარგავებს,
უკვდავებაში რადარმარხავენ?!
ო, ეს ზემდგომი ძაღლთაპირები
ღმერთკაცის ნეშტსაც გადაკარგავენ!

ციკლიდან „ნიბლიები“

პოეტი თავის თავზე

ჩიტის ბუდისკენ მცოცავ ფისოსებრ,
ბედის ციცაბო გზებზე ვიცოცე
და ჩემი სისხლის ვნახე სიძონე...
ჭრილობა დამრჩა ბევრზე ბევრიდა
სიტყვის ზღვითა და სიტყვის ტევრითა
გარშემოცულა ჩემი სიცოცხლე
და ვერ გავდივარ ტანჯვის კევრიდან.

სუსტდება გული, როგორც კუნთიდა
თავის ძგერების უწყვეტ გუნდიდან
ჩამორჩა, მაგრამ მაინც გულდიდად
მოჩანს და ძალუძს ყინვაც დასიცხოს...
მეც მაქებს: ვიცი შენი ფასიცო!..
მაგრამ მე არვის აღარ ვუნდივარ.
ჭირსღა მოვწონვარ მხოლოდ სასიძოდ.

ციკლიდან „ნახევარჯვალოები“

სტრიქონი

გივი გეგეჭკორის ხსოვნას

მოულოდნელად შორს დავლანდავ განიერ სტრიქონს,
როგორც მობი დიკს,
რაც ვერ მალავს რძისფერ შადრევანს,
რომლითაც ცნობენ...
სტრიქონი კი — ლურჯ ენას მიყოფს
ისე, თითქოსდა, გაჩენილი ცისქვეშ ადრევარ...
მე გადავძახე: ნუ მაწვალებ, შე მელნის დიკო!
მე ხომ შენს იქით სამოთხეშიც არ მსურს წათრევა!
მომიახლოვდი! შორს რად მივლი, რა გინდა იქო?! —

სტრიქონი ქრება... მემალება, არ ვიცი — როგორ,
მე კი, სტრიქონზე ნადირობით თუ მისი ძებნით,
გვერდით რამდენი გავატარე შველივით გოგო,
რომ უფრო მეტი მქონდეს დრო და, სტრიქონის ძეგლი,
რაც შეიძლება, მეტხანს ვაგო და ძალაც ვზოგო
სტრიქონისთვის და სტრიქონიდან გამოვვლო გზები,
როგორც ფესვიდან მოდის მუხა, სპორიდან — სოკო...

ციკლიდან „სტროფები“

* * *

ყვითელ ფოთლებით დღე დატბორილა.
სიყვითლე დადის, როგორც გორილა...
და გაყვითლებულ ვიოლინოზე
ერთ ლად დაუკრა ბავშვმა ორილა...

* * *

ვუცქერ თოვლიან მთებს — ალბინოსებს.
ძირს წყალ-ჭალაა სასირინოზე...
ერთი ჩიტი კი ისე ხმიანობს,
თითქოს უკრავდეს პიანინოზე...

ციკლიდან „ნახევარფუგები“

წრეტა

ნინო დარბაისელს

დღეს, როდესაც კრიჭაში ჩავუდექი
გამეფებულ საზრისს,
დღეს, როდესაც წრფე გავნვლე
რამდენიმე სახიფათო საზღვრის —
ჩემ სიმართლე-სიწმინდეს
ვერავინ და ვერაფერი დასვრის...
დამწრეტია პოეტი, დავრჩენილვარ ცარიელი ბოცა...
და სიზმრებში გიჟივით არ გავყვირი:
„დაიცადე, მოცარტ!“
ის მოცარტი ტკივილებს ისევ დაღვრის,
აკორდებად გაცრილს,
მე კი თითქო მთამსვლელად ვიქეცი და
ქარაფებზე ვცოცავ...

დამწრეტია პოეტი —
ვერ გავდივარ სტრიქონების ტრავერსს...
თანაც ლექსებს თუ სადმე მიბეჭდავენ —
დაბეჭდვითაც მკლავენ...
და რაც სხვისთვის შვებაა —
პოეტისთვის ტკივილია მწვავე...
ვერ გვიშველის მარტო ცა,
მიწაც უნდა გვიმტკიცებდეს ნაბიჯს!..
უნდა კმენდდეს ჩვენს ხმაზე
ბანალურ ხმას ნაღარა და დაფი...
მაგრამ თუ არ დაგვტოვა ვინმემ,
როგორც მოსემ ისუ ნავე —
ჩვენც გავყვებით დროს ისე,
ჩქარ მდინარეს რომ მიყვება ქაფი...

ჯემალ ინჯია

* * *

თუ ადამიანს უნათებ,
მზეო, ნუ დაამუნათებ.

* * *

გაივლის ჟამი და შენც თმაზე დაგათოვს,
ვიღაცას დაკარგავ, ვიღაცა გაჩნდება.
და ახლად გაცნობილ მეზობელ კაკატოს
აუხსნი, უკაცო ცხოვრება რა ჯდება.

იმას კი — ელიტა ჭკუას რომ გკითხავდა —
უამბობ განაბულ ბადიშებს ბუხართან
და კიდევ — პატარა ქალაქში დიდ მხატვარს
ყველაზე ლამაზი ქალი რომ უყვარდა.

დიალოგი ძველი ტელეფონით

ხომ ამოქმედებს ძრავი მუხლუხებს,
კაცისთვის ალბათ ქალია ძრავი.
„აღარ გახსოვარ?“ „მე მგონი... რავი...“ —
ვუპასუხე თუ წავილუღლუღე.

„ხელი გედო ჩემს მუხლზე ნებივრად,
ერთად ვისხედით მერხზე ყოველდღე.
სულ გახსენებდი...“ (რომ ათხოვებდნენ,
მაშინ რატომ არ ვუხსენებივარ?).

აღარ ვუსმენდი საყვარელ ტიტინს,
დავდე ყურმილი, დავცილდით ასე.
მივხვდი სინანულ შეპარულ ხმაზე,
რა დღეში ჰქონდა ნაკბენი თითი.

„მატყუარა“ დედის ბალადა

ვუძღვნი მონტენეგროელი პოეტის
იოლე სტანიშჩის ხსოვნას.

1965 წელს იოლე მწერდა: „გიგზავნი პოემას „ქვათა მოთქმას“. ვფიქრობ მას შენზე უკეთესად ვერავინ გადათარგმნის ქართულად. ეს არის პროტესტი ომის და ადამიანის დამცირების წინააღმდეგ“.

ამბავს ვყვები, რომ ვერც წარმოიდგენთ:
დედას ჰყავდა სამად სამი შვილი —
ერთი ბიჭი და გოგონა წყვილი.
მათ თოჯინებს უახლებდა იმ დღეს.
დედა თავის ჯადოსნური ხელით
მომძვრალ თავ-ფეხს აკერებდა სხეულს.
გუშინდელი დღე ლოდინად ქცეულ
ბავშვებს ჰქონდათ სიხარულის მგვრელი.
დღეს კი ამ ხალხს ციდან ბომბავს „ნატო“,
დედას თავზე ჩამოემხო ზეცა.
ჯერ სად არის?! ქალს პირკატა ეცა —
რად მორბიან გოგონები მარტო.
ჯერ სად არის?! რა უჭირავთ ბავშვებს? —
პატარა ძმის მოგლეჯილი თავი.
დედა უკვე ძუ ლომივით ბღავის.
ჯერ სადა ხარ, ქალბატონო, ამ შენს
ტრაგედიას აგვირგვინებს ხვეწნა:
„თავის ტანზე ჩვენს ძამიკოს, დედი,
მიუკერე თავი ოქრომკედით“.
ქალი იქცა მგლოვიარე ძეწნად,
თანაც ფიქრობს — მონტენეგრო მისდა
უნებლიედ რად აღმოჩნდა ომში
და კრუხივით ეფოფრება ორ შვილს —
დებს, ხელებს რომ არ უშვებენ ძმის თავს.
ავად ბზუის „ნატოს“ თვითმფრინავი,
გოგონები უიმედოდ სხედან —
არა მაქვსო მსხვილი ნემსი, დედამ,
წვრილით კი ვერ მიკერდება თავი.

კოჩუბეის ლუდხანაში

ლუდს ვსვამდით და ის გამაცნეს დახლთან,
ულვაშები ემჩნეოდა ოდნავ.
იშვიათი პროფესია ჰქონდა —
ცხვარში „ბატკნის ამომცნობი“ გახლდათ.

ვუყურებდი მე იმ ლეკის ყმაწვილს
და ვფიქრობდი — ჩემო მოძმევ, ბრიყვო,
არ გეგონოს, რომ მდიდრები ვიყოთ
კაცში კაცის გამომცნობი კაცით.

ქალი აივანზე

საკინძე გახსნოდა. შეცბუნდა.
სასწრაფოდ შეიკრა ქალმა ღილი
და ძუძუც სხმარტალით შეცურდა
უბეში ენგურის კალმახივით.

ლოდი გელათში

ის ლოდი განა პილიგრიმული
ასაბიისთვის მარტო ლოდია.
იქ ყურს თუ უგდებ, ისმის გმირული
სხვა სიმფონიის სხვა მელოდია.

რა დიდი იყო ციური წნეხი,
გარდავისახე კრძალვით პირჯვარი.
წამოსულს უკან მრჩებოდა ფეხი,
დავითის ლოდზე დანაბიჯარი.

ეკატერინე ჭავჭავაძის სიყვარული

„ახ, როდის ვნახო მეცა ველად
ჩემი ბულბული“.
ნიკოლოზ ბარათაშვილი

თავს ევლება საამური სიო წყვილს,
ბაღში სხედან მიკრულები ერთხორც.
ქალს ნასახიც არ ეტყობა სიმორცხვის,
ნიკო თითქოს რაღაც სურვილს შესთხოვს.

თავადის ქალს ხელიც მოუფათურა,
ის კი ჭკუის დარიგებას ცდილობს:
„ნიკო, კარგად დაიხსომე — ქართულად
მაფშალია ბულბულია, შვილო“.

მინირომანი

იმ უცხო ტიპს ენჯეოდან
საქციელზე ემჩნეოდა,
რა უნდოდა მას თეკლასი —
ჩაუტარა მასტერ კლასი.

ეროვნული მოტივები

როკვას ასწავლის ამერიკას ჯორჯ ბალანჩინი,
ბერლინს კი უცხო ტომისანი კედელს უნგრევენ.
ღმერთმა არა ქნას, ცხუმი გახდეს სკვითის არჩივი
და არ მივუზღოთ ზიჩისათვის მადლი უნგრელ ერს.

ახალციხეში გამრავლდითო, სომხებს ჰპირდება
თავის მკერდიდან რძეს პოეტი ჰაიკანუში.
ზანზარი იწყეს ყაზახეთის მიწის მინდვრებმა —
რუსებს რაკეტა აუფეთქდათ ბაიკანურში.

თუ ებრაელი ანა ფრანკის დღიურს ენდობი,
დარწმუნდები, რომ სიმართლეა ვერმოგონილი.
გაგახსენდება მშვენიერი დიუსელდორფიც,
დარასელიას გატანილი ევროგოლივით.

* * *

მოდი, არფაზე დამკვრელო ნიმფავ,
ეგ ჯადოსნური ხელი შეახე
მთრთოლვარე სიმებს ჩემი სულისა,
რომ ცნობადის ხის ფოთლებში მიმფლა,
ციური გონი როცა შეარხევს
მგოსნის სიმღერის დასასრულისას.

აწეწ-დაწეწე ჩემი წარსული —
სავსე ფერებით, ლილო-ჭრილოთი,
არ წამქცევია სადაც მე რაში,
თუმცა მებრძოდა ბევრი ავსული
და იმ შეგნებით, რომ ერს ვჭიროდი,
სულს ჩაგაბარებ სიმთა ჟღერაში.

გაფხორილი

როგორც არ შერჩა ანბანს იოტა,
ის ვერ შერჩება ჩვენს პოეზიას,
სულ გაფხორილი რომ დადიოდა,
როგორც არ შერჩა ანბანს იოტა.
ზოგჯერ ჩათვლიდით მას იდიოტად,
თავი მიაჩნდა რადგან მესიად.
როგორც არ შერჩა ანბანს იოტა,
ის ვერ შერჩება ჩვენს პოეზიას.

* * *

სევდა როცა მღრღნის, უსაშველო რამ,
რათა ლოყაზე ლოყა მომადოს,
ამ დროს ოთახში მუზა შემოვა
უნელსაცხებლო და უპომადო.

შევეგებები ხელაპყრობილი
და სიყვარულის ყოვლისმძლე ღმერთს ხომ
ისღა დარჩება, ორი პროფილი
გადააქციოს ერთსულ და ერთხორც.

ცისაკენ

ცად მიმავალმა შევნიშნე —
მოდიდებული ლეხურას
ფშანში ფრთებს აფართქუნებდა
ორი პატარა ბეღურა.
მერე მეცხვარე გამოჩნდა,
ტანზე ნაბადი ეხურა,
ხელში კომბალი ეკავა
და ღიღინებდა გლეხურად.
ალექსი ჭინჭარაულო,
სად იყავ, ჩემზე გეხუმრა —
პოეტს ცისაკენ მიმავალს
ჰაერი ესაფეხურა.

* * *

დაულეველი არც შენთვის არის
ამ წუთისოფლით ტკბობის მარაგი.
ურჩ ქოჩორს აღარ გიწეწავს ქარი,
აღარც მქუხარებს შენი არაგვი.

გულჯავრიანი აბოლებ თუთუნს,
სულ გაშინებდა საწუთრო ჩაჭრით.
უფალთან წამდგარს რა გესმის? ნუთუ
ჟღარუნი შენი ცოდვების ჯაჭვის?

სტუმარი თბილისიდან

დღეს მოხსენებას პროფესორი დობორღვინიძე
კითხულობს კლუბში მონა ლიზას ობოლ ღიმილზე.

→



ჯემალ ინჯია

რეგვენთა საყურადღებოდ

გეჯავრება სახლში მოსვლა მთვრალისა,
მაგრამ გუშინ დავითვერი, მთვარისა.
მეგობრებში ვსვამ ხანდახან, კაცი ვარ.
შევაგინე უბორჯომო მაცივარს,
რა არ გკადრე „სულელო“ და „დებილო“...
დღეს ხმას არ მცემ და გუმანით ვხვდები, რომ
დიდსულოვნად შეგიძლია, მთვარისა,
პატიება მთვრალის ნაბოდვარისა.

ირეოდა ყვითელი ქვიშა

არც დასაწყისი მოჩანს, არც დასასრული,
ქვიშაა მხოლოდ
და ქარი ურევს ამ ქვიშას,
თვალებში გვაყრის, რომ ვერ დავინახოთ
სამყაროს დასამთავრისი.
ნეტა დღეში
რამდენ მილიონ დუიმს გადის
ამ დიუნებზე მობოდიალე ბედუინი აბდულ
უდაბნოელი?

* * *

მას უყვარს ჭიქა ღვინის ცლა
რაც ჭკუას ისე უფანტავს —
ღმერთს უწყებს გასაუბრებას.
გამაგებინეთ, ვინ მისცა
ფუყე ფიგურას უფალთან
ფამილარობის უფლება?

ანგელოზები

ქარიბდასა და სცილას შორის მოგაყოლებენ,
იქ რაც გადაგხდეს, მერე ამბად მოგაყოლებენ,
გამოშვების დროს მაგარ ჭიტლაყს მოგაყოლებენ.

საქალაქო გვირაბი

ჩვენ პაემანი
საქალაქო
გვირაბში დავთქვით —
ედემის ბაღი,
სრა-სასახლე...
ფატა მორგანა!
ჯერ ადრე იყო
საახალწლო
შედლუხის ბათქი.
შეგხვდი. საღამომ
შენი კოცნის
მადა მომგვარა...

როცა დაგშორდი,
ლუკმაც კი ვერ
გადავსანსლე შინ,
დასაქენჯნავი
ნამუსი სულ
მთლად ხომ არ დავწვი,
რომ ნახევრად ბნელ
მიწისქვეშა
გადასასვლელში
შმაგად გკოცნიდი
მოშიებულ
მათხოვართა წინ.

გემზე

ქალი ვერაგი და გაიძვერა
ღელვის დროს უფრო მაგრა ინძრევა.

კულინარული თამაში

მე დღეს შენთვის ერთი ვერმიცანა ვარ,
ხუმრობების მოყვარული ხომ ხარ შენც.
„გულდედავა“ დაამატე „ცანავას“
და სადილი ცეცხლზე ქოთნით მოხარშე.
თავს მიმართე — თითო ჭიქა დავკრათო
და დავიტკბოთ ეს სამყარო ვაშლივით.
„სარაჯიშვილს“ თუ გაუღებ ყანყრატოს,
დააყოლე მწიფე „ბესტავაშვილი“.

* * *

ანგელოზი მეუბნება — ნუ შედექო.
მეც ფხიზლად ვარ, ჯერ სულაც არ ვაპირებ ძილს.
ოცდაათი წელია, რაც უშედეგოდ
ორ ბოძს შუა გაჭყლეტილი ღლაპი მებრძვის.

მტრად დამსახა, ვინც ობივით მეკრობოდა,
მერე მყიდდა სარფიანად ვისთან აღარ.
მასზე უწინ თუ მოვკვდი, ჩემს ნეკროპოლთან
მოვა, თვალით რომ იხილოს მტრის დამარხვა.

* * *

მაოცებს, ლეკვს ჩემგან გამოზრდილს,
ძაღლობა რომ კარგად გამოსდის.

რევიზია მავზოლეუმში
ჩეკისტის მემუარებიდან

აქ როდესაც ატარებდა
„ობისკს“ კიკნაველიძე,
ნახა, რომ დროს ატარებდა
ობის ქინქლა ლენინზე.

სამეფო კარის ინტრიგები

დღეს გააბრაზეს ლომი ლეკვებმა,
მამის ჭკუაზე აღარ დადიან.
ლომის თვალებში რომ ირეკლება,
ეს ანჩხლი ლეკვი ალბათ ხვადია,

როდესაც უნდა ეძინოს, დახტის,
ვერ იურვებენ, რა უხეშია.
არ სიამოვნებს, ეტყობა, ტახტი
რომ კვლავ ბებერი ლომის ხელშია.

დატუქსვა

შენს სიზმრებში რომ სცვლიდა თავმანდილს
შეყვარებული რაინდის პლედი,
აგიხდა, როგორც ლოცვა თამადის,
რომელმაც შეკრა ჩვენ შორის წრედი.
მაგ დამკრახული მტევნების ჭყლეტით
ვნებების ქვევრი ვავსე თავამდის,
შენ პოეზიის რაინდის ლედი
რომ გახდი, ამით ნუ გათამამდი.

* * *

„მეცა ხელი ვყო დაჟანგებულს ჩემსა სანთურსა“.
ნიკოლოზ ბარათაშვილი

საცოდავად რომ ატუზულა კართან ინსულტი,
მე ამიტომაც არ ვაპირებ სოფლის სამდურავს.
კარგა ხანია, ცრუ რწმენისგან გავთავისუფლდი
და ჩემი მუზა ჯერჯერობით მყოფნის სანთურად.

მე არ მაკლებდა დედა-ქართლი მეგრელს ია-ვარდს
და იმ სამყაროს შევრჩი, სულ რომ დალურსულია.
ჩემ ირგვლივ, თითქოს უპატრონო ეკლესია ვარ,
დედალ-მამალი ეშმაკები დავლურს უვლიან.

წარწერა სოსიაშვილის წიგნზე

ამ წიგნს „გოდების კედელი“ ჰქვია
შეიცავს სცენებს სისხლის სამართლის,
სადაც მთავარ როლს ასრულებს ტყვია
ძმისგან ნასროლი ძმის მისამართით.

კიდევ ერთ პლაგიატორს

მე რომ გამქურდე, ნუციკო,
შენ აღარა ხარ უმწიკვლო.

დავიდ ტოსკანა

პანდემია და აღორძინება

ლიტერატურას, წიგნს, კითხვას ცოლქმრული ფიცი უნდა დავუდოთ, რომ ვუერთგულებთ ჯანმრთელობასა და სნეულებაში, ჭირსა და ლხინში, კეთილდღეობასა და გაჭირვებაში, პანდემიის ჟამს თუ მის გარეშე; უპირველესად, იმიტომ, რომ კარგი წიგნი, ლიტერატურის კლასიკა აქ ჩვენს გასამდიდრებლად არის და სანაცვლოდ ჩვენგან არაფერს ითხოვს. თუმცა, კი, შესაძლოა, ითხოვს ყველაზე ძვირფასს, რაც კი გვაქვს — დროს. მაგრამ დროს ყველაფერი ითხოვს: ფეხბურთი, სამსახური, მგზავრობა ერთი ადგილიდან მეორემდე, სულელური სატელევიზიო გადაცემა, არაფრის კეთების სურვილი, ოცნება. ცხოვრება დროა. ამიტომაც აწერდნენ ძველ საათებს: vulnerant omnes, utima necat. საათს გულისხმობდნენ: ყველა ვნებს, უკანასკნელი კლავს. პანდემიამ ბევრს მოუსწრაფა დრო, მაგრამ, ცხადია, თქვენ თუ ამ სტრიქონებს კითხულობთ, ესე იგი, ამქვეყნად ხართ. რა ვუყოთ დარჩენილ დროს? ბევრი მიხვდა, რომ ჩინურმა ვირუსმა სხვა აზრი უნდა შესძინოს ჩვენს არსებობას, უფრო მეტად უნდა გავაცნობიეროთ, რომ მოკვდავნი ვართ, რადგან სიკვდილია ის, რაც ცხოვრების აზრს გვაპოვნინებს და წამიერებას დაგვაფასებინებს; მისი უარყოფა კი დროსტარებისკენ გვიბიძგებს.

დოსტოევსკისთვის ეს ვირუსს არ უსწავლებია, დახვრეტის მოლოდინში ისწავლა. „და, თუ არ მოვკვდები? — თქვა მწერალმა, — ცხოვრებას თუ დავუბრუნდები? რა მარადისობაა! ეს ყველაფერი ჩემი იქნებოდა! თითოეულ წუთს საუკუნედ ვაქცევდი, არაფერს დავკარგავდი, თითოეულ წუთს ანგარიშს მოვთხოვდი, უქმად არ გავფლანგავდი“. ბოლო წამს მოვიდა მეფის შეწყალება, სიკვდილით დასჯა ციმბირში ექვსწლიანი გადასახლებით შეუცვალეს. დოსტოევსკის დრო არ დაუკარგავს და უამრავი შედეგრი მოგვიძღვნა.

ეს არის ის სულისკვეთება, რომელიც ვირუსის დროსაც და მის შემდეგაც უნდა ჭარბობდეს. აღორძინების სულისკვეთება. ვირუსამდე ადამიანს ასწავლეს, რომ თავი დამნაშავედ ეგრძნო ადამიანად ყოფნის გამო; კარგი იქნება, ადამიანი კვლავ იქცეს ყველაფრის საზომად, იმის გათვალისწინებით, რომ აღორძინების ხანაში ამბობდნენ, დედის მუცლიდან შობილი ადამიანი ცხოველია და ადამიანის, შემოქმედის ყველაზე პრივილეგირებული ქმნილების, იერარქიას მხოლოდ ინტელექტუალური და სულიერი ზრდით, ანუ, კითხვით აღწევს.

თარგმნა ლანა კალანდიამ



ივანე ამირხანაშვილი

ბედის ნიშანი

ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი საბჭოთა ტრაგიკომედია იყო. კომუნიზმის კომუნალური რუტინა: შენს ბინაში ცხოვრობდი, მაგრამ ბინა შენი არ იყო. ამავე დროს, შენს ბინაში ვიღაც ცხოვრობდა, მაგრამ მისი არ იყო. ასეთ შემთხვევას ყოველ ნაბიჯზე შეხვდებოდი. არავის უკვირდა.

მაგრამ ეს ამბავი ისტორიას შემორჩა. ამის ბევრი მიზეზი არსებობდა.

მიხეილ ჯავახიშვილის დახვრეტიდან რამდენიმე დღის შემდეგ შინსახკომელები მივიდნენ ვერის აღმართის N21-ში და მწერლის ბინა ორად გაყვეს: სამი ოთახი გადასცეს კრიტიკოს შალვა რადიანს, ერთი ოჯახს დაუტოვეს. საკუთარი ბინის ხიზნად იქცა მიხეილის ცოლ-შვილი. მათ ჩვიდმეტი წელი გაატარეს დამთრგუნველ უაზრობაში: ცხოვრობდნენ თავიანთ სახლში, მაგრამ ამ სახლის სამი მეოთხედი მათთვის აკრძალული, გაუქმებული, გამქრალი იყო. რაღა თქმა უნდა, არც შალვა რადიანი იქნებოდა კარგ მდგომარეობაში. ისინი, ყველა ერთად, ბოლშევიკური აბსურდის ხიზნები იყვნენ.

ბევრ ჭორ-მართალს ჰყვებოდნენ შალვა რადიანის შესახებ, მაგრამ რეალობა ის არის, რომ ორი ოჯახი თანხმობით ცხოვრობდა. მეტიც, ჯავახიშვილები თავდასხმებისგან იცავდნენ რადიანს.

„მე ბევრჯერ მომიხდა სხვებთან შალვას დაცვა და ყველას უკვირდა ის ამბავი, რომ მე ვექომაგებოდი. ეს გამოქომაგება კი არ იყო, არამედ ჭეშმარიტების აღიარება“. — წერდა მწერლის ქალიშვილი, ქეთევან ჯავახიშვილი.

რომ არა შალვა რადიანი, სხვა მთლიანად მიითვისებდა სახლს და მუზეუმიც აღარ გვექნებოდაო — ამბობდა მიხეილის უმცროსი ქალიშვილი რუსუდან ჯავახიშვილი. „შალვასთვის შეუთავაზებიათ კიდეც, ჯავახიშვილებს იმ ერთი ოთახიდანაც გავასახლებთო, მაგრამ სასტიკი უარი უთქვამს“ (ზვიად კვარაცხელია, „წითელი თებერვალი“).

მიუხედავად ყველაფრისა, მაინც როგორი უხერხულია, როგორი დრამაა, როგორი მორალური კაზუსია — ცხოვრობდე დახვრეტილის ბინაში და ყოველდღე ხედავდე დახვრეტილის ოჯახის წევრებს, ქვრივ-ობლებს, გარიყულ, უარყოფილ ადამიანებს.

ქეთევან ჯავახიშვილის მოგონებებში არის ეპიზოდი, რომელსაც თუ ერთხელ წაიკითხავ, აღარასოდეს დაგავიწყდება:

„ერთხელ, რომელიღაც დღესასწაულზე, რადიანებს სტუმრები ჰყავდათ. მოულოდნელად ჩვენი ოთახის კარი გაიღო და გერონტი ქიქოძე, გოგლა ლეონიძე და ლეო ქიაჩელი შემოვიდნენ. როგორც პანაშვიდზე, ისე მოვიდნენ. ჩვენ გავშრით და დავიბენით. უხმოდ მივესალმეთ ერთმანეთს. სკამებზე ჩამოსხდნენ და არავის ხმა არ ამოუღია, უხმოდ ისხდნენ. მათ გულებში რა ტრიალებდა, ძნელი გამოსაცნობია, მათ სახეზე კი მწუხარება იყო აღბეჭდილი. რომ შევხედე, თვალებში ცრემლი მორეოდათ. ჩვენს ყურებას დიდხანს ვერ გაუძლეს, ადგნენ და ასევე უხმოდ გავიდნენ ოთახიდან. ვერაფერი გვითხრეს სანუგეშო, შეწუხდნენ და გასვლა იჩქარეს.“

მიხეილ ჯავახიშვილი ოცდაოთხი წელი ცხოვრობდა ამ სახლში, რომელიც 1900 წელს აუშენებია გენერალ ყორღანოვის მზარეულს სიმონ გაბრიჩიძეს.

სახლი კრედიტით იყო აშენებული. მეპატრონეს ყველა ბინა სარფიანად ჰქონდა გაქირავებული. ერთ-ერთი მოქირავნე 1913 წელს მიხეილ ჯავახიშვილიც გახდა.

გადასახლებიდან დაბრუნებული მწერალი და მისი მეუღლე ლუბა ჯაჭვაძე ერთ ხანს სასტუმროში ცხოვრობდნენ, შემდეგ ეკატერინე გაბაშვილის სახლში გადავიდნენ და ბოლოს ეს სახლი აირჩიეს, რომელიც, ლიტერატურული თვალსაზრისით, ბედნიერი აღმოჩნდა, მიხეილმა აქ შექმნა თავისი ნაწარმოებების დიდი ნაწილი; ეგზისტენციური თვალსაზრისით კი უბედურების მომტანი იყო — მუზეუმის აივნიდან ახლაც ჩანს ზემოთ, გორაკზე, ყორღანოვის (ახლანდელ ქიაჩელის) ქუჩაზე, ის სახლი, რომელშიც ლავრენტი ბერია ცხოვრობდა. მათი მზერა ხშირად შეხვედრია ერთმანეთს. მარტივი კინემატოგრაფიული ფანტაზია საკმარისია იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ ამ შეხვედრის ავისმომასწავებელი სიმძაფრე.

როგორც კი მოჰკრავდა თვალს ბერიას, მიხეილი სასწრაფოდ შებრუნდებოდა ხოლმე ოთახში. პირველი ჩეკისტი, რა თქმა უნდა, გრძნობდა ამ ანტიპათიას და ცდილობდა დაეახლოვებინა პოპულარული მწერალი.

„ბერიამ და მისმა მეუღლემ, ნინო გეგეჭკორმა, აღარ იცოდნენ, მიხეილი რით მიეზიდათ. ერთხელ მიხეილი თეატრში იმყოფებოდა. წინა რიგში ნინო ბერია იჯდა. შესვენების დროს, მიხეილი რომ დაინახა, ადგა, მასთან მივიდა და მოიკითხა. შემდეგ უთხრა: „ბატონო მიხეილ, რა არის, რომ ჩვენ არ გვკადრულობთ, ერთხელ არ გვესტუმრებით, ერთმანეთთან ისე ახლოს ვცხოვრობთ. ჩვენ თქვენი დიდი პატივისმცემლები ვართ და გვწყინს, რომ თქვენ განზე დგეხართ და არა გვკადრულობთ. ლავრენტი პავლოვიჩი სამუშაოდან გვიან ღამე დაღლილი რომ მოდის, მე მას 3-4 საათამდე თქვენს „არსენას“ ვუკითხავ ხოლმე, ძალიან მოსწონს თქვენი რომანი. გთხოვთ, ერთხელ მაინც მობრძანდეთ ჩვენთან“ (რუსუდან ჯავახიშვილის მოგონებებიდან).

შეიძლება ნინო გეგეჭკორი სრულიად გულწრფელად ეპატიჟებოდა მწერალს, მაგრამ ლავრენტი ბერიას უთუოდ სხვა მიზნები ჰქონდა. პირველ ჩეკისტს პირველ მწერალთან დაახლოება სამეგობროდ რომ არ უნდოდა, ამას მტკიცება არ სჭირდებოდა. უნდოდა, „მოეთვინიერებინა“, აელაგმა, კისერი მოეგრიხა — როგორც იცოდა, როგორც სჩვეოდა, როგორც შეეძლო.

ერთხელ მაინც მიდი, ხომ იცი, რა კაცია, რამე არ დაგიშავოსო — სთხოვდა მეუღლე, მაგრამ მიხეილი შეუვალი იყო: „რა ვქნა, მე მაგათ გუნდრუკს ვერ ვუკმევ, არ შემიძლია“-ო.

1937 წლის ზაფხული ძალიან ცხელი ყოფილა. სიცხისგან იწვოდა თურმე თბილისი. მთელი ქალაქი გარეთ გაკრეფილა.

ჯავახიშვილები დასასვენებლად ქვიშხეთში წავიდნენ... დიდი ხნის შემდეგ ქეთევან ჯავახიშვილი იხსენებდა ერთ ამბავს, რომელიც რამდენადაც უბრალო და ჩვეულებრივი ჩანდა, იმ დროს, იმდენად ტრაგიკული შინაარსი შეიძინა შემდგომ, სულ ცოტა ხანში.

ღამით მამა-შვილი ქვიშხეთელი გლეხის, სერგო ქალიაშვილის სახლის წინ, ბაღში იჯდა. მიხეილი ფიქრებში იყო ჩაძირული. ქეთევანი ცას გაჰყურებდა. უცებ დაინახა, რომ დასალიერის მხარეს ვარსკვლავი მოწყდა და ძირს დაეშვა, გული მოეწურა. ავად ენიშნა. მამას გახედა. ის დუმდა. შემდეგ ჰკითხა:

— მამა, რა ხდება, რა უნდათ ჩვენგან?

— ვერაფერს გეტყვი, შვილო, მე თვითონ ვერა გამიგია რა. — უპასუხა მამამ და გაჩუმდა.

დილით მოვიდნენ ჩეკისტები და მიხეილი დააპატიმრეს. თბილისში უკვე ყველაფერი მზად ჰქონდათ მის გასანადგურებლად.

ამ ამბამდე ნახევარი საუკუნით ადრე აქვე, ქვიშხეთში, დიმიტრი ყიფიანი დააპატიმრეს. მაშინ დიმიტრის უთქვამს აკაკი წერეთლისთვის: პატიმრობით დავიწყე ცხოვრება და პატიმრობითვე ვამთავრებო. ალბათ დაახლოებით იმავეს ფიქრობდა მიხეილ ჯავახიშვილიც — რამდენი პატიმრობა, რამდენი გადასახლება, რამდენი სიკვდილმისჯა...

სანამ მიხეილს დააპატიმრებდნენ, წინა ღამით ჩეკისტებმა მისი ბინა გაჩხრიკეს. გამოიყვანეს იქ მყოფი ერთადერთი ადამიანი, ოჯახის ახლობელი, თვალის დასაჭერად დატოვებული, და სახლი დალუქეს.

როდესაც თბილისში მათ ბინას ჩხრეკდნენ, ქვიშხეთში ცას ვარსკვლავი მოსწყდა.

ქეთევანი იქ მეტეხის ტაძრის ამბავს ეკითხება მამას. 1937 წელს ბერიამ გადაწყვიტა, ისტორიული ძეგლი დაენგრია და მის ადგილას თანამედროვე ნაგებობა აეშენებინა. მიხეილმა და კიდევ რამდენიმე კაცმა გაბედეს, შევიდნენ ბერიასთან და გააპროტესტეს ეს ვანდალური გადაწყვეტილება.

იმ დღის შემდეგ მიხეილ ჯავახიშვილი ყოველი დღე ელოდა დაპატიმრებას.

დაპატიმრებიდან თვენახევრის შემდეგ, 30 სექტემბერს, დახვრიტეს. აზრი არ აქვს იმის ჩხრეკას, თუ რა აღიარება დაწერა ან რაზე მოაწერა ხელი. იმ არაადამიანური წამების შიშით, რაც მან და მისმა თანაპყრობილებმა გადაიტანეს, რას არ „აღიარებდა“, ანდა რა აზრი ჰქონდა წინააღმდეგობას, როდესაც იცოდა, რომ თავის გადარჩენის არანაირი შესაძლებლობა არ არსებობდა.

მან, რაღა თქმა უნდა, ისიც იცოდა, რომ თავისი სიკვდილით ჭეშმარიტი მწერლის სახელს გადაარჩენდა და უთუოდ ეს იყო მთავარი, მარადისობის თვალსაზრისით, როგორც ძველები იტყოდნენ.

ეს სახლი დარჩა როგორც დროის სიმბოლო, როგორც მოვლენათა ნიშანი. უფრო სწორად, კი არ დარჩა, არამედ გადარჩა, რადგან შეიძლებოდა, აღარ არსებულიყო ისე, როგორც აღარ არსებობს ყველა ის სახლი, რომლებიც მის აყოლებაზე იყო ჩამწკრივებული.

„ის ერთადერთია ვერის აღმართზე აშენებული რამდენიმე ათეული სახლიდან, რომელიც „თბილისი თაუერის“ განუხორციელებელ პროექტს გადაურჩა“ (დათო ქარდავა, „მტაცებლები ურბანულ გარემოში“).

ახლა ეს სახლი, მიხეილ ჯავახიშვილის N21, მოდრეიფე აისბერგივით მოჩანს ფერდობის თავზე, თუმცა მოვა დრო, განახლდება „თაუერის“ იდეა, ახალი შენობებით შეივსება ცარიელი სივრცე, მაგრამ ვერაფერი შეავსებს იმ სიცარიელეს, რომელიც ბოლშევიკურმა რეპრესიებმა დატოვა ქართული კულტურისა და საერთოდ საქართველოს ისტორიაში.

სახლი დარჩება. ის მწერლის სახელმა გადაარჩინა. დანარჩენს თავს იდებს არქიტექტურული საიდუმლო, რომელიც ამ ნაგებობაშია ჩადებული.

სახლის მეპატრონის, სიმონ გაბრიჩიძის მემკვიდრე გურამ გაბრიჩიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ამბობს: „სახლი ციცაბო ფერდობზეა აშენებული. თანაც ზემოდან რომ დახედოთ, კვადრატული ფორმის კი არ არის, არამედ ტრაპეციის ფორმა აქვს... ერთია ის, რომ რელიეფზეა მორგებული, მაგრამ მეორეა ის, რომ ასე უკეთესია მიწისძვრის საწინააღმდეგოდ!“ (დათო ქარდავა, „მტაცებლები ურბანულ გარემოში“).

არქიტექტურაში ტრაპეცია არასტაბილურობისა და მოძრაობის სიმბოლოა. თავისი ფორმით ეს სახლი ეპოქასაც გამოხატავს და მწერლის ცხოვრებასაც. ასეთია დამთხვევა. ასეთია ბედის ნიშანი.

მარი თაბაგარი

ალიაქოთის ამტეხი

მზის სხივებმა ძალიან შეაწუხა პატარა თენგო, თითქოს თვალდახუჭულს წამწამებზე ვიღაც წაეთამაშა. ჯერ რამდენჯერმე საწოლში შეიშმუშნა, მერე რომ აღარ მოეშვნენ, ხელიც მოიქნია. ამ ზედმეტმა მოძრაობამ კი მძინარე ბიჭი შეაშფოთა და თვალები დააჭყიტა. ჯერ საბანი მხოლოდ სახეზე გადაიძრო, მერე ხელებიც ამოყო, გაიზმორა. „უი, გათენებულა. ნეტავ ბებო სადაა. პირველად დავრჩი მშობლების გარეშე სოფელში და როგორ მიმატოვა სახლში მარტო?!“ — გაიფიქრა გულში მწყრალად და საბნიდან ამოცოცდა. სასწრაფოდ მოკლე შარვალი ამოიცვა და ეზოში გავარდა.

ბებო არსად ჩანდა. სამაგიეროდ, მამალი დახვდა, რომელსაც წაეგრძლებინა კისერი და ირგვლივ შემოკრებილ დედლებთან ომახიანი ხმით იწონებდა თავს: — ყიყლიყოოოოოო!

თენგოს დანახვამ მამალი კი გააჩუმა, მაგრამ დედლები აკაკანდნენ. მამალიც, რის მამალი იყო, თავისი მრავალრიცხოვანი ქალბატონები არ დაეცვა. ბოლოსდაბოლოს, ქარამხანაში ერთადერთი მამრი ცხოვრობდა, და მთელი სადედლეთი მის იმედად იყო. მანაც არ დააყოვნა. ისევ წაიგრძელა კისერი და ჯერ ნელა და დინჯად გადადგა რამდენიმე ნაბიჯი მოწინააღმდეგე თენგოსკენ, თითქოს ძალებს სინჯავსო, შემდეგ კი შეშინებული ბიჭი რომ დაინახა, ფრთები შეაფართხუნა და ფეხს აუჩქარა. თენგომ „მტერს“ ზურგი აჩვენა და ისე მოკურცხლა, იფიქრებდით, ფრთები მამალს კი არა, მას ჰქონდა. თან გაჰკიოდა — ბებიაااااა! თენგოს ხმაზე ქათმები კრიახებდნენ და იდგა ერთი ალიაქოთი თამარა ბებოს ეზოში.

ის იყო, მამალი ეწეოდა და ზურგში უნდა ჩაფრენოდა, რომ ბებიას ომახიანი ხმაც მოისმა:

— აქა ვარ, ბებო გენაცვალოს, არ შეგეშინდეს!

პატრონის ხმაზე მამალი დარიგებულივით შედგა.

— შენ მოისპი, თუ ბავშვისა და დიდის გარჩევა იცოდე, — შეუტია მამალს თამარამ და აკანკალებულ შვილიშვილს მოეხვია, — არ გრცხვენია, ბებო, მამალმა როგორ შეგაშინა ამხელა კაცი. შეხედე, რა ერთი ციდაა. მუხლამდეც ვერ მოგწვდება, — თან მუხლებზე ხელი მოუსვა თენგოს, — უი, მომიკვდეს თავი, სულ სველი გაქვს შარვალი, ნუთუ ასე ძალიან შეშინდი, ბიჭო?!.

— რა მუხლამდე. მამალს ფრთებიც აქვს და ფეხებიც. მე კი მარტო ორი ფეხი მაქვს. ის დიდი ნისკარტით იკბინება, მე კი... — სლუკუნებდა თენგო.

— კარგი, ბებო გენაცვალოს, მე თამარა არ ვიყო, თუ შენც არ გაკბენინო მაგ მამლისთვის, არ იდარდო!

— არ მინდა, არ დაიჭირო, მაგის ბუმბულებს არ ვუკბენ!.. — აუწია ხმას თენგომ.

— არა, ბები, ახლა არა. დავკლავ, შევბრაწავ და მერე, — გაიცინა თამარამ. თენგო ოთახში შეიყვანა, აბანავა, დიდ ნაჭერ პურზე კარაქი წაუსვა, ზედ ყველის ნაჭრები დაულაგა და თეფში მაგიდაზე დაუდო. უკვე დამშვიდებული თენგო გემრიელად შეუდგა საუზმის მირთმევას. მუდამ ცნობისმოყვარე ბიჭს კითხვების საღერღელი აეშალა:

— ბებო, მამასაც ეშინოდა ბავშვობაში მამლების?

— არა, ბებო, საშიში არაა მამალი. არ უნდა მიხვდეს, რომ გეშინია. ჯოხი რომ მოგექნია, დაფრთხებოდა. მამაშენს არაფრის ეშინოდა.

— რატომ მატყუებ, ბებო? — ტუჩი ღიმილით აუთამაშდა თენგოს.

— ტყუილს ვიკადრებ ამ ხნის ქალი? რატომ უნდა მოგატყუო. არ ეშინოდა! იქეთ ეშინოდა მამაშენის ყველას და ყველაფერს! — ამაყად უთხრა თამარამ და თითქოს ნდობის მოსაპოვებლად თვალებში ჩააცქერდა.

— აბა, დედა რომ ეუბნება-ხოლმე, მშიშარა ხარ, ურისკო და უნიათო. ვერაფერს მიაღწევ, ერთი ადგილი თუ ტკეპნეო?!.

თამარას ფერი დაეკარგა, ყბა აუთამაშდა. როგორ უნდოდა ახლა, ამ წუთას, ამ სიტყვების ავტორი, მისი რძალი, მჯდარიყო თენგოს ადგილას. შვილიშვილთან არაფერი შეიმჩნია:

— ეხუმრება ალბათ, ბებო გენაცვალოს.

— არა, ბებო, ისეთი სერიოზული სახე აქვს-ხოლმე, ხმას ვერ ვიღებ შიშისგან, რამე რომ ვკითხო...

— თენგო, შვილო, ხშირად ადამიანები ერთმანეთზე რომ ვბრაზდებით, ისეთი რამ წამოგვცდება, მერე ვნანობთ, ოი, ეს რამ მათქმევინა. ასე არ ვფიქრობდი, მაგრამ გავცხარდი, შეურაცხყოფას არც ვაპირებდი, უნებურად მომივიდა და კიდევ ბევრი რამ. გვავიწყდება, რომ უფალმა პირში ენა რომ გამოგვაბა სამეტყველოდ, თავში ტვინი ჩაგვიდო სააზროვნოდ. ენის წინ კბილები დაგვიყენა, რომ ზედმეტი არაფერი გადმოგვცდეს და ტვინის ასამუშავებლად ყოველდღიური სწავლა-განათლება დაგვიწესა. მაგრამ ხდება ისე, რომ სიბრაზე ყველაფერს გავიწყებს და ველარ ვმართავთ უფლისგან ნაბოძებს... ვინც ამ ყველაფერს საერთოდ ივიწყებს, უტაქტო და უზრდელი რჩება მთელი ცხოვრება...

— კარგი რა, ბებო, რა ჩემი მასწავლებელივით მელაპარაკები. როცა უცებ წამოცდებათ, მეორედ ხომ აღარ იმეორებენ. დედა კი ხშირად ეუბნება, — თქვა თენგომ ამაყად და ბოლო ლუკმა კარაქიანი პური ჩაიდო პირში.

— მოდი, ნუ ჩავერევით მათ საქმეში. ჩვენ ახლა სადილი გავაკეთოთ, — ისე იყო თამარა მოცელილივით სკამზე მისვენებული, სადილის თავიც აღარ ჰქონდა.

— ბებო, მე ველოსიპედით მინდა, ვიარო და ეზოში მამლის მეშინია. ახლა მე გამომყევი და სადილი როცა მოგვშივდება, მერე გააკეთე.

— რას ამბობ, შვილო, მერე უეცრად რას მოვასწრებ. ახლა სადილი გავაკეთოთ და ველოსიპედით მერე ჭიშკარს გარეთ გაგიყვან, დიდ გზაზე. მამაშენიც იქ დადიოდა-ხოლმე.

— მამა როგორ დადიოდა, ველოსიპედი არ ჰქონდა.

— გოგა ბიძიას ჰქონდა და ის ათხოვებდა-ხოლმე. შენ რა იცი, რომ არ ჰქონდა?

— დედამ უთხრა, არაფერი სათამაშო შენ არ გქონდა და რას განვითარდებოდი, ამიტომ ხარ ტვინდახშული და ვერ იგებ, რას გეუბნებიო. რას ნიშნავს, ბებო, დახშული?

თამარას ბოლო კითხვა აღარ გაუგონია. გაცხარდა:

— მამას ველოსიპედი არ ჰქონდა, მაგრამ იმდენი წიგნი ჰქონდა, ველოსიპედისთვის სად ეცალა. დედაშენი რომ კაფეებში ყავის დასალევად დარბოდა, მამაშენი მესამე დიპლომს იღებდა მაშინ... — თამარას ნერვებმა უმტყუნა, პირველად თქვა რძალზე სასაყვედურო სიტყვა.

— უი, ბებო, დიპლომი რა არის?

— განათლების დამადასტურებელი საბუთია, შვილო...

— და ბალიშის ქვეშ ამოსადებია ხომ ეგ საბუთი?!

თამარას მუხლებში ძალა გამოეცალა, სისუსტე იგრძნო.

— ვაი, ჩვენი ცოდვა, — ჩაილაპარაკა და კაბის კალთით ცრემლი ჩუმად მოიწმინდა, — ესეც დედამ თქვა? არა, ბებო, დრო მოვა და სახელმწიფო სახელმწიფოს დაემსგავსება... მამაშენს რომ უყურებ, მისნაირი განათლებული ცოტა თუ დადის საქართველოში. სამსახურიც კარგი უნდა ჰქონდეს და მანქანაც ემსახურებოდეს. მან კი თავისი ხელფასით საკუთარი მანქანაც ვერ იყიდა.

— ჰო, დედა დასცინის ხოლმე, როდემდე უნდა იმუშაო ამ კაპიკებზე, ფეხსაცმელს ცვითავ ტყუილადო.

— რა მესმის ეს! შეუჭამია ცოცხლად! ფეხსაცმელს ცვითავს თორემ, მაგ ყიდულობს-ხოლმე! — განწირული ხმით იყვირა თამარამ.

— აბა, ვინ ყიდულობს, ბებო? მამაჩემმა გიყიდა ფეხსაცმელიც, თორემ ცალცალი კალოშით ჩამოხვედი სოფლიდანო...

— რაო? — ნერვებს ძლივს იოკებდა თამარა, — მერედა თუ ასეთი უქნარა, ტიტველ-შიშველი და განუვითარებელი იყავი, მე რაღას მოგყვებოდიო, თუ კალთები დაახიეს?

— ჰოო, სულ წუწუნებს, თვალები რომ არ დამბრმავებოდა, შენ როგორ გამოგყვებოდიო. ერთხელ მამას ვკითხე, დედა რომ ცოლად მოიყვანე, ბრმა იყო და ვერ ხედავდა-მეთქი? მამამ ჯერ გაოცებულმა შემომხედა, მერე გაეღიმა და მითხრა, ბრმა იყო და მე ავუხილე თვალებიო. ვერ გავიგე, ბებო, დედა მართლა ბრმა იყო და სათვალითაც ვერ ხედავდა?

თამარას უკვე აღარაფერი ესმოდა, მარტო იმაზე ფიქრობდა, ტელეფონით გაერკვია ეს ამბავი თუ პირადად დადგომოდა თავზე შვილს და რძალს. მერე ჩაილაპარაკა, ბრმა მე ვყოფილვარ ამდენი ხანიო და ფეხზე წამოდგა:

— თენგო, შვილო, ჩაიცვი ჩქარა, თბილისში მივდივართ!

— სად მივდივართ?

— თბილისში!

— ბებო, არდადეგები მაქვს და გუშინ არ ჩამომიყვანა მამამ?

— ჰოდა, ის მამა უნდა ვნახო, სიტყვას რომ არ დაძრავს-ხოლმე ჩემთან... და დედაშენიც! — დაამატა მრავალმნიშვნელოვნად.

თენგომ ბევრი ვერაფერი გაიგო, მაგრამ ცოტა კი დაფიქრდა. ბებოზე ადრე ჩაიცვა და კართან დადგა. თამარაც მოემზადა, მეზობელს პირუტყვი და ფრინველი ჩააბარა, საღამოს დამიბინავეო და 12 საათიან სამარშრუტო ტაქსს გაჰყვა თბილისში.

შუადღე იყო, თამარა შვილის კორპუსს რომ მიადგა დიღმის მასივში. ლიფტის ეშინოდა და მეშვიდე სართულამდე ძლივს ხვნეშით აიარა კიბეები. ზარი დარეკა.

— ვინ არის? — მოესმა რძლის ხმა და კარიც გაიღო. ნანა ცოტა შეცბა:

— რა მოხდა, ხომ კარგად ხართ? თენგო, დედიკო, რა დაგემართა? — დააყარა გაოცებულმა კითხვები დედამთილს და შვილს. თან ხედავდა, რომ ორივე საღსალამათი და ჯანმრთელი ჩანდნენ. ხმას კი არცერთი იღებდა. ისევ ნანა გამოცოცხლდა, — შემოდი, დედა, შემოდი. თენგომ გაგაბრაზა, თუ ვერ გაჩერდა უჩვენოდ და იტირა. რატომ არ მითხარი ტელეფონზე. ასე აღარ გაგაწვალებდი. მე და გურამი ჩამოვიდოდით მანქანით.

ოთახიდან გურამიც გამოვიდა:

— დედა?! — გაოცებულმა ჩაილაპარაკა, — ხომ მშვიდობაა?

— კი, შვილო, ჩემთან მშვიდობაა. თქვენთან, აქ რა ხდება? — ამოიღო ძლივს ხმა თამარამ და შვილს და რძალს შეხედა.

— აქ რა უნდა ხდებოდეს, დედა, გუშინ არ გნახე სოფელში, თენგო რომ ჩამოვიყვანე და გესაუბრე?! ცუდად ხომ არ ხარ? — გაიკვირვა გურამმა.

— მე ვარ ცუდად თუ... — აღარ დაასრულა თამარამ.

— დაჯექი, დედა, წყალი დალიე, დაღლილი იქნები. გეშიებათ კიდეც. თენგო, ბებო არ მოაწყინო, მე სუფრას გავშლი, — მერე ქმარს მიუბრუნდა ნანა, — გურამ, საყვარელო, სამზარეულოს მაგიდაზე შენი პროექტის ნახაზებია გაშლილი. მისაღებში მაგიდა გამომაწევინე, გთხოვ.

თამარა გაქვავებული და ხახაგამშრალი იჯდა და თავის გაჩენას წყევლიდა გულში, როგორ დავუჯერე და ავყევი ამ ერთი ციდა ბავშვის ენასო. ცოტა ხანში ნანა ისევ ღიმილით შემოვიდა ოთახში:

— დედა, წამოდი, სუფრა გავშალე. ჩვენც არ გვისადილია. გურამი საქმიანობდა და არ შევუშალე ხელი, არ მოვაცდინე. თენგო, დედიკო, მოდი, შენი საყვარელი ხორცის ღვეზელიც გამოვაცხვე!

სუფრას მიუსხდნენ. ყველას რაღაც დაძაბულობა ეტყობოდა. თენგოც გრძნობდა ამას და ხვდებოდა, დამნაშავე იყო. იცოდა, რომ გრძელი ენა ჰქონდა (ესეც ბევრჯერ მოისმინა დედისგან) და მისმა ნალაპარაკებმა ააღელვა თამარა ბებოც. თუმცა ბოლომდე ვერ აცნობიერებდა, რა თქვა ასეთი საშინელება. ყველაფერი ხომ მართლა მოისმინა... სიჩუმე ისევ გურამმა დაარღვია:

— დედა, აღარ იტყვი, რას მივაწეროთ შენი ასეთი მოულოდნელი და უცნაური სტუმრობა?

— რა იყო, შვილო, თუ არ გესიამოვნა, ახლავე ავდგები და წავალ.

— აბა, რას ამბობ, დედა, ეგ რამ გაფიქრებინა! — გურამის მაგივრად შეიცხადა ნანამ და გურამს გახედა, რამე თქვიო.

— გუშინ სოფლიდან წამოვედი, არაფერი გითქვამს. გვიან დავრეკე, არც მაშინ გიხსენებია აქ ჩამოსვლა, დღეს რა მოგელანდა, წუხელ სიზმარი ნახე რამე? — ირონიულად ჩაიღიმა გურამმა.

თამარას პასუხი არ ჰქონდა. აქ ისეთი ურთიერთობა და სიტუაცია დახვდა, ვერ მოყვებოდა იმ ყველაფერს, რაც შვილიშვილისგან მოისმინა. დაიძაბა, ყველაფერს მოელოდა და ასეთ დახვედრას კი არა. თენგოსაც თავი ჩაეღუნა და ფიქრობდა, ახლა რომ ბებიამ მოყვეს, რაც მე დილით ვუთხარი, ალბათ დედა იყვირებს, მეც მიყვირებს, მერე მამა გაბრაზდება, ბებოც ისევ გაცხარდება, როგორც სოფელში... უეცრად ფეხზე წამოხტა:

— დედა, სოფელში რომ არ ჩამოხვედი და მარტო მამამ ჩამიყვანა, ბებომ ინერვიულა ან ცუდადაა, ან ჩემზეა ნაწყენიო. მამასაც არ დაუჯერა და, მგონი, შენს სანახავად წამოვიდა. მეც ხომ მარტო არ დამტოვებდა...

თამარამ ჯერ გაოცებისგან პირი დააღო, მერე ნელ-ნელა გაიღიმა, შენ გენაცვალოს ბებოო, ჩაილაპარაკა და რძლის მომღიმარ სახეს და ცრემლმომდგარ თვალებს რომ წააწყდა, მაშინ ღიმილისგან თვითონაც მთლად ყურებამდე მოხსნა პირი... ნანა ფეხზე წამოდგა, დედამთილს გადაეხვია, დედა, რატომ არ მითხარი, როგორც კი მოვიცლიდი, ჩამოვიდოდი, მანქანითაც წამოგიყვანდი. ასე როგორ შეწუხდი ჩემთვისო...

მეორე დილით ტკბილად გამოძინებული და რძლის მზრუნველობით განებივრებული თამარა ისევ იმ სამარშრუტო ტაქსში იჯდა, რომლითაც აღელვებული და აფორიაქებული თბილისში ჩამოვიდა. ახლა უკან ბრუნდებოდა, თანაც სულ სხვა განწყობით. ბედნიერება სახეზე დასთამაშებდა. ენაჭარტალა, ალიაქოთის ამტეხ ბიჭს კი თავი ბებიის კალთაში ედო და მშვიდად თვლემდა.

კონსტანტინე კაპანაძე

გულის კარი ანუ თავისუფლება

დებიუტი

მეორე დღეს სოციალურ ქსელში ხალხი წერდა: გუშინ მთელი ღამე მუსიკა ისმოდა, რა უბედურებაა, ვერ დავიძინეთო. სასწრაფოდ მისაღებია მუსიკაზე რეგულაციები, როგორ შეიძლება, ღამე მუსიკა გაწუხებდეს, ხალხი ვცხოვრობთო.

ექვსი თვე მკვდარი იყო მუსიკა თბილისში, რასაც თავისუფლების მოყვარულნი, ისინი, რომლებმაც თავისუფლებას გემო გაუსინჯეს, სასტიკად განიცდიდნენ — „ეჰ, მოვკვდი ლოდინით, მომენატრა ცეკვა“ — თითქმის ყველა კუთხეში, ქუჩაში, სახლში ჟღერდა ასეთი ფრაზები. ზოგი ალალად ამბობდა, ზოგი ტყუოდა, რადგან უმეტესობა უბრალოდ სიტუაციას აჰყვა და თავის გამოსაჩენად იტყუებოდა.

აგვისტოს მიწურულს ფინონი მუსიკის ფესტივალზე წავიდა. ღელავდა, რადგან ფესტივალზე, სადაც ხალხი უკვე მოდიოდა და მოდიოდა, გოგოს უცდიდა (გოგო მეგობარმა გააცნო ფესტივალის წინა დღეს). მეგობრებმა რომ უთხრეს, ვგაზავთ, წამოდიო, მოიყრუა, არაფრად ჩააგდო. ფული არ ქონდა, რომ ეთქვა: დავაი, მოვდივარო, მაგრამ როგორც კი ამ გოგოს წამოსვლა გაიგო, დაფაცურდა, მიდგა-მოდგა და ბილეთის ფულთან ერთად სახარჯი ფულიც იშოვა, რამე რომ იყოს, დავპატიჟებო.

ფესტივალი ღია ცის ქვეშ ჩატარდა. ვინც თბილისში იყო, თითქმის ყველა მივიდა, განსაკუთრებით ის ადამიანები, ვინც მუსიკის მოსასმენად დადიან და არა გართობისთვის. გართობისთვის, როგორც ფინონმა შენიშნა მოგვიანებით, უფრო მეტი მივიდა, ვიდრე მუსიკის მსმენელები. ასეთი ხალხი უცნაურია: ელექტრონული მუსიკის ხელოვნებას უარყოფენ, ეგ მარტო გართობისთვისაოო, არადა მუსიკოსი (რომელიც შენს თვალწინ უკრავს) მთელ ენერგიას, შრომას დებს, რათა შენ, გართობისთვის მისულს, ხუთი-ექვსი საათი გასიამოვნოს, კმაყოფილი წახვიდე და თქვა: გუშინ მაგარი ივენთი იყო, მაგრად გავერთეო!..

ფინონი ბართან იდგა, მეგობარი ახლდა თან, როცა მისმა სატრფომ კიბე აიარა და პირისპირ გაუსწორდა. სატრფოს ბასმათი ერქვა. ფეხზე წითელი „mocassin“-ები ეცვა, შავი, თითქმის ნაცრისფერი შარვალი და თეთრი, ქათქათა თეთრი, ჯინსის მოსაცმელი. სათვალე ეკეთა, მრგვალშუშიანი. ცხვირი გრძელი ქონდა, ოდნავ კურნოსა, თმები ხუჭუჭა, თვალები ყავისფერი. ბიჭების დანახვაზე განაზდა, ახლოს მივიდა, გადაკოცნა. მეტი სითბო ფინონის მეგობარზე გამოავლინა, რადგან ბავშვობიდან იცნობდა.

— როგორ ხარ? — იკითხა ბასმათმა და შებარბაცდა.

ბასმათი მთვრალი იყო. მისი წვრილი ხმა, რითაც ფინონი მოიხიბლა, უფრო დაწვრილებულიყო, გახრწნილიყო.

— კარგად, კარგად, — უპასუხა ფინონმა.

მუსიკა იკვრებოდა და იკვრებოდა, ხალხი ცეკვავდა.

— შენები აქ არიან? — მიუახლოვდა ფინონის მეგობარს, ხელი ჩაჰკიდა, წონასწორობა შეინარჩუნა.

— მოვლენ მალე.

ბასმათი მიეყრდნო, თითქოს თავს აფარებდა, თითქოს რცხვენოდა, ასეთი მთვრალი რომ მივიდა.

მუსიკა იკვრებოდა და იკვრებოდა, ხალხი ცეკვავდა.

როგორც ბასმათმა უთხრა, მისიანები მალევე გამოჩნდნენ. ფინონის მეგობარს ხელიდან გამოგლიჯეს, ერთი-ორი სიტყვა დააბრეხვეს და სწრაფად, დაჟინებით მოაშორეს იქაურობას. ფინონი შეცბა, საგონებელში ჩავარდა. მისი გული წყენით აივსო, აიმღვრა, რადგან იგი, რისთვისაც აქ გამოცხადა, ბასმათის სიმთვრალეს წაელეკა, როგორც ქარს ნაფოტი.

ფინონი მაინც არ კარგავდა იმედს, მაინც სჯეროდა, რომ ბასმათს რამეს მიახვედრებდა, აგრძნობინებდა, თუმცა როცა პუფზე დაქალის ფეხებთან თავჩაქინდრული დაინახა, იმედი მოუკვდა და, ნებსით თუ უნებლიეთ, თავისთვის ჩუმად წარმოთქვა — „მაგრამ იმედი, ეს უფლის ჩიტი“. იგი ახლა მიხვდა ამ ფრაზას, სწორედ ახლა, როცა ბასმათი ასეთ მდგომარეობაში ნახა. მიხვდა, მართლაც „უფლის ჩიტი“ რომ ყოფილა იმედი, თითქოს სიცოცხლეს გიხანგრძლივებს, ხელახლა გბადებს და გწელავს, გწელავს, გწელავს, როგორც ბავშვი საღეჭ რეზინას. „თურმე რა ყოფილა იმედი, თურმე, სანამ ასეთს ვნახავდი, მჯეროდა, რაღაცას მოვახერხებდი, ახლა კი მორჩა, აღარაა იმედი. წარმოიდგინე, ფინონ, წარმოიდგინე, იმედი მტვერივით რომ გაქრეს“ — აგრძელებდა ბუტბუტს და ბასმათს თვალს უშტერებდა. ბასმათი, რა თქმა უნდა, ვერაფერს ამჩნევდა, მხოლოდ გამოფხიზლება, გამოღვიძება ეწადა.

დაქალი ტელეფონს ჩაკირკიტებდა.სახეზე ეტყობოდა, ბასმათის მოვლა აღიზიანებდა, ერთი სურვილი ქონდა, წამომხტარიყო და ხალხს შეერთებოდა, რომელსაც არაფერი ანაღვლებდა და რომელიც ხელ-ფეხს უთავბოლოდ იქნევდა.

მუსიკა იკვრებოდა და იკვრებოდა, ხალხი ცეკვავდა...

ბართან ადამიანები გადი-გამოდიოდნენ. ბარმენებს ხან ერთი ბოთლი ეჭირათ ხელში, ხან — ორი, ხან — სამი. ცაზე ღრუბლები კანტიკუნტად ირეოდა. გრილოდა, ოღონდ არა ისე, როგორც ზამთარსა თუ შემოდგომაზე, აი, ზაფხული რომ შემოდგომაში გადადის, შემოდგომის პირველი დღე რომ უნდა დადგეს, ეგრე. ფინონი გატრიალდა, საცეკვაო სცენას გვერდი აუარა და მოსასვენებელ ადგილას გადაინაცვლა. მეგობრებს ეძებდა, იქნებ, ვინმე ვიპოვო და გავერთო მაინცო. მეგობრები სკამზე ისხდნენ, ფინონი მიუჯდა. უხასიათოდ გამოიყურებოდა, ერთ-ერთმა მეგობარმა ჰკითხა:

— რა გაწუხებს, მოხდა რამე?

— რა ვიცი,არაფერი, — მოჭრილად უპასუხა.

მუსიკა იკვრებოდა და იკვრებოდა, ხალხი ცეკვავდა.

— ახლა მაგარი არტისტი დგება, აი, ის, ჩვენ რომ გვიყვარს.

— ჰო, ჰო, თან ძალიან მალე. შევვარდეთ ეგრევე, მარცხენა მხარეს დავდგეთ, — ჩაერთო სხვა.

ფინონი თავს აქნევდა, მას არც მუსიკა და არც მეგობრები ანაღვლებდა. იჯდა მოკუნტულად და ფიქრობდა, როგორ გაეღწია აქიდან, თან ისე, მეგობრებს არ სწყენოდათ, რადგან ახლავე რომ ეთქვა, წავედი, აბა, ჰეი, როგორც თვითონ თვლიდა, ცუდ ტონად ჩაითვლებოდა. ამიტომ უარყო ეს ფიქრი და იმ საყვარელ არტისტს დაელოდა, მეგობრების თქმით, მალე რომ დგებოდა. სანამ საცეკვაო სცენაზე შევარდებოდნენ, ფინონმა იქაურობას მოავლო თვალი — გარშემო უამრავი ადამიანი იყო. ყვითელი, მბჟუტავი შუქი ზურგზე, თავზე, მხრებზე მორცხვად ეცემოდათ, თითქოს შუქი თავისთავადობას კარგავდა. ყველას ათვალიერებდა და უჭირდა გაგება, რატომ, რისთვის იქცეოდა ასე. აკვირდებოდა ადამიანების ტუჩებს, მოძრაობებს, თმას, ხმას, მიმიკებს და უცბად მძიმედ, თითქოს რაღაც მოწყდა მასში, იგრძნო, რომ ის ფინონია, იგრძნო, ფინონია და სხვა არავინ, იგრძნო, მისნაირი დედამიწაზე არ არსებობდა და გონებრივად რომ შეიმეცნა გრძნობა, მიხვდა, მეორე ფინონი ვერ იარსებებდა მომავალში, არათუ წარსულში. გაწითლდა, დაიმორცხვა, თუმცა მალევე გაუქრა სიწითლე, როცა მეგობარმა მიარტყა ხელი, ჰა, წავედითო. ფინონი ადგა, ნელა გაჰყვა მეგობარს. მეგობარი წინ გაუშვა და ისე მიყვებოდა, რომ უცხო თვალისთვის გაჭირდებოდა იმის აღქმა, მიყვებოდა თუ არა ვინმეს. ის-ის იყო ხალხს უნდა შერთვოდა, რომ ბასმათი და მისი დაქალი ცხვირწინ აეტუზნენ. ბასმათის დაქალი ფორიაქობდა, აქეთ-იქით იხედებოდა წამდაუწუმ და უკმაყოფილებას გამოხატავდა, რამდენადაც შეეძლო...

— აი, იქ დაჯექით და მიხედე, კარგი?

ფინონი შეცბა, რას ჰქვია მივხედო, რა მავალებსო, მაგრამ როცა მიხვდა, ბასმათის მოვლა უწევდა, დათანხმდა და მსუბუქად, აუღელვებლად დასხდნენ.

ფინონი ფოლადივით იჯდა. შეეძლო, საუკუნე მჯდარიყო ერთ პოზაში, რადგან ბასმათს თავი მის მხარზე ედო, რაც ფინონს უსაზღვროდ აბედნიერებდა, მიუხედავად იმისა, რომ მხარზე მძიმედ აწვებოდა და შიგადაშიგ ტკივილი წამოუვლიდა ზურგზე. ხუჭუჭა თმები ყურის ძირზე ეხებოდა და ყოველი თმის ღერის შეხებისას ბურძგლავდა, სუნთქვა უხშირდებოდა და გული უჩქარდებოდა. სასტიკად სიამოვნებდა, რომ გოგო, რომელიც მოსწონდა და ვისთვისაც მოვიდა, მას მიტმასნილიყო, როგორც შეყვარებულები ეტმასნებიან ხოლმე. მერე გათამამდა, მეტი მოინდომა. მაიცა ერთი წუთიო, თან ტკივილმა შეაწუხა. გასწორდა, მისი თავი მარჯვენა მკერდზე მოწია, ხოლო ათრთოლებული და ოფლიანი მკლავი წელზე შემოხვია. მერე ძლიერად მოქაჩა თავისკენ, თითქოს მიისაკუთრა. ბასმათი ვერაფერს ხვდებოდა, ვერა გაეგო, რატომ მოექცა ფინონის მკლავებში, პრინციპში არ ადარდებდა, ვინაიდან მხოლოდ და მხოლოდ კომფორტულ ადგილს ეძებდა, რათა თვალები დაეხუჭა, დაეძინა და რამენაირად სიმთვრალისგან გამოფხიზლებულიყო. ბასმათისთვის, ცხადია, არაფერი იყო, ხოლო ფინონისთვის — მთელი სიცოცხლე. სიცოცხლე იმიტომ, რომ მისაკუთრებულ ბასმათში დაეუფლა, იპოვა ის სიმშვიდე, რომელსაც ხელისცეცებით დაეძებდა. ღამე წამოხტებოდა ხოლმე და ოთახში ნერვიული კაცივით დადიოდა. ხანდახან დედა შეუსწრებდა, ჰკითხავდა, რა გჭირსო, ფინონი კი ყოველთვის, ყოველთვის ატყუებდა.სიყვარული უანგარო გაცემაოო, ამბობენ, მაშ, გამოდის, რომ ფინონი ჭეშმარიტ, ნამდვილ სიყვარულს ემსახურებოდა, თუმცა მასაც სჭირდებოდა მიღება, რადგან მუდამ მეტს გასცემდა, ვიდრე იღებდა. ფინონს სიყვარული აკლდა, ის სიყვარული, მიღებას რომ სდევს თან, თორემ მარტო გაცემა და გაცემა, ფინონის ჭკუით, სიყვარული არაა, სიდებილეა, და ფინონი იმიტომ გასცემდა სულელურად, რომ მან მშვენივრად, მშვენივრად იცოდა სიყვარულის ნაკლებობის ფასი.

როცა ბასმათი მკლავებში ყავდა, რა თქმა უნდა, დრო დაუკითხავად, ისე, როგორც ჩვევია, მირბოდა და მირბოდა, ფინონისთვის კი არ არსებობდა, სადღაც მიუსაფარში გაეზავნა და ისეთ შთაბეჭდილებას უტოვებდა, რომ არასდროს დაბრუნდებოდა, რადგან ბასმათმა სხვა ყოფაში გადაიყვანა, რომელიც დროს და, მით უმეტეს, „მეს“ გიკლავს და აღვიძებს საერთო, კოლექტიურ „მეს“, რასაც, როგორც ფინონს გაუგია, სიყვარულს ეძახიან. მაგრამ ყველაფერი ასაწყობის სათამაშოსავით დაიშალა, როცა ბასმათის დაქალი გამოჩნდა. ფინონმა შორიდან მოკრა თვალი, ღრმად ჩაისუნთქა, თვალები საგრძნობლად დაახამხამა და მიხვდა, ადამიანის სახით აღსასრული უახლოვდებოდა. მხრიდან თავი ააღებინა, ჩანთა მუხლებზე დაუდო, მერე წამოაყენა.

— მადლობა, — ბასმათის დაქალმა ჰაერში გაისროლა სიტყვა.

ბასმათმა თვალები გაახილა, მიიხედ-მოიხედა. დაქალმა მკლავი გაუყარა და ისე მოაშორა იქაურობას, ბასმათს ერთი სიტყვა არ დასცდენია, ერთი არ გამოუხედავს ფინონისკენ. ფინონი უწინდებურად იდგა, თითქოს არაფერი მომხდარა, თითქოს ბასმათის მოწეპება სიზმარი ყოფილიყო, არადა დროის გაქრობა ისეთივე რეალური იყო, როგორც ბასმათი, ფინონი და ყველა ირგვლივ მყოფი.

* * *

ხალხი საოცარი აღტკინებით მოძრაობდა, გამხეცებულები დარბოდნენ, რათა იმ ვნებას შეერთდებოდნენ, რომელსაც ისევ და ისევ მუსიკა ქმნიდა და ადამიანების თითქოს უკანასკნელი, მომაკვდავი ყვირილი, ამოხვნეშა.

ფინონმა ძლივსძლივობით გადახარშა ბასმათის წასვლა, არა, უფრო ის, უკანმოუხედავად რომ დაადგა გზას — „რას იზამ, ასე მოხდა“ — გაიფიქრა და საცეკვაო სცენას შეურთდა. მეგობრები რომ დალანდა, მიუხლოვდა, მოვედი, რას შვებითო. მეგობრებმა არ უპასუხეს. მოულოდნელად, როგორც კი საცეკვაო მოედანზე დადგა, დისკომფორტმა აიტანა. ფიქრობდა, ბასმათის წასვლა მაწუხებს და იმიტომ ამიტანა დისკომფორტმაო, მაგრამ დისკომფორტის გრძნობას რომ შეყვა, აღმოაჩინა, ხალხი ისე თავისუფლად ცეკვავდა, საერთოდ ფეხებზე ეკიდათ სხვა, რის გამოც ხან მარჯვნიდან, ხან მარცხნიდან ან ფეხი, ან ხელი ხვდებოდა. ფინონი მარცხნივ ჩაიწია, შედარებით თავისუფალი სივრცისკენ. უღიმღამოდ აამოძრავა ტანი, ნაძალადევად, ყველა ცეკვავს და მეც უნდა ვიცეკვო, აბა, ასე ხომ არ ვიდგებიო. ნელ-ნელა მუსიკას აყვა, მუსიკას აყოლებდა ტანის მიხვრა-მოხვრას. მუსიკამ იმოქმედა, მასში შეიჭრა და ჩაითრია, როგორც ზღვამ ნასროლი ქვა. ნახევარი საათი უგონოდ ცეკვავდა, მხოლოდ ცეკვავდა და ცეკვავდა, მეტი არაფერი — არც ფიქრი, არც ტკივილი, არც პრობლემა, არც ბასმათი და არც ყოფის შეგრძნება, რომელიც მოსასვენებელ ადგილას მძაფრად შეიცნო. მერე გამოფხიზლდა, ვერ გაუძლო დიდხანს. თავი მაღლა ასწია, ცაზე ვარსკვლავებს ღრუბლები ჩაენაცვლებინა, სიგრილე გაორმაგდა. ნაბიჯები უკან გადადგა, თან თავგანწირული ყვირილები ჩაესმოდა, გული აუჩქარდა და როცა ხალხს მოშორდა და შეხედა, დაინახა ათასობით ადამიანის გაშმაგებული ცეკვა, დაინახა, როგორ გამოხატავდა თითოეული ადამიანი თავის თავს, რომლის არ რცხვენოდათ, რადგან გულისკარი გახსნეს და იყვნენ ისინი, ვინც იყვნენ ანუ თავისუფლები, ანუ თავის უფლება.

„მხოლოდ მუსიკა გვინათებდა გზას“...
„მხოლოდ მუსიკა გვინათებდა გზას“...
„მხოლოდ მუსიკა გვინათებდა გზას“...

* * *

მეორე დღეს სოციალურ ქსელში ხალხი წერდა: გუშინ მთელი ღამე მუსიკა ისმოდა, რა უბედურებაა, ვერ დავიძინეთო. სასწრაფოდ მისაღებია მუსიკაზე რეგულაციები, როგორ შეიძლება, ღამე მუსიკა გაწუხებდეს, ხალხი ვცხოვრობთო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰილდე დომინი (ჰილდეგარდ დინა ლიოვენშტაინი), ებრაული წარმოშობის გერმანელი პოეტი, 1909 წლის 27 ივლისს კიოლნში დაიბადა. სახელი განსაკუთრებით გაითქვა, როგორც ლირიკოსმა და „გაურითმავი ლექსის“ ერთ-ერთმა უმნიშვნელოვანესმა წარმომადგენელმა. დომინიკის რესპუბლიკაში გადასახლების შემდეგ, რომელსაც ჰილდე თავის ფსევდონიმს დაესესხა, 1961 წლიდან ჰეიდელბერგში ცხოვრობდა, სადაც 2006 წელს გარდაიცვალა კიდეც.

ჰილდე თავდაპირველად იურისპრუდენციას სწავლობდა, მერე ფილოსოფიასა და პოლიტიკურ მეცნიერებებს — ჰაიდელბერგში, კიოლნსა და ბერლინში. 1931 წელს ჰილდემ არქეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი, ებრაელი ერვინ ვალტერ პალმი გაიცნო, რომელთან ერთადაც 1932 წელს იტალიაში გადავიდა სწავლის გასაგრძელებლად. ამასობაში, გერმანიაში ძალაუფლება ჰიტლერმა ჩაიგდო ხელში და ჰილდე დომინს იტალიაში მოუწია დარჩენა, სადაც 1936 წელს ერვინ ვალტერ პალმზე დაქორწინდა. მას შემდეგ, რაც იტალიაშიც დაიწყო ებრაელების დევნა, ჰილდე პალმი თავის მეუღლესთან ერთად პარიზის გავლით ჯერ დიდ ბრიტანეთში გადავიდა, შემდეგ კი — კანადის გავლით — სანტო დომინგოში. აქ ჰილდე პალმი თავისი მეუღლის ნაშრომებს ბეჭდავდა და თარგმნიდა, პარალელურად, სანტო დომინგოს უნივერსიტეტში გერმანულ ენას ასწავლიდა. ლექსების წერა ჰილდე პალმმა 1946 წელს ქორწინებაში დამდგარი კრიზისის გამო დაიწყო. როგორც თავად ამბობდა, ეს მისი ხსნა იყო, „თვითმკვლელობის ალტერნატივა“, რაზეც ფიქრი ჰილდეს განსაკუთრებით დედის გარდაცვალების შემდეგ გაუმძაფრდა. 1954 წელს გერმანიაში დაბრუნების შემდეგ ჰილდე პალმმა თავისი პირველი ლექსები გამოაქვეყნა ფსევდონიმით „დომინი“, 1959 წელს კი მისი პირველი კრებული გამოიცა სახელწოდებით „მხოლოდ ვარდი საყრდენად“. გარდა ლექსებისა, ჰილდე პალმი წერდა მოთხრობებს. მის კალამს ეკუთვნის რომანი „მეორე სამოთხე“, უამრავი ესსე და ლიტერატურული ტრაქტატი. ჰილდე დომინი ცნობილია ასევე, როგორც მთარგმნელი და გამომცემელი.



ჰილდე დომინი

არ დაიღალო

არ დაიღალო,
არამედ სასწაულისკენ,
თითქოს ჩიტი იყოს,
ჩუმად გაიწვდინე ხელი.

გვირაბი

სამნი,
ოთხნი,
უთვალავი, ცალ-ცალკე,
მარტო,
მივუყვებით ამ გვირაბს,
როცა დღე და ღამე ტოლია.
სამი, ოთხი ჩვენგანი
ამბობს სიტყვებს,
ამ სიტყვას:
„ნუ გეშინია“.
ჩვენ კვალდაკვალ
ყვავილები ყვავიან.

შენ არსებობ

შენი ადგილი იქაა,
სადაც თვალები გხედავენ,
სადაც თვალები ერთმანეთს ხვდებიან,
ჩნდები შენ.

ძახილი გაჩერებს,
მუდამ ერთი და იგივე ხმა,
თითქოს მხოლოდ ერთი ხმა არსებობდეს,
რომლითაც ყველა იძახის.

შენ დაეცემოდი,
მაგრამ არ ეცემი.
თვალები გიჭერენ.

შენ არსებობ,
რადგან თვალებს სურხარ,
შენი დანახვა და იმის თქმა,
რომ შენ არსებობ.

სიყვარული

სიყვარული
მზეში ზის
გალავანზე და იზმორება
ყველას დასანახად.
მისთვის არავის დაუძახებია
და ვერც ვერავინ გააგდებს,
თუნდაც აწუხებდეს.
საიდან მოვიდა იგი, როცა მოვიდა?
კატის გამოჩენასაც კი ვხედავთ
ან ქაღალდზე ლექსისას
და შავფეხებიანი სიზმარი
არ გვანებებს თავს.
ის გალავანი ცარიელია,
სადაც სიყვარული იჯდა.
სად წავიდა იგი, როცა წავიდა?
თვით სიკვდილიც კი, თვით ცრემლიც კი,
სტოვებს კვალს.

მხოლოდ ვარდი საყრდენად

ოთახი მოვიწყვე ჰაერში
აკრობატების და ჩიტების ქვემოთ:
ჩემი სანოლი გრძნობის ტრაპეზზე,
როგორც ბუდე ქარში,
ტოტის უკიდურეს წვერზეა.
უნაზესი შალის საბანი ვიყიდე
ნაზად დავარცხნილი ცხვრებისა, რომლებიც
მთვარის შუქში
მოციმციმე ღრუბლებივით
მიიზლაზნებიან მყარ მიწაზე.

თვალებს ვხუჭავ და ვეხვევი
ამ საიმედო ცხოველების მატყლში.
მინდა, პატარა ჩლიქებქვეშ ქვიშა შევიგრძნო
და საკეტის ტკაცუნი გავიგონო,
რომელიც გომურის კარს კეტავს საღამოობით.

მაგრამ ფრინველის ბუმბულში ვწევარ,
მაღლა სიცარიელეში ვირწევი.
თავბრუ მეხვევა, ვერ ვიძინებ.
ჩემს ხელს
სურს, რაღაცას მოვეჭიდოს და
მხოლოდ ვარდს პოულობს საყრდენად.

ყველა ჩემი გემი

ყველა ჩემს გემს
დაავიწყდა ნავსადგურები
და ჩემს ფეხებს — გზა.
არ ვთესთ და არ ვიმკით,
რადგან არ არის წარსული
და არც მომავალი.
თითქმის არც ერთი სცენა დღეში,
მხოლოდ პატარა
სათუთი მანძილი
შენსა და ჩემ შორის,
რომელსაც შენ არ ამცირებ.

ნაზი ღამე

დადგება ღამე,
როცა შენ გეყვარება

არა ის, რაც მშვენიერია
ან მახინჯი,

არა ის, რაც მაღლა მიიწევს
ან უნდა დაეცეს,

არა ის, რომ დახმარება შეგიძლია
ან უმწეო ხარ.

ეს იქნება ნაზი ღამე,
ღამე, როცა გეყვარება ის,

რასაც სიყვარული
ვერ გადაარჩენს.

ლანდშაფტი, რომელიც მიჰქრის

წასვლა უნდა შეგეძლოს
და მაინც ხესავით იყო:
თითქოს ფესვები მიწაში გრჩება,
თითქოს ლანდშაფტი მიჰქრის და ჩვენ კი მყარად
ვდგავართ.
სუნთქვა უნდა შევიკრათ,
სანამ ქარი მოიკლებდეს
და უცხო ჰაერი ჩვენ ირგვლივ დაიწყებდეს ტრიალს,
სანამ შუქისა და ჩრდილის,
მწვანესა და ლურჯის თამაში
ძველ ნახატებს გამოსახავს.
ჩვენ კი შინ ვიქნებით,
სულერთია — სად,
და შევძლებთ, ჩამოვსხდეთ და
მივეყრდნოთ,
თითქოს ეს დედის
საფლავი იყოს.

უცხო

ყველა ქსელიდან ძირს ვვარდები,
მიცვალებულივით,
ვერც ერთი ქსელი მიჭერს.
თესლს მიწის გარეშე
უწონადს
ქარი ყველა ქსელიდან
მაღლა მაგდებს.
სადაც უნდა წავიდე, გზების ძაფები
მჭიდროდაა გადანასკვული.
ყველა ქალაქში გამზადებულია,
რაც მათ სჭირდებათ,
სათამაშოები და საქორწილო ზეწარი
და ადგილი
დედის კუბოსთან.
მე არაფერი მჭირდება, მოვდივარ და მივდივარ
ხელებგაშლილი.
„ჩვენს ენაზე ლაპარაკობ“,
ყველგან ამას მეუბნებიან
გაოცებულები.
უცხო ვარ,
რომელიც მათ ენაზე ლაპარაკობს.

ჩემ წინ შენდება,
ჩემ უკან ინგრევა,
სცენა ძალიან გამძლე
სახლებისგან, ქუჩებისგან, ყვავილებისგან.
წუთები, სანამ მოვალ,
მოედანი, სკამები, მაგიდა.
ჩემთვის ყავა მოაქვთ,
მიმტანის ენაზე ვლაპარაკობ.
საძინებელ ოთახს ამზადებენ
ხმაურიან სასტუმროში
რამდენიმე საათის სავალზე.
არავინ მელოდება მატარებელთან.
ტანზე ვიხვევ
შენი სიყვარულის
პატარა, უკვე დათხელებულ ნაჭერს,
ჩემს ერთადერთ კაბას.
შევდივარ
შორეულ
უკვე დიდი ხნის
წინ ჩამქრალ
ღიმილის შუქში.

წვიმის წვეთების ზონრების გადათვლა

წვიმის წვეთებს ვითვლი ხის ტოტებზე,
ბრჭყვიალებენ, მაგრამ ძირს არ ეცემიან,
წვეთების მოციმციმე ზონრები
შიშველ ტოტებზე.
თვალებგაფართოებული შემომცქერის
მინდორი წყლიდან.
ტირიფის ოქროსფერ-მწვანე ციცებს
ბეწვი გაეწუწათ.
ფუტკარიც კი აღარ სტუმრობს მათ.
მინდა ციცები ჩემთან დავპატიჟო,
რომ ღუმელთან გაშრნენ.

მთაზე ვზივარ
და ყველაფერი მაქვს —

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახურავი და კედლები,
საწოლი და მაგიდა,
ცხელი წვიმა აბაზანაში
და ღუმელი ლომისფერი ფაფარით,
რომელიც ცხოველივით ან
მოყვასივით სუნთქავს.
და ფოსტალიონი ქალი,
რომელიც მთაზე
წერილს ამომიტანდა.

მაგრამ ციცები
არ მოდიან,
არც წერილი მოდის,
რადგან წვიმის წვეთები
თავს არ მათვლევინებენ.

სად დგას ჩვენი ნუშის ხე

ძვირფასო, მე შენს მკლავებში
ვწევარ,
როგორც ნუშის გული ნუშში.
მითხარი: სად დგას
ჩვენი ნუშის ხე?
მე შენს მკლავებში ვწევარ,
როგორც გემში,
გეზის და ნავსადგურის გარეშე,
მაგრამ ბევრი დელფინით კიჩოსთან.

ჩვენს ზურგს უკან
საწოლების რიგი,
ჩვენი საწოლები ბევრ ქვეყანაში,
ღამის არსადში,
როცა გარშემო უცხო ოთახი ქვემოთ ეშვება.

სადაც მივედით,
— სადაც მივედით, ძვირფასო,
ყველაფერი სხვანაირია,
ყველაფერი მსგავსია.

თივას ყველგან
სხვადასხვანაირად აწყობენ
გასაშრობად
ერთი და იმავე
მზის ქვეშ.

რა ცოტა სარგებელია ჩემგან

რა ცოტა სარგებელია ჩემგან,
თითს მაღლა ვწევ და
პატარა ხაზსაც კი ვერ ვტოვებ
ჰაერში.

დრო ჩემს სახეს შლის,
ეს უკვე დაიწყო.
წვიმა მტვერში ჩემი ნაბიჯების მერე
ქუჩას კარგი დიასახლისივით
აპრიალებს.

აქ ვიყავი.
უკვალოდ
გავქრები.
თელები გზაზე
ხელს მიქნევენ, როცა მათკენ მივემართები.
მწვანე-ლურჯი-ოქროსფერი სალამი,
და მანამ მივიწყებენ,
სანამ გვერდს ჩავუვლიდე.

მეც გავქრები —
მაგრამ ქაღალდის პატარა ნაკუწზე
ვტოვებ
ჩემი ხმის პატარა ბგერას,
ჩემს სიცილს და ჩემს ცრემლებს
და ხეების სალამსაც საღამოხანს.

და გვერდით ჩავლისას,
არა განგებ,
ვანთებ ერთ ან ორ
ფარანს
გულებში გზის კიდეზე.

უფრო მშვენიერია ბედნიერების ლექსები

ვით ყვავილი უფრო მშვენიერია, ვიდრე ღერო,
რომელიც მას ისხამს.
ისე უფრო მშვენიერია ბედნიერების ლექსები.

ვით ჩიტი უფრო მშვენიერია, ვიდრე კვერცხი,
ვით მშვენიერია ის, რომ ნათელი იქმნება.
ისე უფრო მშვენიერია ბედნიერება.

და უფრო მშვენიერია ლექსები,
რომელთაც მე არ დავწერ.

თარგმნა ქეთევან ნიკოლაძემ

დებიუტი



სალომე კაკაბაძე

„ჩემი წვიმიანი აღსარება“

**ზედმეტად მართალი ამბავი.
იმ დღეს, ზუსტად ასე წვიმდა...**

ეს უფრო წვეთების თვითმკვლელობას ჰგავს,
ისე ეხეთქებიან ასფალტს,
ისე ასკდებიან საქარე მინებს.
ცდილობენ, ერთმანეთს გაასწრონ,
ოღონდ იქ ნუ მოხვდებიან,
ოღონდაც საკანალიზაციო ჭებში ნუ ჩაედინებიან.
თუ საქმე არჩევანზე მიდგა,
ურჩევნიათ გუბეებში ჩაიხრჩონ თავი...
თავს იკლავენ წვიმის წვეთები.
გვემუდარებიან, რომ შევამჩნიოთ,
ცდილობენ, გაგვაგებინონ, რომ
არცერთი წვეთი არ გავს ერთმანეთს.
ამ ფიქრებიდან გამოგარკვევს შენი ბოტასი,
რომელშიც, ახლახანს შეამჩნიე, რომ
წყალი სისხლივით ჟონავს.
გგონია, სისველე ნელ-ნელა ზევით მიიწევს.
მიუხედავარ იმისა, რომ შენ არც კასრი ხარ,
ასე გგონია, წვიმით ივსები.
სიმწრით გეცინება,
რადგან უკვე განჭვრიტე არც ისე შორი მომავალი
და იმაზე დარდიც მოასწარი,
რა უნდა ჩაიცვა ფეხზე ხვალ.
აზრი აღარ აქვს თავშესაფრის ძებნას,
ამბობ „ჯანდაბას“ და გარბიხარ...
ოდნავ მოგვიანებით მიხვდები, რომ
ეს იყო ყველაზე სწორი აჩქარება შენს ცხოვრებაში.
გარბიხარ... გარბიხარ ისე, თითქოს წვიმას ასწრებდე.
გგონია, რაც უფრო გარბიხარ, წვიმა მეტად მატულობს
და მხოლოდ სანჯი თუ მიგახვედრებდა, რომ
ეს მხოლოდ შენი ნაბიჯების სიმძლავრეა.
გაგაგიჟებს ასეთ დროს რეალობაზე ფიქრი...
იმდენად გულსაკლავია, შენ კი იმდენად გეცინება.
წვიმაა...
სველდები და რაც უფრო სველდები,
მით უფრო თბები,
უფრო კი ხურდები,
უფრო კი მწარდები.
უკვე მნიშვნელობას კარგავს მშრალი ადგილების ძებნა,
რომ ფეხი დაადგა.
წვიმამ შთანთქა ქუჩა.
ქუჩამ წვიმა.
შენ?
შენ ისე ერწყმი...
სვლასთან ერთად
უკან პატარ-პატარა სიმძიმეებს ტოვებ.
თითქოს ამ სიმძიმეებით სავსე ხურჯინს
გზა და გზა ცლი.
ისეთი თავისუფალი ხარ...
გინდა, წვიმის წვეთებსაც ფიფქებივით პირით მისდიო,
თან გარშემოც თითქმის არავინაა.
საბედნიეროდ, შენ არ ხარ ლამაზი და
მანქანებიც არ გიჩერებენ, წაყვანა რომ შემოგთავაზონ.
ვის რაში ჭირდება ეს ყველაფერი,
როცა ასეთი კარგი ამინდია...
თანაც სახლამდე ჯერ კიდევ შორია...
მაგრამ ღირს...
ღირს იმად, რომ სამსახურიდან სახლამდე გავლილმა
ამ წვიმიანმა გზამ დაგაფიქროს ყველა ნაბიჯზე,
რომელიც გადადგი,
უფრო კი იმაზე, ჯერ რომ არ გადაგიდგამს,
შეგახსენოს ყველა ცოდვა...
(ასე გულმხურვალედ არასდროს გილოცია...),
ღირს იმად, რომ ყველა ნათქვამმა სიტყვამ
ახლად გაიჟღეროს შენში
და მთელი უთქმელობა ისევ ბურთივით გაგეჩხიროს
(წვიმას მიაყოლებ, გადაიტანს...).
უკვე არ იცი, წვიმის წვეთებია, თუ ცრემლები,
ამიტომაც ვერ ბედავ,
მოიწმინდო წამწამებზე ჩამომსხდარი მარგალიტები.
ახლახან გარდაცვლილი მამის გახსენება სცადე და,
ვეღარ შეძელი.
ამიტომ
თვალის დახამხამებისაც კი გეშინია.
გეშინია, რომ
თვალებიდან მისი ბოლო ნაკვთიც არ გადმოგეღვაროს.
თანაც იცი,
იცი, რომ აქ წვიმის წვეთები სიცოცხლეს
შენი წამწამების დაფახურებამდე ინარჩუნებენ.
შეამჩნიე,
უცნობის ქოლგას როგორ დაასკდა წვიმის წვეთი
(მიწაზე დაცემამდე მოიკლა თავი...).
შენ ისიც იცი, არამც და არამც
არ ჩამოსხდებიან წვიმის წვეთები წამწამებზე,
რომლებსაც მოღუშული სახე ატარებს,
წვიმამ რომ განწყობა გაუფუჭათ.
მათთვის ხომ ადამიანების სული
მათსავით გამჭვირვალეა.
იციან,
ვის გულშია რისხვა გამჩენისადმი ამ ამინდის გამო
და, ვინ კიდევ სულში შეინახა მზე
და სწორედ ამ წვიმით ასაზრდოებს,
რომ არ ჩაებჟუტოს.
შენ ხელებზეც გცივა, მაგრამ შეამჩნიე,
წვიმის წვეთების მორიგი თავშესაფარი შენი თითებია.
და მაინც მიაღწიე...
კარებთან მდგარმა მომლოდინე დედამ
შენი დანახვისას ძლივს მშვიდად ამოისუნთქა,
კარი სწრაფად გაგიღო,
შენც, სხვა გზა აღარ დარჩენილმა, სწრაფად შეირბინე.
პირველად გეცოტავა მანძილი სახლამდე.
და ყველა აღსარება ჩაიშალა,
როგორც კი შეგიპყრო იმის შიშმა,
ხომ არ დასველდა
ჩანთის წინა ჯიბეში სისწრაფით ჩაკუჭული 20 ლარიანი,
რომლისთვისაც
13 საათი გიწევდა ყოფილიყავი ის, ვინც არ ხარ.
შენ სულ დაგავიწყდა თითებზე ჩამომსხდარი
წვიმის წვეთების მთელი საიდუმლო,
სასწრაფოდ შეიმშრალე ხელი და ჯიბე მოსინჯე.
ნეტარების ღიმილმა სევდიანად შეგიშრო წამწამები.
მთელი ძალით ჩაეშვი სავარძელში.
ბურანიდან შეტყობინების ხმამ გამოგიყვანა.
იღებ ტელეფონს და კითხულობ:
„მიხვედი? აქ ისეთი ცუდი ამინდია,
ტაქსიდან სადარბაზოში შესვლაში გავიწუწე“...
გაძარცვული თითებითა და გამომშრალი წამწამებით
საპასუხო შეტყობინებას წერ:
„ბათუმში კარგი ამინდია, ანუ წვიმს“...



გიორგი ჭკადუა

იაპონური ბაღი ასი ყვავილით



მახსოვს, ამაზე ფიქრი კარანტინის დროს დავიწყე. სახლში გამოკეტილმა მოჟამულ ამინდს ფანჯრიდან გავხედე. გამახსენდა, პირველად რომ ამ ფანჯრიდან დავინახე მერცხალი და რომ გამიკვირდა. მეუბნებოდნენ, გაზაფხული მერცხალს მოჰყავსო, ჰოდა, ასეთ მაგიურ ფრინველს, წესით და რიგით, რეალობაში არ უნდა ეარსება. ეს ფანჯარა ერთდროულად ინახავდა ბავშვობის მაგიურობასაც, დიდურ სკეპტიკურობასაც და რადგან კარგა ხანი იყო გასული, რაც ამ ფანჯრიდან ბოლოჯერ გავიხედე, ესე იგი, მაგიურობისაც და სკეპტიკურობის ფეხებზე დაკიდების ამბავსაც ინახავდა ჩემი ფანჯარა. ვიდექი და ვუყურებდი, როგორი ირონიული იყო გაზაფხული ამ წელს. ჩვენ ვშორდებოდით ერთმანეთს, დაფოთლილი ხეები კი, პირიქით, ფუვდებოდნენ და გვერდით მდგომს ეკვროდნენ. ეს ის წამი იყო, რაღაც რომ უნდა მეკითხა საკუთარი თავისთვის, ჰოდა, ვიკითხე, როდიდან აღარ ვაკვირდები გარემოს-მეთქი? ბოლოს როდის გავცერი თითებს შუა ფხვიერი მიწა? ან თუ ისევ ჩანს თბილისის ცაზე ერთი ვარსკვლავი მაინც? ჩემს თავს დავპირდი, როგორც კი დაღამდებოდა, შევამოწმებდი, აუცილებლად, შევამოწმებდი.

სანამ დაღამებას ველოდებით, იქამდე იმ წიგნზე მოგიყვებით, ბუნების მოვლენების აღქმას, მათთან შერწყმას და მარტოობაში გამთლიანებას რომ აღწერს.

ერთი ნახატი არსებობს, „იაპონური ბაღი“ ჰქვია. სავარაუდოდ, ბაღის პატრონი ყვავილების ორ რიგს შორის იაპონური ფანჩატურისკენ მიიზლაზნება, სადაც რამდენიმე ადამიანი ზის. ერთი შეხედვით, განსაკუთრებულად აღსანიშნი არაფერია, თუმცა თუ ცოტა შორიდან შევხედავთ, ადვილად შევამჩნევთ, რომ ბაღის პატრონის ტანსაცმელი და ქოლგა ზუსტად ყვავილების ფერებშია დახატული და თითქმის შეუძლებელია გარჩევა, სად არის ადამიანი და სად — ყვავილი. ასეთია ამ კულტურის ხედვა:

„ერთხელ, წვიმიან დილით, ძენის დიდ ოსტატს კიოშოს ასეთი რამ უთქვამს მოწაფისათვის: „გზააბნეულნი არიან ადამიანები. ისინი ხშირად გაუაზრებლად მიჰყვებიან ბუნების მოვლენებს და არ იციან, როგორ ეძიონ თავი მის წიაღში“ — წერს ირმა რატიანი წიგნის წინასიტყვაობაში. „ასი უძლეველესი იაპონური ლექსი“ სწორედ იმაზეა, თუ როგორ შეიძლება საკუთარი თავის პოვნა განმარტოებით და, ამავდროულად, სამყაროსთან შერწყმით. პროცესის კატალიზატორი კი პოეზიაა.

იაპონურ ლექსს ორი ძირითადი სალექსო ფორმა აქვს — ჰაიკუ და ტანკა. ცხადია, არსებობს სხვა ფორმებიც, მაგრამ ძირითადი სწორედ ეს ორია. სალექსო ფორმებს თავისი მკაცრად განსაზღვრული წესები აქვთ. ჰაიკუ სამსტრიქონიანი ლექსია, რომელიც 5-7-5 მარცვლიანი წინადადებების მონაცვლეობით იწერება. ჰაიკუს წერისას პოეტი ცდილობს, აღწეროს ობიექტური რეალობა, რომელიც სუბიექტური თვალით არის დანახული და სადაც დამკვირვებელი არ განცალკევდება დასაკვირვებლისგან. ამ სალექსო ფორმის ერთერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლის მშვენიერი თარგმანიც მოეპოვება ინტელექტის გამომცემლობას — მაცუო ბაშოს „ნიოს ტბისაკენ“.

ტანკა ხუთსტრიქონიანი ლექსია, რომელიც 5-7-5-7-7 მარცვლიანი წინადადებების მონაცვლეობით იწერება. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის ორი ნაწილისგან შედგება, მისი პირველი სამი სტრიქონი ჰაიკუა, ხოლო, ბოლო ორი სტრიქონი კომენტარია წინა სამზე — ერთგვარი ახსნა, შთაბეჭდილება და ამბის ნასკვის გახსნა. ჰაიკუსგან განსხვავებით, ტანკას ბოლო სტრიქონებში უფრო ცხადად ჩანს პერსონაჟი და მისი ისტორია.

იმპერატორის მრჩეველი იაკომოჩი

„როცა კაჭკაჭთა იდუმალ ხიდზე
ნაპერწკლებს გაჰყრის მეუფე ჭირხლი
და თრთვილის ფარდაგს გადააფენს
კრიალა ხელით,
ვიცი, ახლოა დასასრული
გრძელი ღამისა...
დგება ნათელი...“

ავტორის კომენტარში ვკითხულობთ, რომ ლეგენდის მიხედვით, ღმერთებს მდინარის ერთ ნაპირზე მცხოვრები მქსოველი ქალწული მდინარის მეორე ნაპირზე მცხოვრებ მწყემსზე დაუქორწინებიათ. თუმცა ამ ბედნიერი ქორწინების გამო მქსოველი ქალწული ღმერთებისთვის საკმარის ტასნაცმელს აღარ ქსოვდა. ღმერთებმა ისინი დასაჯეს და დააშორეს. მათ მხოლოდ ერთი ღამით შეუძლიათ შეხვედრა. წელიწადში ერთხელ დაღამებისთანავე მოფრინდებოდნენ კაჭკაჭები და მდინარეზე ხიდად გაედებოდნენ, სანამ დილის პირველი სხივი აირეკლებოდა მათ ბუმბულზე.

იაპონური ლექსი ერთ წამში გაჩერებული მომენტია, რამდენიმე სტრიქონში ჩატეული და გაჩერებული წამი. სიმოკლის გამო, ხშირად, მზესუმზირასავით სწრაფად საკნატუნონი გვგონია. არადა, პირიქით. თუ გინდა, ბოლომდე შეიგრძნო და დაინახო ლექსი, დიდი ყურადღებით, ძალიან ნელა უნდა წაიკითხო, რათა რამდენიმე საუკუნის წინანდელი ადამიანის დაჭერილი წამი მუჭში მოიქციო, თითის ბალიშებით მოსინჯო, ხელი მოუჭირო და აცადო, სანამ ისევ დაგისხლტება, შემდეგ კი კანზე მორჩენილი წვენი სრისო თითებით, სანამ ისიც ზედ არ შეგაშრება.

ამ ტანკაშიც დავინახეთ, რომ პირველი სამი სტრიქონი გარემოს აღწერაა, თუმცა არა ჩვეულებრივი აღწერა. ჩვენ ვხედავთ ხიდს და მასზე ანაპერწკლებულ ჭირხლს, რომელსაც თრთვილი კრიალით გადაეფინება. ახლიდან წაიკითხეთ. ნელა წაიკითხეთ. წინადადება წინადადებად გვეახელით. შეხედეთ, მზერაში ჯერ სინათლე შემოდის. სინათლე კაჭკაჭების ბუმბულის თრთვილზე ირეკლება, ესე იგი, თენდება. შემდეგ შემოდის პირის ნიშანი „მე“, რომელიც გვეუბნება, რომ გრძელი ღამე დასრულდა და დადგა ნათელი. აქ დღე-ღამე საათებით არ იზომება, არამედ კაჭკაჭების ბუმბულებზე აკრიალებული თრთვილით, რომელიც წელიწადში ერთი სანუკვარი ღამის დასრულებას მოასწავებს.

იაპონური ენიდან გამომდინარე ლექსების თარგმნა ძალიან რთულია, აქ ბევრ სიტყვას ორმაგი მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამგვარ მნიშვნელობებს ეყრდნობა ტანკების ესთეტიკაც. შინაარსის სრულად გადმოტანა წარმოუდგენელია, ამიტომ ავტორმა გადაწყვიტა, ყველა ლექსს თავისი კომენტარი დაურთოს, სადაც ვკითხულობთ განმარტებებს ლექსის შინაარსის ან მისი ორაზროვნების შესახებ.

ახლა კი რაც შეეხება, წიგნის მეორე ნაწილს, რომელსაც „იაპონური დღიურები“ ჰქვია. ირმა რატიანი ოჯახთან ერთად რამდენიმე წლის განმავლობაში იაპონიაში ცხოვრობდა, ამიტომ კარგად ახერხებს, ახლო კადრით მოგვიყვეს ჩვენთვის უკვე საყვარელ სუმოზე, იაპონურ თეატრზე, მუსიკასა და სამურაებზე; აქ შეხვდებით ამბავს ონო ნო კომაჩის შესახებ, რომელსაც საკურას ტოტითა და ვარდისფერი პეპლებით დაფენილი შავი კიმონო ეცვა, შავი გრძელი თმა ჰქონდა, მისი სიმღერა კი ყველა კაცს აჯადოებდა. ავტორთან ერთად შეხვდებით ვეფხისტყაოსნის იაპონურ ენაზე მთარგმნელსაც. დააკვირდებით ეტიკეტებს, გეიშებს, დაათვალიერებთ ქუჩებს და ნახავთ ვარსკვლავთცვენასაც.

დასაწყისში რომ ნახატი ვახსენე, ბრიტანელი მხატვრის ელა დუ კეინის შემოქმედებაა. ეს იმედს მაძლევს, რომ ჩვენც, წვეტიანი ფანჩატურების ჯდომის გარეშეც, შევძლებთ, დავინახოთ. იაპონიის ცაზე ვარსკვლავთცვენის საყურებლად კი ამ წიგნს შეგიძლიათ ეწვიოთ, რაც შეეხება თბილისის ცას, იმ ღამით შვიდი ვარსკვლავი დავთვალე, დანარჩენს კორპუსები ეფარებოდნენ, ქვემოდან კიდევ ლამპიონები მაჭყიტებდა, ვითომდა ციცინათელების შემცვლელი ყვითელი წერტილები. თუმცა, ხეები მეხმარებოდნენ — იფურჩქნებოდნენ, ფუვდებოდნენ და მიჩრდილავდნენ ხელოვნურ შუქებს და აღარსად იყო ირონიის ნაგლეჯიც ქვეყნად.

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ჟურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
9 772346 794004